FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ახალგაზრდობის სააგენტო

ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები

მუნიციპალურ დონეზე

ნაწილი II

პუბლიკაცია დაიბეჭდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის პირველი ჩიხი, N1, 0179, თბილისი, საქართველო

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2022

ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები

მუნიციპალურ დონეზე

ნაწილი II

თბილისი, 2022

გამომცემლები

» **ფრიდრიხ ებერტის ფონდი**
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის პირველი ჩიხი, N1, 0179, თბილისი, საქართველო
https://southcaucasus.fes.de/

» **ახალგაზრდობის სააგენტო**
ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, თბილისი, საქართველო
https://youthagency.gov.ge/

» **კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია ეისითი**
ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქ. 8
https://act-global.com/

» **ინფორმაცია გამომცემელთათვის**
ფელიქს ჰეთი (FES)
სალომე ალანია (FES)

» **ავტორები**
ფლორა (კესო) ესებუა (ACT)
ციალა წულაია (ACT)
სალომე კოკაია (ACT)

» **თარგმნა და კორეკტურა**
ქეთევან თვალავაძე
თაკო გოგოჩაიშვილი
სუზან გრეჰემი

» **დიზაინი და დაკაბადონება**
თინათინ უსეინაშვილი, შპს "თრი დიზაინი"
მიცკევიჩის 27გ. 0194, თბილისი, საქართველო
www.treedesign.ge

» **ტირაჟი:** 150 ცალი » **ISBN 978-9941-8-4734-9**

თბილისი, 2022

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს.
ფრიდრიხ ებერტის ფონდი, არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე.
©ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2022
©ახალგაზრდობის სააგენტო 2022

ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები
მუნიციპალურ დონეზე

სარჩევი

შესავალი 14
ძირითადი მიგნებები 15

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი 17

ძირითადი მიგნებები 18
მეთოდოლოგია 20
1. კვლევის შედეგები 22
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 22
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 25
1.3. უფლებები 29
1.4. გამოწვევები 29
1.5. სასურველი აქტივობები 36

ბაღდათის მუნიციპალიტეტი 39

ძირითადი მიგნებები 40
მეთოდოლოგია 42
1. კვლევის შედეგები 44
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 44
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 47
1.3. უფლებები 50
1.4. გამოწვევები 51
1.5. სასურველი აქტივობები 57

გარდაბნის მუნიციპალიტეტი 60

ძირითადი მიგნებები 61
მეთოდოლოგია 63
1. კვლევის შედეგები 65
1.1. მუნიციპალური პოლიტიკა 65
1.2. ახალგაზრდული აქტივობები 68
1.3. ჩართულობა და აქტივიზმი 73
1.4. უფლებები 74
1.5. გამოწვევები 75
1.6. სასურველი აქტივობები 82

კასპის მუნიციპალიტეტი 84

ძირითადი მიგნებები 85
მეთოდოლოგია 87
1. კვლევის შედეგები 89
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 89
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 92
1.3. უფლებები 96
1.4. გამოწვევები 97
1.5. სასურველი აქტივობები 102

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი 105

ძირითადი მიგნებები 106
მეთოდოლოგია 108
1. კვლევის შედეგები 110
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 110
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 113
1.3. უფლებები 116
1.4. გამოწვევები 117
1.5. სასურველი აქტივობები 123

საჩხერის მუნიციპალიტეტი 126

ძირითადი მიგნებები 127
მეთოდოლოგია 129
1. კვლევის შედეგები 131
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 131
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 134
1.3. უფლებები 137
1.4. გამოწვევები 138
1.5. სასურველი აქტივობები 144

სენაკის მუნიციპალიტეტი 145

ძირითადი მიგნებები 146
მეთოდოლოგია 148
1. კვლევის შედეგები 150
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 150
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 153
1.3. უფლებები 156
1.4. გამოწვევები 156
1.5. სასურველი აქტივობები 162

ყვარლის მუნიციპალიტეტი 164

ძირითადი მიგნებები 165
მეთოდოლოგია 167
1. კვლევის შედეგები 169
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 169
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 172
1.3. უფლებები 176
1.4. გამოწვევები 177
1.5. სასურველი აქტივობები 183

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 185

ძირითადი მიგნებები 186
მეთოდოლოგია 188
1. კვლევის შედეგები 190
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 190
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 193
1.3. უფლებები 197
1.4. გამოწვევები 197
1.5. სასურველი აქტივობები 204

ხობის მუნიციპალიტეტი 206

ძირითადი მიგნებები 207
მეთოდოლოგია 209
1. კვლევის შედეგები 211
1.1. ახალგაზრდული აქტივობები 211
1.2. ჩართულობა და აქტივიზმი 214
1.3. უფლებები 217
1.4. გამოწვევები 218
1.5. სასურველი აქტივობები 223

რეკომენდაციები 225

გრაფიკების სარჩევი

გრაფიკი 1	22	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 2	23	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 3	24	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 4	25	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 5	26	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე -28.გვ
გრაფიკი 6	26	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 7	27	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 8	27	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 9	30	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 10	32	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 11	33	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 12	34	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 13	35	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 14	35	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 15	37	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 16	44	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 17	45	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 18	46	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 19	46	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 20	47	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 21	48	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 22	48	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები

გრაფიკი 23	49	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 24	52	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 25	53	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 26	54	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 27	55	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 28	56	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 29	57	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 30	58	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 31	89	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 32	90	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 33	91	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 34	92	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 35	93	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 36	93	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 37	94	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 38	94	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 39	97	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 40	99	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 41	99	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 42	100	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 43	101	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 44	102	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 45	103	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის

გრაფიკი 46	110	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 47	111	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 48	112	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 49	112	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 50	113	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 51	114	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 52	114	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 53	115	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 54	118	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 55	119	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 56	120	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 57	121	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით - 123 გვ.
გრაფიკი 58	122	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 59	122	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 60	124	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 61	131	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 62	132	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 63	133	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 64	134	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 65	135	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 66	135	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 67	136	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 68	136	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 69	139	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის

გრაფიკი 70	141	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 71	141	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 72	142	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 73	143	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 74	143	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 75	144	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 76	150	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 77	151	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 78	152	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 79	152	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 80	153	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 81	154	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 82	154	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 83	155	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 84	157	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 85	158	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 86	159	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 87	160	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 88	161	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 89	161	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 90	163	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 91	169	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 92	170	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 93	171	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები

გრაფიკი 94	172	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 95	173	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 96	173	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 97	174	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 98	174	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 99	178	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 100	179	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 101	180	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 102	181	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 103	182	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება
გრაფიკი 104	182	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 105	184	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 106	190	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 107	191	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 108	192	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 109	193	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 110	194	შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე
გრაფიკი 111	194	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 112	195	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები
გრაფიკი 113	195	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ
გრაფიკი 114	198	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 115	200	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 116	201	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 117	202	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 118	203	პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება

გრაფიკი 119	203	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 120	205	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 121	211	მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო
გრაფიკი 122	212	შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ
გრაფიკი 123	213	შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები
გრაფიკი 124	214	ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ
გრაფიკი 125	215	მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე
გრაფიკი 126	215	ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება
გრაფიკი 127	216	შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობისა მუნიციპალიტეტში
გრაფიკი 128	219	დასაქმების სტატუსი
გრაფიკი 129	220	უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის
გრაფიკი 130	221	შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში
გრაფიკი 131	222	შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით
გრაფიკი 132	223	შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში
გრაფიკი 133	224	სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის

ცხრილების სარჩევი

ცხრილი 1	21	კვლევის დიზაინი
ცხრილი 2	43	კვლევის დიზაინი
ცხრილი 3	64	თვისებრივი კვლევის დიზაინი
ცხრილი 4	88	კვლევის დიზაინი
ცხრილი 5	109	კვლევის დიზაინი
ცხრილი 6	126	კვლევის დიზაინი
ცხრილი 7	145	კვლევის დიზაინი
ცხრილი 8	164	კვლევის დიზაინი
ცხრილი 9	185	კვლევის დიზაინი
ცხრილი 10	206	კვლევის დიზაინი

შესავალი

ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ქვეყნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას გარემო, რომელიც პასუხობს ახალგაზრდების გამოწვევებს, იძლევა ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას ახალგაზრდებისათვის და ახალგაზრდებთან ერთად. ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების, მოქალაქისა თუ გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდობის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას გულისხმობს. ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების სამართლებრივი ბაზა „საქართველოს ახალგაზრდობის კონცეფციის 2020-2030“-ის ფარგლებში შექმნილია. მისი ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტის გათვალისწინებით, რომელიც ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფას გულისხმობს, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებას ადგილობრივ დონეზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკამ უპასუხოს ახალგაზრდების საჭიროებებს და შექმნას გარემო, სადაც ახალგაზრდები თავად მიიღებენ მონაწილეობას როგორც მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე ამ გადაწყვეტილებებისთვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი ახალგაზრდობის პოლიტიკის არსებობისთვის, აუცილებელია ის ცოდნასა და კვლევის შედეგებს ეფუძნებოდეს. აღნიშნულისთის „ახალგაზრდობის სააგენტომ“ შეიმუშავა მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების პროგრამა, რომლის თანახმადაც მხარდაჭერილია კვლევაზე დაფუძნებული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა. აღნიშნული კვლევა ამ პროგრამის ნაწილია, რომელიც ჩატარდა ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით და ფრიდრხ ებერტის ფონდთან კოლაბორაციით. კვლევა მიზნად ისახავს ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების შესწავლას მუნიციპალურ დონეზე. კვლევა ჩაატარა კვლევისა და საკონსულტაციო კომპანიამ ეისითი (ACT). *კვლევა ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, (2) საჩხერის მუნიციპალიტეტი, (3) სენაკის მუნიციპალიტეტი, (4) ხობის მუნიციპალიტეტი, (5) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, (6) ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, (7) კასპის მუნიციპალიტეტი, (8) გარდაბნის მუნიციპალიტეტი (9) ყვარლის მუნიციპალიტეტი (10) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი; პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც გულისხმობს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარებას.*

საკითხები, რომელთაც კვლევა ფარავს მრავალმხრივია და სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის, პროცესებში ჩართულობის მაჩვენებლისა თუ ჩაურთველობის მიზეზების, სარისკო ქცევების გავრცელებისა თუ ღირებულებების შესახებ იძლევა გამოწვევებისა თუ საჭიროებების უფრო სიღრმისეულ ანალიზს, როგორც თავად ახალგაზრდების, ასევე მნიშვნელოვანი მოთამაშეების - ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მესამე სექტორის წარმომადგენელთა პერსპექტივიდან.

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების მაჩვენებელი ყველა მუნიციპალიტეტში დაბალია;
- დაბალია ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინიციატორები და მათზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვაში ჩართულები, უშუალოდ აქტივობები კი ერთფეროვანია და ნაკლებადაა ორიენტირებული გრძელვადიანი შედეგის მიღწევაზე;
- აქტივობები ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის და მუნიციპალურ ცენტრებში იგეგმება, რაც განსაკუთრებულ გამოწვევებს უქმნის როგორც უფროსი ასაკის ახალგაზრდებს, ასევე ახალგაზრდებს სოფლის ტიპის დასახლებებიდან, რომელთათვის დამატებით გამოწვევას ტრანსპორტზე შეზღუდული წვდომა ქმნის;
- დაბალია ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, რისი მთავარი მიზეზებიც, ჩართულობის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა, შესაბამისი მექანიზმების არცოდნა და ნიჰილიზმია;
- ახალგაზრდებისთვის ყველაზე სერიოზულ გამოწვევას დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს;
- ამასთან, გამოწვევაა შეკრებებისთვის, ასევე გართობისთვის სივრცეების სიმწირე და არაფორმალური განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა;
- გამოწვევაა სპორტულ წრეებსა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობაც. ასევე, მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში ცალკე გამოწვევაა ბიბლიოთეკების არარსებობა ან არსებულის გაუმართავი ინფრასტრუქტურა და მოძველებული წიგნადი ფონდი;
- მართალია, ახალგაზრდების უმრავლესობა თვლის, რომ მათი უფლებები დაცულია, თუმცა უფლებების შესახებ გაცნობიერებულობა სერიოზული გამოწვევაა;
- მართალია, როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის განზრახვას გამოკითხულთა უმრავლესობა უახლოესი 2-3 წლის პერსპექტივაში არ აფიქსირებს, თუმცა დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევების, ასევე გართობისა და შეკრებისთვის, ამასთან სხვა მნიშვნელოვან სერვისზე შეზღუდული წვდომის გათვალისწინებით, მიგრაციის ალბათობა მაღალია;

- გარდა ახალგაზრდული სივრცეების სიმწირისა, გამოწვევაა რეგიონებში, მითუმეტეს, მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული სათემო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სიმწირე;
- ამასთან, გამოწვევაა არსებული ორგანიზაციების ნაკლები ფოკუსირება ახალგაზრდობის საკითხებსა და მათი თანამშრომლობის გაუმართავი ფორმატი ადგილობრივ თვითმმართველობასთან;
- მიუხედავად ბოლო წლების პოზიტიური დინამიკისა, გამოწვევად რჩება ახალგაზრდობის მიმართულების სერიოზულად აღქმა გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ. ამასთან, დღის წესრიგში დგას ახალგაზრდობის მიმართულებით ეფექტიანი მუშაობისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის გაზრდის აუცილებლობაც ადგილობრივ დონეზე;
- ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის მიმართულებით ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯები უფრო პოზიტიურად ფასდება, რაც ახალგაზრდობის სააგენტოს მუშაობით აიხსნება. ამასთან, სააგენტოს მიმართ არსებული მოლოდინები მაღალია, რაც, პირველ რიგში, ადგილზე ადამიანური რესურსის გადამზადებას, ახალგაზრდული სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობას, ასევე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების აღსრულების მონიტორინგს გულისხმობს. ამ უკანასკნელში კი, გარდა სააგენტოსი, მესამე სექტორის ჩართულობის მოლოდინიც იკვეთება.

I

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი



ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი არცთუ მაღალია. ათიდან ექვსმა ახალგაზრდამ ამბროლაურში არ იცის მათი არსებობის შესახებ (59%);

- **სხვადასხვა სერვისიდან** ახალგაზრდებისთვის უმეტესად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკები/სამკითხველო კლუბები (60%), ასევე სპორტული (39%) და სახელოვნებო წრეები (21%). ამასთან, არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა ახალგაზდების 22%-ს;

- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად ყოველი მეორე გამოკითხულის მიერ (54%);

- გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის აზრით ახალგაზრდებს დასაქმებაში **პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა** დაეხმარებოდა დასაქმებაში (71%), ასევე, მხარდაჭერა **სტაჟირების პროგრამებსა და სამუშაო გამოცდილების დაგროვებაში** (63%). ამასთან, ყოველი მეორე გამოკითხული **ინგლისური ენის შესწავლა/ დახვეწაში** მხარდაჭერას მიიჩნევს მნიშვნელოვნად (48%);

- **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი. ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობაც** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (44%). გამოკითხულთა 50% მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დიდი ნაწილი ან უმრავლესობა დაკავებულია სპორტით;

- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა უცხო ენის შემსწავლელი კურსები (44%), ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე ხელმისაწდვომობა (30%); ასევე სივრცეები შეკრებებისთვის (25%);

- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (90%);

- გამოკითხულთა 40% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 15% ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში**;

- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება. თვისებრივი კვლევის ფარგლებში კი აღნიშნულის მიზეზად ასევე ნიჰილიზმი გამოიკვეთა;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე 53%-ს. ახალგაზრდები აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ის სახელდება, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ქონდათ სურვილი;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 71% აფიქსირებს. აქაც მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და ნახევარზე მეტი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (56%);

- ათიდან ორ ახალგაზრდას ამბროლაურში უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია (23%). ამის მიუხედავად, ათიდან შვიდი მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცულია (69%);

- მუნიციპალიტეტში სხვადასხვა **სარისკო ქცევაა** გავრცელებული ახალგაზრდებში, ყველაზე მეტად კი გავრცელებულია სიგარეტის მოწევა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება;

- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა დაბალია. შიდა მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე 69%, გარე მგრაციაზე კი - 84% არ ფიქრობს. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებსა და უკეთესი ცხოვრების პირობებს უკავშირდება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში;

- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია (5,4 ქულა მაქსიმალური 7-დან);

- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია. ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილებას ამბროლაურში ახალგაზრდების 57%, მუნიციპალიტეტში პოზიტიურ ცვლილებაზე კი - 60% მიუთითებს. ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია და 84%-ს შეადგენს.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 185 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 *სიღრმისეული ინტერვიუ*. ფოკუსურ ჯგუფებში რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[1] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[1] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 1. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	3	185
კვლევის არეალი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

ახალგაზრდები ინფორმაციას საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ამბროლაურში მუნიციპალიტეტის სოციალური გვერდიდან იღებენ (56%). ამასთან, ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს მეგობრები/ახლობლები (45%) წარმოადგენენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ათიდან ერთი ახალგაზრდა საერთოდ არ იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების თაობაზე (10%), ადგილობრივი მედია კი 8%-სთვისაა ინფორმაციის წყარო.

გრაფიკი 1. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (54%) თუ სახლს გარეთ (4%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (7%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 35%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (89%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (76%) იყენებს.

კვლევის მონაწილეთა 36%-ის შეფასებებით, მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებულია. ნეიტრალურია აღნიშნულის შეფასება 44%-ის მიერ. 18%-ის შეფასებით კი, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები არ არის/ საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

გრაფიკი 2. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ

N=185

რაც შეეხება თვისებრივ კვლევას, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე საუბრისას ფოკუსური დისკუსიების მონაწილეთა მიერ აღინიშნა ზოგადად ასეთი აქტივობების სიმწირე, რაც, მართალია, ამ ეტაპზე პანდემიისგან გამოწვეულ მდგომარეობასაც უკავშირდება, თუმცა პანდემიური რეალობის გარეშეც, გამოწვევაა, განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში. ის აქტივობები, რომლებიც ახალგაზრდებმა გაიხსენეს, ძირითადად სპორტულ და გარემოსდაცვით ღონისძიებებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის აქტივობები უმეტესად სკოლის მოსწავლეებისთვისაა ორგანიზებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველაზე ხშირად სპორტული აქტივობები იგეგმება, ისიც სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთის, შეიძლება ითქვას, რომ ყურადღების მიღმა რჩებიან უფროსი ასაკის ახალგაზრდები, რომელთათვისაც პრაქტიკურად არ არის მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებები. აქვე საგულისხმოა მოსაზრება, რომელიც, მართალია, დომინანტურად არ გამოკვეთილა, თუმცა აღინიშნა, რომ იგივე სპორტულ აქტივობებში ძირითადად ბიჭები ერთვებიან და ნაკლებად გოგოები.

გარდა იმისა, რომ ზემოაღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობისთვის შეზღუდულია ასაკობრივი ზღვარი, ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის არის ორგანიზებული და ხელმისაწვდომი, გამოწვევაა სოფლის დასახლებებში არსებული მდგომარეობაც. კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით, აქტივობები ახალგაზრდებისთვის ძირითადად მუნიციპალურ ცენტრში ტარდება, სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები კი „იძულებულნი“ არიან ამ აქტივობებში ჩაერთნონ ქალაქში ან დარჩნენ მის მიღმა.

გამოწვევაა ისიც, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობები არ არის მრავალფეროვანი. ისინი ძირითადად მხოლოდ რამდენიმე სფეროს მოიცავს და ღონისძიებებიც მსგავსია. ამის კვალდაკვალ, აღინიშნა, რომ ახალგაზრდების ის ნაწილი, ვისი ინტერესის სფეროც ცდება შემოთავაზებულ აქტივობებს, საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობის მიღმა რჩება. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობების საჭიროება გამოიკვეთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

რაც შეეხება დაგეგმილი აქტივობების ინიცირებას, კვლევის მონაწილეებმა მართალია გაიხსენეს აქტივობები (მაგ: გარემოსდაცვითი ღონისძიება, ესეების კონკურსი, დასუფთავების აქტია), რაც ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა, თუმცა აღინიშნა, რომ ასეთი შემთხვევები ერთეულია და არც თუ ისე მასშტაბური, უმეტესად კი ინიციატივა ადგილობრივი თვითმმართველობისგან მოდის. თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, აქ შეფასებები ახალგაზრდების სასარგებლოდ უფროა. გამოკითხულთა 36% თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორები თავად ახალგაზრდები არიან. ადგილობრივ მუნიციპალიტეტზე 27% მიუთითებს, 20% კი - არასამთავრობო სექტორს ასახელებს აქტივობათა ინიციატორად.

გრაფიკი 3. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები

რაც შეეხება იმას, რამდენად სმენიათ რესპონდენტებს იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს, აღმოჩნდა, რომ ათიდან ექვსი გამოკითხული მსგავს ინფორმაციას არ ფლობს (59%). ამასთან, მეხუთედს სმენია მათ შესახებ, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია (22%).

გრაფიკი 4. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



ის, რომ ინფორმირების თვალსაზრისით გამოწვევებია მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც. მართალია, პროგრამებსა და სერვისებზე არაინფორმირებაზე ახალგაზრდებმა ნაკლებად ისაუბრეს, თუმცა აღნიშნეს, რომ მათთვის გამოწვევაა ის, რომ ინფორმაციას უღებენ უკვე ჩატარებული აქტივობების შესახებ და არა მანამდე. ის, რომ ახალგაზრდები არ არიან დროულად ინფორმირებულნი დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ასევე, არ არიან ჩართულნი დაგეგმვის პროცესში, ახალგაზრდების ჩართულობას მნიშვნელოვნად ამცირებს. ამ თვალსაზრისით როგორც კვლევის მონაწილე ახალგაზრდების, ასევე ძირითად ინფორმანტების მიერ მნიშვნელოვნად შეფასდა თანამონაწილეობა პროცესებში, რაც გაზრდის არა მხოლოდ ახალგაზრდების ინტერესსა და მოტივაციას, არამედ პროცესებში მაქსიმალური ჩართულობით ისინი მეტ პასუხისმგებლობასაც აიღებენ საკუთარ თავზე, შესაბამისად, შედეგის მიღწევის სურვილი და მოლოდინიც მეტი ექნებათ.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

რაც შეეხება უშუალოდ ჩართულობას, აღნიშნულის დაბალი მაჩვენებელი სერიოზულ გამოწვევად შეფასდა თვისებრივი კვლევის ფარგლებში როგორც კვლევის მონაწილე ყველა ასაკობრივი ჯგუფის, ასევე ძირითადი ინფორმანტების მიერ. პროცესებში მონაწილეობისა თუ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით შეფასებები არცთუ ნეგატიურია რაოდენობრივი კვლევის შედეგებით. კერძოდ, თუ გამოკითხულთა 26%-ის შეფასებით, მათნაირი ახალგაზრდები ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ახდენენ/საერთოდ ვერ ახდენენ, 35%-ის შეფასებები საპირისპიროზე მეტყველებს. ამასთან, 34%-ის შეფასებები ნეიტრალურია. ამასთან, უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე ათიდან მხოლოდ ერთ ახალგაზრდას აქვს (10%). ძირითადად, აღნიშნული საკითხების განხილვასა და უბრალოდ შეხვედრებში მონაწილეობას გულისხმობდა.

გრაფიკი 5. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



ისეთ სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობას, როგორიც მოხალისეობაა, მნიშვნელოვნად აფასებს გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (89%). ამის მიუხედავად, ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს გამოკითხულთა 53%-ს. ყველაზე მეტს, 27%-ს კი გამწვანების აქციაში, 26%-ს კი - სპორტულ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა. 18%-ის მოხალისეობრივი აქტივობა საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას უკავშირდება.

გრაფიკი 6. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელიც, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა უმრავლესობამ (78%). სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება ათიდან შვიდ გამოკითხულს არ აქვს (71%). აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (37%). ამასთან, 35% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მეხუთედი კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის (20%).

გრაფიკი 7. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



გარდა იმისა, რომ თავად გამოკითხულთა ჩართულობის მაჩვენებელია დაბალი, რესპონდენტთა შეფასებით, ზოგადად მუნიციპალიტეტშიც რეალობა მსგავსია. ათიდან ოთხი გამოკითხულის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (40%). 27% მიიჩნევს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობაში, 15%-ის აზრით კი, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო აქტივობებში არ მონაწილეობენ.

გრაფიკი 8. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



დაბალი სამოქალაქო აქტივობის მთავარ მიზეზად გამოკითხულები იმას მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა (52%). მეხუთედი იმასაც ასახელებს მიზეზად, რომ მუნიციპალიტეტში არ იგეგმება აქტივობები, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება; 14%-ის შეფასებით კი მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობაში.

თუ თვისებრივი კვლევის შედეგებსაც ვნახავთ, იქ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დაბალი ჩართულობის მიზეზი, ერთი მხრივ, განპირობებულია მათ საჭიროებებზე მორგებული პროგრამების სიმწირით, მეორე მხრივ კი, ნიჰილიზმით და უნდობლობით სხვადასხვა აქტორის მიმართ. კვლევის მონაწილე ახალგაზრდების შეფასებით, არცთუ იშვიათობას წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული დანაპირების შეუსრულებლობა, რაც იწვევს კიდეც ახალგაზრდებში მოტივაციისა და ნდობის შემცირებას. გარდა ამისა, კვლევის მონაწილე ძირითადი ინფორმანტების მიერ ჩართულობის თვალსაზრისით გამოწვევად დასახელდა გაუცნობიერებლობა და არაინფორმირებულობა. მათი შეფასებით, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდებმა არ იციან საკუთარი უფლების შესახებ, ჩაერთონ პროცესებში; ამასთან, ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაცია ჩართულობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ.

ჩართულობისა და სამოქალაქო აქტიზმის კონტექსტში ასევე აღსანიშნავია რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. აღმოჩნდა, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები არის ის ღირებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელობს ახალგაზრდებისთვის. მისი შეფასება მაქსიმალური 7-დან მხოლოდ 3 ქულაა. ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარს (51%), ყველაზე მეტს კი აინტრესებს ზოგადად პოლიტიკა საქართველოში (31%).

მიუხედავად ჩართულობის დაბალი მაჩვენებლისა, სამოქალაქო აქტივიზმი რომ მნიშვნელოვანია ეს რაოდენობრივმა კვლევამაც უჩვენა და თვისებრივმაც. ამ უკანასკნელის ფარგლებში საგულისხმოა, რომ პროცესებში ჩართულობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში იყო ხაზგასმული. მეტიც, ყველა ჯგუფში აღინიშნა ჩართულობის გაზრდის საჭიროება. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეფასდა რამდენიმე მიზეზით. ერთი მხრივ, სამოქალაქო აქტივობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდების რეალური საჭიროებებისა და ინტერესების გასაცნობად შესაბამისი აქტორებისთვის და, ასევე, მათზე საპასუხოდ. ჩართულობა არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს თავად ახალგაზრდები მიაწვდიან შესაბამის ინფორმაციას და ასევე იმისაც, რომ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეთა ნაწილის შეფასებით, მათი ჩართულობა მაგალითი იქნება მომავალი თაობისთვის, რათა არ გაწყდეს ერთგვარი ჯაჭვი და სამოქალაქო აქტივიზმი მისაბაძი გახდეს. ამასთან, ახალგაზრდების ჩართულობა კვლევის მონაწილეებს ესახებათ მნიშვნელოვნად როგორც თავად ახალგაზრდების, ასევე, ზოგადად საზოგადოების განვითარებისთვის. ჩართულობის კონტექსტში ხაზგასმული იყო იმის გააზრების საჭიროება, რომ ახალგაზრდებს რეალურად შეუძლიათ გარკვეულ პროცესებში ჩართულობით შედეგის მიღწევა. თავად ცვლილებების მოლოდინი კი, ჩართულობის გარეშე, არარეალისტურად ფასდება კვლევის მონაწილეთა მიერ.

1.3. უფლებები

კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 23%-ს უჭირს დაასახელოს ერთი უფლება მაინც, რომლის შესახებაც სმენია. ყველაზე მეტს, 46%-ს კი სმენია გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ამასთან, ათიდან შვიდი გამოკითხული ფიქრობს, რომ მისი უფლებები დაცულია, 26% კი მიიჩნევს, რომ მისი უფლება ნაწილობრივაა დაცული.

თვისებრივმა კვლევამაც უჩვენა, რომ მონაწილეებს ნაწილს უჭირს ახალგაზრდების ისეთი უფლებების დასახელება, რომლებიც ნაკლებადაა დაცული. განსაკუთრებით არ ახსენდებათ უფლებების დარღვევის მაგალითები სკოლის ასაკის ახალგაზრდებს, რომელთა შეფასებითაც, ამ თვალსაზრისით გამოწვევები მუნიციპალიტეტში თითქმის არ არის.

რაც შეეხება უფროსი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფს, აქ მაინც გამოიყო გარკვეული უფლებები, რომელთა შეზღუდვაზეც შეიძლება საუბარი. კერძოდ, მათთან აღინიშნა განათლების უფლების დარღვევა, რაშიც ძირითადად დისკუსანტებმა მოიაზრეს სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და სკოლებში სათანადო ინვენტარისა თუ ლაბორატორიების არარსებობა.

დისკუსიებისას, ძირითადად ასევე უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან, ყურადღება გამახვილდა შრომითი უფლებების დარღვევაზე. აღნიშნულის მაგალითად მოყვანილი იყო ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია. კერძოდ, ახალგაზრდა ასაკის გამო დასაქმებულებს „სტანდარტულზე დაბალი“ ანაზღაურება აქვთ, მიუხედავად ხელშეკრულების არსებობისა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად სრულ განაკვეთზე დასაქმებულთან ფორმდება. დისკრიმინაციის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ათიდან რვა და მეტ ახალგაზრდას რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილება არ ჰქონია.

უფლებების კონტექსტში ასევე აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში ნახსენები იყო ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, რაც ჯანმრთელობის დაცვის უფლების შეზღუდვას გულისხმობდა და ის, ახალგაზრდების მსგავსად, სხვა თაობების წარმომადგენელთათვისაც გამოწვევაა მუნიციპალიტეტში. თუმცა აქვე საგულისხმოა რაოდენობრივი კვლევის შედეგიც, სადაც ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ახალგაზრდებისთვის მხოლოდ 7% ასახელებს და სხვა საკითხები ბევრად მნიშვნელოვან გამოწვევებად ფასდება.

1.4. გამოწვევები

გამოწვევების კონტექსტში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში თვისებრივი კვლევის ფარგლებში რამდენიმე საკითხზე გამახვილდა ყურადღება.

კვლევის მონაწილე ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ერთ-ერთ მწვავე პრობლემად *ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა* დასახელდა, რაც ახალგაზრდებს შეკრების, აზრთა გაცვლისა თუ გართობის საშუალებას მისცემდა. აღნიშნული გამოწვევად შეფასდა ძირითადი ინფორმანტების მიერაც. კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით, მსგავსი სივრცეების არსებობა გართობის გარდა, ახალგაზრდების განვითარებასა და იდეების გენერირებასაც უწყობს ხელს. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის, რომელთაც, სკოლისშემდგომ პერიოდში აღარსად აქვთ შეკრების

შესაძლებლობა. ამასთან, საკითხი აქტუალურია როგორც მუნიციპალური ცენტრისთვის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებისთვის, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, იმის გათვალისწინებითაც, რომ მუნიციპალური ცენტრიდან დაშორება ართულებს იმ აქტივობებში მონაწილეობას, რაც იშვითადა, მაგრამ მაინც იგეგმება.

გრაფიკი 9. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის



ის, რომ შეკრებებისთვის სივრცეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსაგვარებელი პრობლემაა რაოდენობრივმა კვლევამაც დაადასტურა. აღნიშნულზე, როგორც გამოწვევაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოგვარდეს ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა მეხუთედმა აღნიშნა (21%).

მეორე სერიოზული გამოწვევა, რომელიც არამხოლოდ ახალგაზრდებისთვისაა აქტუალური და თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, *ტრანსპორტზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას* უკავშირდება. აღნიშნულზე ყურადღება გამახვილდა როგორც ფოკუსური დისკუსიების მონაწილეთა მიერ, ასევე ძირითად ინფორმანტებთანაც. მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ახალგაზრდებს ჩაერთნონ იმ პროცესებში, რომელიც მუნიციპალურ ცენტრებში მიმდინარეობს. ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა, როგორც გამოწვევა, რომელიც უნდა მოგვარდეს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის აღნიშნა რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 10%-მაც.

ამასთან, რაოდენობრივმა კვლევამ ისიც გამოავლინა, რომ ახალგაზრდებისთვის გამოწვევებია ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის არარსებობის თვალსაზრისითაც, რამდენადაც ამ გამოწვევის მოგვარების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ათიდან ორი ახალგაზრდა მაინც მიუთიტებს (19%). ასევე გამოწვევებია სპორტულ წრეებსა (19%) და სპორტულ ინფრასტქრუქტურაზე (15%), ასევე გართობისა და დასვენების ადგილებზე (16%) ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც ასევე გამოიკვეთა გამოწვევებს შორის *დაბალი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა წრესა თუ აქტივობაზე*. ზოგადად, როგორც უკვე აღინიშნა, აქტივობები იშვიათად ტარდება, გამოირჩება ერთფეროვნებით და შესაძლებლობის მიღმა ტოვებს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც განსხვავებული ინტერესები და მისწრაფებები აქვთ. უმეტესად, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შეთავაზებული აქტივობების სიმწირის კვალდაკვალ, ისიც აღინიშნა, რომ გამოწვევებია ფინანსური თვალსაზრისითაც. კერძოდ, აღინიშნა, რომ ახალგაზრდების ნაწილს შეზღუდული აქვს იმ აქტივობებზე წვდომა, რომლებიც ფასიანია და ესეც გამოწვევაა.

კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევად თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა *ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა*. პრობლემის აქტუალობას ადასტურებს ძირითადი ინფორმანტებისგან მიღებული ინფორმაციაც. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. კვლევის მონაწილეთა შეფასებით, სოფლების უმრავლესობას არ აქვს უკაბელო ინტერნეტზე წვდომა. ამ პირობებში ახალგაზრდებს უწევთ მობილურის ინტერნეტით სარგებლობა, თუმცა ამასთან დაკავშირებით დამატებით ორი ძირითადი საკითხი გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ინტერნეტი, რომელიც ამ გზით მიეწოდებათ, ცუდი ხარისხისაა; მეორე მხრივ კი, მასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები დამატებითი გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის.

პრობლემად გამოიკვეთა ასევე, რიგ შემთხვევაში *ბიბლიოთეკის* არარსებობა, ან არსებობის შემთხვევაში, წიგნად ფონდთან დაკავშირებული გამოწვევები. აღსანიშნავია, რომ ეს გამოწვევაც განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

დასაქმება

როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, გამოწვევა, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმებას უკავშირდება, რამდენადაც მას ყველაზე მეტი ახალგაზრდა, 54% ასახელებს პრობლემებს შორის. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, *დასაქმება*, კერძოდ სამუშაო ადგილების სიმწირე დასახელდა განსაკუთრებულ გამოწვევად და მასზე განსაკუთრებული ყურადღება უფროსი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფში გამახვილდა. მათთან ხაზგასმული იყო, რომ სამუშაო ადგილების სიმწირესთან ერთად, გამოწვევა ნეპოტიზმსაც უკავშირდება, რაც ამცირებს დასაქმების შანსებს.

უშუალოდ სამუშაო სტატუსს რაც შეეხება, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 22% სრულ განაკვეთზე, 4% კი - ნახევარ განაკვეთზეა დასაქმებული. 5% არის თვითდასაქმებული, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული, 6% კი - ფრილანსერია.

გრაფიკი 10. დასაქმების სტატუსი



ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დასაქმება რომ რთული (40%) ან ძალიან რთულია (29%), ამ მოსაზრებას კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა იზიარებს. ამასთან, დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილების არსებობაა ის მთავარი ფაქტორი, რაც დასაქმებას შეუწყობდა ხელს (71%). რაც შეეხება იმ ფაქტორებს შორის, რაში მხარდაჭერაც ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დაეხმარებოდა დასაქმებაში, ორი უმთავრესი ფაქტორი იკვეთება. კერძოდ, პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაში (71%) და სტაჟირების პროგრამებსა და სამუშაო გამცოდილების დაგროვების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის არსებობა (63%). ამასთან, გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერაა ის, რაც ახალგაზრდებს დასაქმებაში დაეხმარებოდა მათ მუნიციპალიტეტში (48%).

გრაფიკი 11. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პროფესიული გადამზადების კურსებზე (18%), ტრენინგებსა და საგანმანათლებლო კურსებზე (15%), ასევე კარიერული დაგეგმვის სერვისებზე (14%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა ის გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია მოგვარდეს ახალგაზრდებისთვის, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს საკითხები დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების გზადაც მიაჩნიათ ახალგაზრდებს.

მიგრაცია

უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში სამუშაო ადგილების და, ზოგადად, დასაქმების პერსპექტივის არსებობა მნიშვნელოვანად შეფასდა იმისთვის, რომ ახალგაზრდებს ადგილზე დარჩენის მოტივაცია და შესაძლებლობა გაუჩნდეთ, რაც დისკუსანტთა აზრით, შიდა მიგრაციის ერთგვარი პრევენციაც იქნება. სამუშაო ადგილების შექმნა ახალგაზრდების რეგიონში დასაბრუნებლად ან დარჩენის მოტივაციის გასაჩენად მნიშვნელოვან წინაპირობად ესახებათ კვლევის მონაწილე ძირითად ინფორმანტებსაც.

უშუალოდ მიგრაციასთან დაკავშირებულ განზრახვებთან მიმართებით რაოდენობრივი კვლევის შედეგები უჩვენებს, რომ შიდა მიგრაციაზე, 2-3 წლის პერსპექტივაში, არ ფიქრობს გამოკითხულთა ნახევარი (47%), ამ ეტაპზე კი ასეთი განზრახვა არ აქვს მეხუთედს (22%). აქვე აღსანიშნავია, რომ, სამუდამოდ საკუთარი საცხოვრებელი ადგილის დატოვების განზრახვა თითქმის არ ფიქსირდება (2%).

გრაფიკი 12. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით



გარე მიგრაციის განზრახვა არ აქვს გამოკითხულთა 64%-ს. ამასთან, უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ქვეყნის დატოვებაზე არ ფიქრობს 20%. მათი რიცხვი, ვინც უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ქვეყნის დროებით დატოვებას ფიქრობს, 12%-ს შეადგენს. როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში, უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობებია განზრახვის მთავარი მიზეზები.

რაც შეეხება აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ პირებს, თვისებრივი კვლევის მონაწილე ყველა ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა, რომ მთავარი პასუხისმგებლი ადგილობრივი თვითმმართველობაა, თავად ახალგაზრდების ჩართულობა კი ამ პროცესში მნიშვნელოვანია. კერძოდ, მათ როლს ინფორმაციის მიწოდებასა და საკუთარი აზრის დაფიქსირების თვალსაზრისით ხედავენ ახალგაზრდები, თუმცა აქვე მიუთითებენ, რომ მნიშვნელოვანია ისეთი ადამიანების თანადგომა, ვის ხელშიც რეალურად არის ძალაუფლება.

იმასთან დაკავშირებით, თუ რა კეთდება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, რაოდენობრივი კვლევის შედეგები ნეიტრალურად ან ნაკლებად დადებითად შეიძლება შეფასდეს. გამოკითხულთა 64% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს, მეოთხედის შეფასებით კი, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად (24%). ამასთან, 10%-ს გაუჭირდა აღნიშნულის შეფასება.

გრაფიკი 13. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება



გამოწვევების მიუხედავად, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პოზიტიურად ფასდება. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (84%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა (60%) და ქვეყნის (57%) მდგომარეობის შეფასებას, ის ნაკლებად ოპტიმისტურია, თუმცა, მაინც მაღალია.

გრაფიკი 14. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთანავე, გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.3 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.5 ქულა) მდგომარეობა. ამასთან, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებაც მაღალია და მაქსიმალური 7-დან 5.4 ქულით ფასდება.

ამგვარად, როგორც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა უჩვენა, ახალგაზრდების წინაშე არაერთი გამოწვევაა, რომელთაგან განსაკუთრებით მწვავეა დასაქმების პრობლემა. გამოწვევების მოგვარებაზე მთავარ პასუხისმგებლად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მიიჩნევიან, რომელთა მუშაობაც ამ ეტაპზე უფრო ნეიტრალურად შეიძლება შეფასდეს, ვიდრე დადებითად. ამასთან, მაღალია როგორც საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება, ასევე უახლოესი 10 წლის მანძილზე საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილების მოლოდინი.

1.5. სასურველი აქტივობები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებმა დააფიქსირებს მოსაზრებები სასურველი აქტივობებისა თუ პროექტების შესახებ. მათი მოსაზრებით, პირველ რიგში, სასურველია *შეკრებებისა და გართობისთვის სივრცის* არსებობა, სადაც ახალგაზრდები შეხვედრების, დისკუსიებისა თუ სხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვას შეძლებენ. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეფასდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერაც. ასეთ სივრცეში მოიაზრება არა მხოლოდ გასართობი ტიპის ღონისძიებების მოწყობის შესაძლებლობა, არამედ კვლევის მონაწილეთა აზრით, ასეთი სივრცის არსებობა მოსაზრებების გაცვლისა და იდეების გენერირების საშუალებასაც გააჩენს. თუმცა, პრიორიტეტულად მაინც გასართობი აქტივობების ორგანიზება ჩაითვალა, რადგან სწორედ ეს არის ახალგაზრდებისთვის ყველაზე საინტერესო და მაღალ ჩართულობასაც გამოიწვევს.

ის, რომ შეკრებებისთვის სივრცეებზე ხელმისაწვდომობის არსებობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის რაოდენობრივმა კვლევამაც დაადასტურა, რამდენადაც ამ სერვისზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე გამოკითხულთა მეოთხედი მიუთითებს (25%).

გარდა ამისა, დისკუსიებზე ასევე აღინიშნა უფრო მეტი და მრავალფეროვანი *სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობის* არსებობის საჭიროებაც. მაგალითისთვის მოყვანილი იყო ლიტერატურული/პოეზიის საღამო, ჭადრაკის წრე და ა.შ. კვლევის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, ასევე სასურველია გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზაცებაც.

წრეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა გამოავლინა რაოდენობრივმა კვლევამაც, განსაკუთრებით სპორტულ წრეებთან დაკავშირებით. კერძოდ, სპორტულ წრეზე/წრეებზე ხელმისაწვდომობის არსებობა ჩაითვალა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ახალგაზრდებისთვის გამოკითხულთა 44%-ის მიერ, მაშინ როდესაც კულტურის/სახელოვნებო წრეებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე 16%-მა მიუთითა.

იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ სხვა აქტორების მიერ ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, დისკუსიებისას გაჟღერდა მოსაზრება *მეცნიერების სფეროში* აქტივობების ორგანიზების სასურველობაზე. კერძოდ, აღინიშნა პროექტების საჭიროება ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებით, რაც ახალგაზრდებს სამომავლო პროფესიის არჩევაშიც დაეხმარებათ. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულებით ინტერესის გაჩენა სკოლის პერიოდში სათანადო დონეზე არ ხდება. გარდა ამისა, სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებები გაზრდის ახალგაზრდების ინფორმირებულობას სხვადასხვა თემისა და სფეროის შესახებ. ამასთან, აღინიშნა *ტრენინგების, კონსულტაციებისა და ღია კარის* დღეების მნიშვნელოვნებაც, ისევ და ისევ სხვადასხვა სფეროს შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად.

გრაფიკი 15. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



N=185

ამასთან, ახალგაზრდებისთვის ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობაა მნიშვნელოვანი, რაც დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს პასუხობს. კერძოდ, უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე (44%), ასევე სხვადასვა ტიპის ტრენინგებსა (14%) და სემინარებზე/ვოქრშოპებზე (9%) ხელმისაწვდომობა. ასევე, მეწარმეობის შელშემწყობი (17%) და კარიერული დაგეგმვის სერვისების (12%) ხელმისაწვდომობის არსებობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოკითხულთა მესამედი თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია ისეთ სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორიცაა ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები (30%), საბანაკე პროგრამებზე კი 26% მიუთითებს. აქვე საგულისხმოა, რომ ბიბლიოთეკის/სამკითხველო კლუბის სერვისის არსებობაზე მიუთითა გამოკითხულთა მეხუთედმა (20%).

აღსანიშნავია თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. კერძოდ, უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა *ფსიქოლოგის სერვისით* სარგებლობის საჭიროებაც, სადაც ახალგაზრდებს სხვადასხვა თემაზე საუბრის საშუალება ექნებათ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების ორგანიზება, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა, ასევე ახალგაზრდულ საქმიანობასა და დასაქმების ხელშემწყობ სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის გაჩენა არის არსებითი ახალგაზრდებისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.[2]

[2] დეტალური თვისებრივი ანგარიში, ასევე სრული გრაფიკული ანგარიში შესაბამისი მიგნებებითა და რეკომენდაციებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით

II

ბაღდათის მუნიციპალიტეტი



ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი დაბალია. ათიდან შვიდმა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (68%);

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ ნაწილს **ბიბლიოთეკებზე/სამკითხველო** კლუბებზე (46%) აქვს წვდომა დასახლებაში. ამასთან, **არცერთ სერვისზე** არ აქვს წვდომა ახალგაზდების მესამედს (32%);

- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად უმრავლესობის მიერ (57%); საჩხერე - 54%, დანარჩენი იმერეთი - 54%, იმერეთის რეგიონი - 54%);

- **სტაჟირების პროგრამებსა** (69%) და **პროფესიული უნარ-ჩვევების** (66%) დახვეწაში მხარდაჭერა დაეხმარებოდა დასაქმებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს ბაღდათის მუნიციპალიტეტში. ასევე, მხარდაჭერა **ინგლისური ენის შესწავლა/ დახვეწაში** (49%);

- სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი. ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობაც** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ყოველი მეორე ახალგაზრდის მიერ (51%);

- მიუხედავად **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის მისით დაკავებული. უმრავლესობის შეფასებით ახალგაზრდების მცირე ნაწილი (64%) ან თითქმის არავინაა (10%) სპორტით/ ფიზიკური აქტივობით დაკავებული, რის მთავარ მიზეზადაც მოტივაციის არარსებობა (39%) სახელდება. სპორტით/ფიზიკური აქტივობით არ არის დაკავებული არც რესპონდენტთა უმრავლესობა (63%);

- **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა, სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა**, ასევე **ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია** ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;

- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (39%), სივრცეები შეკრებებისთვის (35%) თუ ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები (35%);

- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (93%);

- გამოკითხულთა 41% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 15% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში**;

- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს 57%-ს. აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ახალგაზრდები ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ჰქონდათ სურვილი;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე გამოკითხულთა 67% აფიქსირებს. აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ყველგან სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (50%);

- ათიდან სამზე მეტ ახალგაზრდას ბაღდათში (35%) უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 73% მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცულია;

- მუნიციპალიტეტში სხვადასხვა **სარისკო ქცევაა** გავრცელებული ახალგაზრდებში, ყველაზე გავრცელებულ სარისკო ქცევებად კი სიგარეტის მოწევა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება გამოიკვეთა;

- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა დაბალია. შიდა მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე არ ფიქრობს გამოკითხულთა 68%. რაც შეეხება გარე მიგრაციას, ეს განზრახვა არ აქვს რესპონდენტთა 73%-ს. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, უკეთესი განათლების მოტივაციაა უმთავრესი შიდა მიგრაციის განრახვის შემთხვევაში და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობები, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობები გარე მიგრაციისას;

- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია (5.3 ქულა მაქსიმალური 7-დან);

- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია ყველა მუნიციპალიტეტში. ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (70%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (38%) თუ ქვეყნის (38%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 *სიღრმისეული ინტერვიუ*. ფოკუსურ ჯგუფებში რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[3] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[3] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 2. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	3	200
კვლევის არეალი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგები მოწმობს, ახალგაზრდები ინტერესდებიან საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებით, რამდენადაც მხოლოდ 7%-ს შეადგენს მათი რიცხვი, ვინც მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ იღებს. ამასთან, ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო მუნიციპალიტეტის სოციალური გვერდია ფეისბუქში (56%). ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს ასევე წარმოადგენენ მეგობრები/ახლობლები (44%). საგულისხმოა, რომ სოციალურ ქსელში სხვადასხვა გვერდთან ერთად (20%), მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირების წყაროს ახალგაზრდების 13%-ისთვის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, 10%-ისთვის კი ადგილობრივი ტელევიზია წარმოადგენს.

გრაფიკი 16. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (57%) თუ სახლს გარეთ (3%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (2%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 38%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (93%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (86%) იყენებს.

კვლევის მონაწილეთა 27%-ის შეფასებებით, მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებულია/სრულადაა გათვალისწინებული. 32% საპირისპირო მოსაზრებას იზიარებს, მაშინ როდესაც 36%-ის შეფასება აღნიშულისა ნეიტრალურია.

გრაფიკი 17. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=150

თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქტივობები ნაკლებად მოიცავს უფროსი ასაკის ახალგაზრდებს, ამასთან სოფლის ტიპის დასახლებებს, ბუნებრივია, ახალგაზრდების შეფასება, რომლის მიხედვითაც, მათზე ორიენტირებული ღონისძიებები მათსავე ინტერესებს ნაკლებად პასუხობს. ზოგადად, როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები მოწმობს, აქტივობები ძირითადად სპორტული, საქველმოქმედო თუ კულტურული ხასიათისაა, რადგან სწორედ ეს გაახსენდათ კვლევის მონაწილე ახალგაზრდებს. მეტიც, აღინიშნა, რომ ისინი მხოლოდ ახალგაზრდებზეც შეიძლება არ იყოს ორიენტირებული და სხვებსაც მოიცავდეს. ზოგადად, დისკუსიებზე ხაზგასმული იყო, რომ აქტივობები უმეტესად სწორედ სკოლის ასაკის ახალგაზრდებს მოიცავს, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ახალგაზრდების გადინებაა მუნიციპალიტეტიდან. ამასთან, აქტივობები ძირითადად მუნიციპალურ ცენტრში იყრის თავს, რომლებზე დასწრებაც გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის სოფლის ტიპის დასახლებებიდან, სადაც ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობაა შეზღუდული. ამასთან, მიუხედავად სოციალური ქსელებით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობისა, რაც ასევე აღინიშნა დისკუსიებზე, პრობლემად მაინც იდენტიფიცირდა ინფორმირების საკითხი. კერძოდ, ერთ-ერთი შეფასებით, დაგეგმილი აქტივობების თაობაზე ინფორმაციას სოფლის ტიპის დასახლებებში ახალგაზრდები ან საერთოდ არ იღებენ, ან ინფორმაცია ვრცელდება, მაგრამ მას კონკრეტული ადრესატები ჰყავს. შესაბამისად, დაგეგმილ აქტივობებში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ჩართვა ვერ ხერხდება.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს, როგორც სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა აღნიშნეს, მათი თანატოლები ხშირად არიან აქტივობათა ინიციატორები, თუმცა უმეტესად ეს ეხება სპორტულ ან გარემოცდაცვითი აქტივობების დაგეგმვას (დასუფთავების აქცია). აღინიშნა, რომ უფრო საუბარი შეიძლება იმაზე, რომ არსებობს რამდენიმე აქტიური ახალგაზრდა, რომელთა ინიცირებითაც საინტერესო პროექტების განხორციელების მაგალითები არსებობს. თუმცა, ხაზგასმული იყო, რომ ეს მაინც გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე დამკვიდრებულ პრაქტიკად.

რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, ის უფრო ოპტიმისტურია, რამდენადაც იქ ათიდან თითქმის ოთხი გამოკითხული თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორები თავად ახალგაზრდები არიან (38%). ადგილობრივ მუნიციპალიტეტზე მეოთხედი (28%), არასამთავრობო სექტორზე კი, როგორც აქტივობათა ინიციატორზე - მეხუთედი (21%) მიუთითებს.

გრაფიკი 18. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები

რაც შეეხება იმას, რამდენად სმენიათ რესპონდენტებს იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი მსგავს ინფორმაციას არ ფლობს (68%), 22%-ს კი სმენია მათ შესახებ, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია. ის პროგრამები და სერვისები კი, რომელთა შესახებაც ყველაზე მეტ ახალგაზრდას სმენია, ბანაკებს/საზაფხულო სკოლებს, ასევე მოხალისეობრივ პროგრამებს უკავშირდება.

გრაფიკი 19. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ

თუ კვლევის შედეგებს შევაჯამებთ, უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული სივრცისა (გეიმ-ზონა), აქტივობები მაინც ერთფეროვანია, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს არ პასუხობს, რამდენადაც, არც იცნობს მათ; ამასთან, არ ფარავს ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს, თავად ახალგაზრდები კი ინიციატივებითაც ნაკლებად გამოირჩევიან. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურ გვერდს ფეისბუქში მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, სხვა წყაროებთან ერთად, ინფორმირებისთვის ახალგაზრდების დიდი ნაწილი იყენებს, უშუალოდ ახალგაზრდული მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირების მაჩვენებელი დაბალია.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღებასა თუ სხვადასხვა პროცესში ჩართულობა დაბალია. ეს აღინიშნა როგორც ძირითად ინფორმანტებთან, ასევე ახალგაზრდებთან. აქვე იმასაც გაესვა ხაზი, რომ პრობლემა არ არის უნიკალური ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის და მთელი ქვეყნისთვის წარმოადგენს გამოწვევას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების მეოთხედი მიიჩნევს, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდები ახდენენ გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ დონეზე (25%), ამასთან 34%-ის შეფასება ნეიტრალურია. რაც შეეხება 36%-ს, ისინი აღნიშნულს ნეგატიურად აფასებენ (ვერ ახდენენ გავლენას - 23%, საერთოდ ვერ ახდენენ გავლენას - 13%). ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ კვლევის მონაწილეთაგან, ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მხოლოდ 7%-მა მიიღო და ეს უმეტესად გულისხმობდა მონაწილეობას შეხვედრებში თუ საკითხების განხილვაში.

გრაფიკი 20. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



N=150

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (92%) ისეთ სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობას, როგორიც მოხალისეობაა, მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად აფასებს. ამის პარალელურად, ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს 57%-ს. ყველაზე მეტი გამოკითხულის, 26%-ის მოხალისეობრივი აქტივობა კი საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას უკავშირდება. 19%-ს გამწვანების აქციაში, 10%-ს კი - სპორტულ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა.

გრაფიკი 21. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე

მათი უმრავლესობა, ვისაც მოხალისეობრივ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა, ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობის თაობაზე (45%), მესამედმა ვერ მოიცალა (28%), 16%-ს კი სურვილი არ ჰქონდა.

კიდევ უფრო დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად ფასდება გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ (85%). სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება ათიდან თითქმის შვიდ გამოკითხულს არ აქვს (67%). აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (51%). ამასთან, 27% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, 17% კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის.

გრაფიკი 22. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



რესპონდენტთა მესამედის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (41%). ამასთან, 37%-ის შეფასებით, მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობაში. გამოკითხულთა 15%-ის აზრით, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო აქტივობებში არ მონაწილეობენ.

გრაფიკი 23. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დაბალი ჩართულობის ერთი მიზეზი დაბალ ცნობიერებას, მეორე კი - არაინფორმირებულობას უკავშირდება. ეს უკანასკნელი ასოცირებულია როგორც ჩართულობის მექანიზმების შესახებ არაინფორმირებულობასთან, ასევე ჩართულობის კონტექსტში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობის (მაგ: ბიუჯეტის განხილვა) თაობაზე ინფორმაციის სიმწირესთან. ის, რომ ჩართულობის მნიშვნელობის გაუცნობირებლობა გამოწვევაა გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებშიც. გამოკითხულთა 43%-ის შეფასებით, სწორედ ის არის დაბალი ჩართულობის მიზეზი, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა. ამასთან, 16% იმაზეც მიუთითებს, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორც ჩაერთონ პროცესებში, რაც დაბალი ჩართულობის მიზეზია ასევე.

ჩართულობისა და სამოქალაქო აქტიზმის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. აღმოჩნდა, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები არის ის ღირებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელობს ახალგაზრდებისთვის. მისი შეფასება მაქსიმალური 7-დან მხოლოდ მხოლოდ 2.8 ქულაა. ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარს (50%), ყველაზე მეტს კი აინტრესებს ზოგადად პოლიტიკა საქართველოში (35%). აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა მხოლოდ 9%-ს ევროკავშირთან ურთიერთობა - 13%-ს აინტერესებს.

მიუხედავად გამოწვევებისა, იმასთან დაკავშირებით, რომ ჩართულობა მნიშვნელოვანია სრული თანხმობაა ახალგაზრდებს შორის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მთავარი არგუმენტის თანახმად, გარდა იმისა, რომ ეს თემის განვითარებას უწყობს ხელს, ჩართულობა და აქტივიზმი თავად პიროვნულ განვითარებაშიც ეხმარება ახალგაზრდას. სწორედ თვითრეალიზებისა და და ახალი შესაძლებლობების გაჩენისთვის ფასდება მნიშვნელოვნად ჩართულობა კვლევის მონაწილეთა მიერ.

ჩართულობის გასაზრდელად არსებითად ჩაითვალა ცნობიერების ამაღლება. მეტიც, აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით ახლა ძირითადად მესამე სექტორი მუშაობს („*ბავშვების ცნობიერების ამაღლება შეტოვებული არის არასამთავრობო ორგანიზაციებზე*“), ფორმალური განათლების, კერძოდ, სკოლის როლი კი პროცესში არსებითია. ამ თვალსაზრისით კრიტიკულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა სამოქალაქო განათლების მიმართულების გაძლიერება სკოლებში.

1.3. უფლებები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში უფლებების დარღვევაზე ან შეზღუდვაზე ნაკლებად გამახვილდა ყურადღება ახალგაზრდების მიერ. საგულისხმოა ისიც, რომ ერთ-ერთი დისკუსანტის შეფასებით, ეს მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ არ აქვს მსგავს ფაქტებს ადგილი, არამედ იმითაც, რომ ახალგაზრდებმა არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ და არც იმაზე ფლობენ ინფორმაციას, რა შეიძლება ითვლებოდეს დარღვევად და რა - არა. შესაბამისად, განცდაც უფლებების დაცულობაზე ნაკლებ გაცნობიერებასაც შეიძლება უკავშირდებოდეს. ამ მოსაზრებას ამყარებს რაოდენობრივი კვლევის შედეგიც, რომლის თანახმადაც, ბაღდათის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 35% ვერ ასახელებს ვერცერთ უფლებას, რომლის შესახებაც სმენია. ამის მიუხედავად, უმრავლესობა, 73% მიიჩნევს, რომ მისი უფლება დაცულია, 24%-ის შეფასებით კი, მისი უფლება ნაწილობრივაა დაცული.

უფლებების შეზღუდვაზე ან დარღვევაზე არ გამახვილებულა ყურადღება არც კვლევის მონაწილე ძირითად ინფორმანტებთანაც. თუმცა აღინიშნა, რომ ხარისხიანი განათლება არ არის ხელმისაწვდომი, რითიც აიხსნება თუნდაც ქუთაისიდან დედაქალაქსა თუ საზღვარგარეთ საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად ახალგაზრდების რეგიონიდან გადინება.

მთავარი კი, რასაც ხაზი გაესვა უფლებების კონტექსტში უკავშირდება არა უფლებების შესახებ არასაკმარის ცოდნას, არამედ არაინფორმირებულობას უფლებების უშუალოდ დაცვის მექანიზმების თაობაზე.

უფლებებზე საუბრისას ახალგაზრდებმა ძირითადად სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციასა და ბულინგზე ისაუბრეს. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა დისკრიმინაციაზე ასაკის ნიშნით, რაც, თავის მხრივ, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დაუკავშირდა. უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილებაზე არ მიუთითებს.

მიუხედავად ცალკეული შემთხვევების აღნიშვნისა, მაინც უფლებებთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოწვევაა ინფორმირების კუთხით. ერთი მხრივ, ახალგაზრდებმა არ იციან, რას გულისხმობს უფლებები და მეორე მხრივ, არც ის იციან, რა შეიძლება ჩაითვალოს უფლებების შეზღუდვად. თუ ძირითადი ინფორმანტის ხედვასაც გავითვალისწინებთ, ასევე გამოწვევაა ის, რომ ახალგაზრდების არც უფლებების დაცვის მექანიზმებზე არიან ინფორმირებულნი. შესაბამისად, ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება ახალგაზრდების უფლებებთან დაკავშირებულ რელევანტურ საკითხებზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

1.4. გამოწვევები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე განსაკუთრებით მწვავე პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება ბაღდათის მუნიციპალიტეტში. პირველ რიგში, პრობლემად იკვეთება *სპორტულ ინფრასტრუქტურაზე*, ასევე, *სპორტულ წრეებზე* შეზღუდული ხელმისაწვდომობა. როგორც აღინიშნა, ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ახალგაზრდებს სხვა მუნიციპალიტეტშიც კი უწევთ სიარული (ფიტნესზე ზესტაფონში დავდივარ). რაც შეეხება სპორტულ წრეებს, გარდა იმისა, რომ მათზე წვდომა განსაკუთრებით შეზღუდულია სოფლის ტიპის დასახლებებში, გამოწვევად აღინიშნა ისიც, რომ „გოგოებისთვის თითქმის არაფერია". შესაბამისად, სპორტული წრეები, რომლებიც, მათ შორის, გოგოების ინტერესებსაც დააკმაყოფილებს, მნიშვნელოვანია არსებობდეს. ის, რომ სპორტულ წრეებზე (21%), ასევე სპორტულ ინფრასტრუქტურაზე (12%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებშიც.

გამოწვევაა ასევე *გასართობი სივრცეების* არარსებობა. მართალია, „გეიმ ზონის" არსებობით ერთი ახალგაზრდული სივრცე გაჩნდა მუნიციპალიტეტში, მაგრამ ეს არასაკმარისადაა მიჩნეული კვლევის მონაწილეთა მიერ. მეტიც, აღინიშნა, რომ სივრცეების არსებობა როგორც გართობისთვის, ასევე დისკუსიებისა და საგანამანთლებლო აქტივობებისთვის მნიშვნელოვანია შეიქმნას არა მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში, არამედ სოფლებშიც. გასართობ და დასასვენებლ ადგილებზე (15%), ასევე შეკრებებისთვის სივრცეებზე (12%) უზრუნველყოფის მნიშვნელობა გამოავლინა რაოდენობრივმა კვლევამაც.

სოფლის ტიპის დასახლებებისთვის განსაკუთრებულ გამოწვევად გამოიკვეთა ტრანსპორტსა და ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, ბევრ აქტივობაში მონაწილეობის თვალსაზრისით აფერხებს ახალგაზრდებს.

კიდევ ერთ პრობლემად ახალგაზრდებმა *ბიბლიოთეკის* არარსებობა ან გაუმართავი უნფრასტრუქტურა დაასახელეს. როგორც აღინიშნა, მათი არარსებობა განსაკუთრებით პრობლემურია სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

გრაფიკი 24. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის



დასაქმება

მართალია, ახალგაზრდების წინაშე არაერთი გამოწვევაა, თუმცა ის, რომ დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებული გამოწვევაა, მითუფრო უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის გამოავლინა როგორც თვისებრივმა, ასევე რაოდენობრივმა კვლევამ. კერძოდ, გამოკითხულთა 57% იმ პრობლემებს შორის, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში სწორედ დასაქმებაზე მიუთითებს. ამასთან, სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე მიუთითებს გამოკითხულთა 27%.

თუ გამოკითხულთა დასაქმების მაჩვენებელს ვნახავთ, აღმოჩნდა, რომ სრულ განაკვეთზე დასაქმებულია 12%, 7% კი თვითდასაქმებულია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული. ამასთან, 22% უმუშევარია, რომელიც არ ეძებს სამსახურს, 19% კი - უმუშევარია, რომელიც სამსახურს ეძებს.

გრაფიკი 25. დასაქმების სტატუსი



ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დასაქმება ფასდება, როგორც რთული (44%) ან ძალიან რთული (25%). ამასთან, დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილების არსებობაა ის მთავარი ფაქტორი, რაც დასაქმებას შეუწყობდა ხელს (65%). რაც შეეხება იმ ფაქტორებს შორის, რაში მხარდაჭერაც ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დაეხმარებოდა დასაქმებაში, ორი უმთავრესი ფაქტორი იკვეთება. კერძოდ, სტაჟირების პროგრამებსა და სამუშაო გამცოდილების დაგროვების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის არსებობა (69%) და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაში (66%) მხარდაჭერა. ამასთან, გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერაა ის, რაც ახალგაზრდებს დასაქმებაში დაეხმარებოდა მათ მუნიციპალიტეტში (49%).

გრაფიკი 26. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



თვისებრივი კვლევის ფარგლებში დასაქმების თვალსაზრისით ორი საკითხი გამოიკვეთა. ერთი, გამოწვევა უკავშირდება ზოგადად, სამუშაო ადგილების სიმწირეს. მეორე, ასევე სერიოზული გამოწვევაა დაბალი ანაზღაურება იმ პოზიციებზე, სადაც იშვიათად, მაგრამ ვაკანტური ადგილები შეიძლება გაჩნდეს. შესაბამისად, ახალგაზრდები მუნიციპალიტეტიდან წასვლას ან დაბრუნებაზე უარის თქმას ამჯობინებენ, რათა დედაქალაქში, სხვა დიდ ქალაქებსა თუ თუნდაც სხვა ქვეყანაში დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები გამოიყენონ.

დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რეაგირებისთვის პროფესიული განათლების ხელშეწყობა და ახალგაზრდების გადამზადება, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩაითვალა მნიშვნელოვნად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის მიერ. ამასთან, დასაქმების ხელშეწყობის კონტექსტში მის მიერ აღინიშნა ტექნიკური უნარებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებაში ახალგაზრდების მხარდაჭერის მნიშვნელობა. ამასთან, ის, რომ პროფესიული გადამზადების კურსებზე (13%), ასევე კარიერული დაგეგმვის (15%) სერვისებზე ხელმისაწვდომობის არსებობა სახელდება მნიშვნელოვან გამოწვევად, რომელიც საჭიროებს მოგვარებას ასევე მიუთითებს იმაზე, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული ეს საკითხები ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისთვის ამ პრობლემაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი შეიძლება იყოს.

მიგრაცია

დასაქმების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს თვისებრივი კვლევის მონაწილეები მიგრაციის პრობლემასაც უკავშირებენ, როგორც უკვე აღინიშნა. რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, აქ ირკვევა, რომ უახლოესი 2-3 წლის პერსპექტივაში შიდა მიგრაციაზე არ ფიქრობს გამოკითხულთა უმრავლესობა (57%). ამგვარი განზარხვის არსებობას და დროებით საცხოვრებელი ადგილის დატოვებას რესპონდენტთა 26% აფიქსირებს და მათი მთავარი მოტივაცია უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას უკავშირდება.

გრაფიკი 27. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით



N=150

გარე მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით არ აქვს გამოკითხულთა 72%-ს. თუმცა, მათი რიცხვი, ვინც ქვეყნის დროებით დატოვებას ფიქრობს 23%-ია. გარე მიგრაციის შემთხვევაში, მთავარი მოტივატორი დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობებია.

რაც შეეხება *პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ მთავარ აქტორს*, თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები მასში ადგილობრივ თვითმმართველობას მოიაზრებენ, რომლის მიმართაც ნდობა და პრობლემების მოგვარების მოლოდინი ნაკლებად ფიქსირდება. რაც შეეხება იმას, თუ რა კეთდება პრობლემების მოსაგვარებლად ამ ეტაპზე, აქ შეფასებები ნეგატიური იყო. მეტიც, აღინიშნა, რომ „არაფერი კეთდება“ პრობლემების მოსაგვარებლად. ამასთან, ხაზგასმული იყო, რომ წინასაარჩევნოდ ხდება გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ შესაბამისი დაპირებების გაცემა, თუმცა, რეალურად დანაპირების შესრულებას ნაკლებად აქვს ადგილი.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც უფრო ნეგატიურ შეფასებებზე მიუთითებს, რამდენადაც, გამოკითხულთა უმრავლესობა (55%) მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს და ამასთან, 37%-ის შეფასებით, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად.

გრაფიკი 28. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება



ერთ-ერთი მოსაზრებით, რომელიც დისკუსიაზე გაჟღერდა, პრობლემებზე დროული რეაგირებისა და გადაჭრისთვის აუცილებელია მეტი ახალაგაზრდული ორგანიზაციის შექმნა და და გააქტიურება ადგილზე. სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წარმოჩენა. თავად ახალგაზრდების როლსაც ამ ნაწილში მოაზრებენ დისკუსიების მონაწილეები. მათი შეფასებით, ახალგაზრდებმა აუცილებელია, სულ მცირე, გააჟღერონ პრობლემები და გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირება უზრუნველყონ მათ წინაშე არსებული გამოწვევების თაობაზე. სწორედ ამიტომ, საკუთარი პრობლემების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებთა დროული ინფორმირება ჩაითვალა მნიშვნელოვნად ახალგაზრდების მიერ, რომელთა მთავარი გამოწვევები სპორტულ ინფრასტრუქტურასა და სპორტულ წრეებზე დაბალ ხელმისაწვდომობას, გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების სიმწირედ, ასევე ბიბლიოთეკების არარსებობასა და, განსაკუთრებით, დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებთანაა ასოცირებული.

მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში პოზიტიურად ფასდება. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (70%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა (38%) და ქვეყნის (38%) მდგომარეობის შეფასებას, ის ნაკლებად ოპტიმისტურია და მას ამგვარად ათიდან დაახლოებით ოთხი გამოკითხული აფასებს.

გრაფიკი 29. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთანავე, გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.1 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.3 ქულა) მდგომარეობა. ამასთან, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებაც მაღალია და მაქსიმალური 7-დან 5.3 ქულით ფასდება.

1.5. სასურველი აქტივობები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში სასურველ აქტივობებსა თუ პროექტებს შორის რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, აღინიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტში, როგორც ცენტრში, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში გაჩნდეს *ახალგაზრდული სივრცეები*, რომლებიც არა მხოლოდ გართობისათვის იქნება განკუთვნილი, არამედ, პირველ რიგში საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამასთან, სივრცე ინტერნეტზე წვდომასაც უნდა უზრუნველყოფდეს, რათა ახალგაზრდებს იქვე მუშაობის შესაძლებლობაც მიეცეს. ის, რომ ახალგაზრდული სივრცეების შექმნა მნიშვნელოვანია ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე ძირითადი ინფორმანტის მიერაც. საგულისხმოა, რომ შეკრებებისთვის სივრცეების დასახლებაში არსებობის მნიშვნელობაზე რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 35%-მა მიუთითა.

ამასთან სასურველად დასახელდა *სპორტული ინფრასტრუქტურის* გამართვა როგორც მუნიციპალურ ცენტრში, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში. ის, რომ სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნათელია რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც. გამოკითხულთა ნახევარი სწორედ დასახლებაში ამ სერვისზე ხელმისაწვდომობას ასახელებს ყველაზე მნიშვნელოვნად (51%).

იქედან გამომდინარე, რომ გამოწვევად ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტში *ბიბლიოთეკებთან* დაკავშირებული საკითხი გამოყვეს, ბუნებრივია, აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა სასურველად დასახელდა. აღინიშნა, რომ აუცილებელია არა მხოლოდ ბიბლიოთეკის მოწყობა, არამედ სამკითხველო კლუბის შექმნა, რომელიც ავტორთა მოწვევასა და სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვას უზრუნველყოფს.

ის, რომ ბიბლიოთეკასა და სამკითხველო კლუბზე ხელმისაწვდომობის არსებობა დასახლებაში მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის დასტურდება რაოდენობრივი კვლევისთაც. გამოკითხულთა 23% ასახელებს მას იმ სერვისებს შორის, რომლის არსებობაც მნიშვნელოვანია დასახლებაში ახალგაზრდებისთვის.

ასევე, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვნად ჩაითვალა *ბანაკების* ორგანიზება. მთავარი არგუმენტის თანახმად, ისინი არა მხოლოდ დასვენებისა და გართობის კარგი საშუალებაა, არამედ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სოციალიზაციისა და სხვადასხვა უნარის ათვისებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვნად ჩაითვალა სხვადასხვა სახის კონკურსის ორგანიზება (მაგ: ესეებს კონკურსი, ფესტივალები) თუ კინოჩვენებების მოწყობა. საბანაკე პროგრამების მნიშვნელობა აღინიშნა რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 18%-ის მიერაც.

გრაფიკი 30. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



აღინიშნა ასევე, რომ შესაძლებელია ისეთი პროექტების განხორციელებაც, რომლებიც მხოლოდ ახალგაზრდებზე კი არ იქნება მორგებული არამედ მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალსაც გააჩენს და, ამით, ისეთ გამოწვევაზეც მაოხდენს რეაგირებას, როგორიც უმუშევრობაა.

დასაქმების კონტექსტშივე, უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის ასევე მნიშვნელოვნად ჩაითვალა სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ის, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანია მანამდეც აღინიშნა. აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დასახლებაში არსებობა დაასახელეს მნიშვნელოვნად, რომლებიც დასაქმებასთანაა კავშირში და გულისხმობს უცხო ენის შემსწავლელ კურსზებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას (39%), ასევე მეწარმეობის ხელშემწყობ (17%) თუ კარიერიული დაგეგმვის (15%) სერვისებზე ხელმისაწვდომობას. თუ ისეთ სერვისებსაც გავითვალისწინებთ, რომლებიც ასევე ხელშემწყობია დასაქმებისთვის (ტრენინგ კურსებზე - 13%, სემინარებზე/ვორქშოპებზე - 8%, საინფორმაციო/საკონსულტაციო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - 7%), შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ გართობის, არაფორმალური განათლებისა და სპორტული აქტივობების ხელშეწყობასთან ერთად, ბაღდათის მუნიციპალიტეტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს წვდომა ჰქონდეთ სერვისებთან, რომლებიც მათ დასაქმებაში შეუწყობთ ხელს.[4]

[4] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

III

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

**გარდაბნის მუნიციპლაიტეტის რაოდენიბრივი კვლევის მონაცემები, მოცემულია კლვევის პირველ ნაწილში: „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები, მუნიციპლაურ და რეგიონულ დონეზე (ქვეთავი: ქვემო ქართლის რეგიონი და თეთრიწყაროს და გარდაბნის მუნიციპალიტეტებ)* http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf

თვისებრივი კვლევის ანგარიში



ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- გარდაბნის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების სიმწირე ბარიერებს შორის არ სახელდება. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი ამ თვალსაზრისით რაიმე ბარიერის არსებობაზე არ მიუთითებს, განსხვავებით არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, რომლებიც კვალიფიკაციის თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას. ეს შეფასებები შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ახალგაზრდობის მიმართულებაზე პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიმღები პირების კვალიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანია.

- აქტივობები, რომლებიც ახალგაზრდობის მიმართულებით იგეგმება მუნიციპალიტეტში ერთფეროვანია, არ არის გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული, თითქმის არ პასუხობს უფროსი ასაკის ახალგაზრდების ინტერესებს და არც სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ფარავს.

- ჩართულობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში დაბალია, რის მიზეზადაც სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა სიზარმაცე და უბრალოდ ინტერესის არქონა, უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა კი, ინტერესის არარსებობასთან ერთად, დროის დეფიციტი და ნიჰილიზმი დაასახელეს. კიდევ ერთ მიზეზად მშობლების მიერ ჩართულობის წახალისების ნაცვლად, მათი ნეგატიური დამოკიდებულება სახელდება. შესაბამისად, ცნობიერების ამაღლება, ჩართულობის ფორმების შესახებ ინფორმირება და აქტივიზმის რეალური შედეგების დემონსტრირება მნიშვნელოვანია. ამასთან, არსებითია ცნობიერების ამაღლება ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში და, განსაკუთრებით, გოგოების ჩართულობისა და მათ მიერ განათლების მიღების მნიშვნელობაზე.

- უფლებების შეზღუდვის კონტექსტში უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან შრომითი უფლებების დარღვევაზე გამახვილდა ყურადღება, რაც დაბალ ანაზღაურებასა და არანორმირებულ სამუშაო დროს უკავშირდება.

- აღინიშნა ხარისხიანი განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, რაც, პირველ რიგში, ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებულ გამოწვევებს უკავშირდება. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტში ეს საკითხი სერიოზულ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ამასთან, აღნიშნულისთვის კვალიფიციური კადრების მობილიზება კრიტიკულად მნიშვნელოვნად შეიძლება შეფასდეს.

- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას სკოლებში სხვადასხვა ნიშნით ბულინგის არსებობა გამოიკვეთა. ამდენად, შესაბამისი ცნობიერების კამპანიების დაგეგმვა და სკოლებთან თანამშრომლობით აქტივობების ორგანიზება მნიშვნელოვანია.

- ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში პრობლემად იდენტიფიცირდა ნაადრევი ქორწინება, რაც ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა თუ სხვა სახის აქტივობების დაგეგმვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ასევე პრობლემაა გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების სიმწირე ან საერთოდ არარსებობა სოფლის ტიპის დასახლებებში. ასევე შეზღუდული ხელმისაწვდომობა სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე.

- უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან განსაკუთრებულ პრობლემად დასაქმება იდენტიფიცირდა, თუმცა, პროფესიული უნარების განვითარების მნიშვნელობაზე, სამეწარმეო უნარების განვითარებასა თუ პროფესიულ გადამზადებაზე ახალგაზრდებს არ უსაუბრიათ, რაც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხების მნიშვნელობის გაუცნობიერებლობაზე მიანიშნებს. შესაბამისად, პროფესიული გადამზადებისა თუ მეწარმეობის უნარების განვითარების მნიშვნელობაზე, ასევე ამ მიმართულებით არსებულ სხვადასხვა შესაძლებლობაზე ახალგაზრდების ინფორმირება მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ამ შესაძლებლობების შეთავაზება.

- ახალგაზრდობის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვა-განხორციელებისთვის, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო თუ სათემო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობისა, ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საბჭოს არსებობა, რომელიც სხვადასხვა თემის წარმომადგენლით დაკომპლექტდება. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ საბჭოში იყვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც, პოლიტიკის დოკუმენტი კი უმცირესობათა ინტეგრაციაზე ორიენტირებულ კონკრეტულ ხედვას ითვალისწინებდეს.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

აღნიშნული დოკუმენტი თვისებრივი კვლევის ანგარიშს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ გარდაბნის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსურ ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი). ამასთან, მუნიციპალიტეტის თავისებურების გათვალისწინებით, ფოკუსურ დისკუსიებზე მოწვეულები იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[5] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა რეგიონში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთაგან ერთი უშუალოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[5] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 3. თვისებრივი კვლევის დიზაინი

	თვისებრივი კვლევის დიზაინი	
ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**
რაოდენობა	3	3
კვლევის არეალი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 მუნიციპალური პოლიტიკა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებს მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური კურირებს, სადაც სულ 10 ადამიანია დასაქმებული, უშუალოდ ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი კი 3 თანამშრომელია.

ქვეყანაში შექმნილი პანდემიური რეალობიდან გამომდინარე, სამსახურის ინფორმაციით, ახალგაზრდობის მიმართულებით აქტივობები გასულ წელს არ დაგეგმილა. რაც შეეხება 2019 წელს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში შემდეგი აქტივობები განხორციელდა: პროექტი „შემოიარე საქართველო“, სპორტულ-ინტელექტუალური კონკურსი „საგანძურის ძიება“, „ახალგაზრდული ფესტივალი“, სპორტული კვირეული და ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა სულ 1 900-მდე ახალგაზრდამ მიიღო, ბიუჯეტმა კი - 98 000 ლარი შეადგინა. 2021 წელს კვლავ ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი ახალგაზრდობის მიმართულებით და ამ აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხა 91 000 ლარს შეადგენს.

კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისთვის *ფინანსური რესურსების* სიმწირე ბარიერებს შორის არ აღნიშნულა. მეტიც, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებით, მათ საკმარისი თანხები აქვთ აქტივობათა განსახორციელებლად და, ამასთან, არსებობს გადაწყვეტულების მიმღები პირების ნება, დაფინანსდეს ყველა „დახვეწილი იდეა“, რომელიც ახალგაზრდობის მიმართულებით შეიძლება გაუჩნდეს შესაბამის სამსახურს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი არც *ადამიანური რესურსის* თვალსაზრისით გამოწვევების არსებობაზე მიუთითებს. ამ კონტექსტში საგულისხმოა კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის შეფასება. მისი აზრითაც, ფინანსური რესურსების თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში გამოწვევები ნაკლებად აქვთ. რაც შეეხება ადამიანურ კაპიტალს, იქ კვალიფიკაციის თვალსაზრისით გამოწვევებია.

„მუნიციპალიტეტის უმრავლესობებს ბიუჯეტის პრობლემა აქვს, გარდაბნის მუნიციპალიტეტს ნამდვილად არ აქვს ამის პრობლემა. საკმარისი თანხები გვაქვს... ადამიანური რესურსის თვალსაზრისითაც არ გვაქვს [გამოწვევები]. ჩემს სამსახურში ორი სპეციალისტი მყავს. საკმაოდ კვალიფიციური და აქტიური თანამშრომლები არიან.“

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი

„ადამიანური რესურსი ჰყავთ, აიპები გააჩნიათ. პრობლემა უფრო კვალიფიკაციაა. ერთხელ შეხვედრა გვქონდა ახალგაზრდობის თემაზე და მოწვეული ვინც გვყავდა მერიიდან, ყველაფერზე ისაუბრა, გარდა ახალგაზრობის თემის. ფინანსური არც ვიცი, რამე პრობლემა თუ არის, ამაში დიდ პრობლემას ვერც ვხედავ.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზდრული მიმართულებით განხორციელებული პროგრამებითა და ღონისძიებებით მიღებულ შედეგებს კვლევის მონაწილე მესამე სექტორის წარმომადგენლები არცთუ პოზიტიურად აფასებენ. ერთ-ერთი არგუმენტით, ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებული ქტივობები არ ატარებს სისტემურ ხასიათს და არ არის ორიენტირებული გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდობის მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა, რომელიც რეალურ შედეგზე იქნება ორიენტირებული, პრიორიტეტების ცვლილება კი არ იქნება დამოკიდებული გადაწყვეტილების მიმღები პირების შეხედულებებზე.

„მუნიციპალურ დონეზე [უნდა] არსებობდეს გაწერილი სახის დოკუმენტი, რომელიც სისტემურად გრძელვადიან პრიორიტეტებს დასახავს და შემგომში საბიუჯეტო დაგეგმარებაც მოხდება ამ პრიორიტეტების შესაბამისად; აღარ იქნება ეს ჩამოკიდებული ამა თუ იმ თანამდებობის პირის თუ კონკრეტული ბიუროკრატი ფუნქციონერის გემოვნებაზე და შეხედულებებზე, რომელიც სამწუხაროდ ძალიან ხშირად იცვლება.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

უკეთესი და რეალური შედეგების მისაღწევად ძირითადი ინფორმანტები არსებითად მიიჩნევენ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტის არსებობას, რომლის დაგეგმვა-იმპელემენტაციაშიც მნიშვნელოვანია მესამე სექტორის როლიც. ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს შორის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული და არასამთავრობო ორგანიზაციების სიმწირე დაასახელა. თავად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კი, ძირითადად იმაზე მიუთითებდნენ, რომ რუსთავში არსებობს ამგვარი ორგანიზაციები და აქტიურობაც სამოქალაქო სექტორის სწორედ აქ შეინიშნება ყველაზე მეტად. ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიურობას ახალგაზრდობის მიმართულებით კი, ნაკლებად პოზიტიურად აფასებენ. ერთ-ერთი შეფასებით, შეიძლება რეგიონში არასამთავრობო სექტორის აქტივობებზე ვისაუბროთ, რისი ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის გაიზარდა ახალგაზრდა გოგოების რაოდენობა, ვინც აქტიურობს და ერთვება სხვადასხვა აქტივობაში. ამის მიუხედავად, განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისად ფასდება, ისევე როგორც, ზოგადად ახალგაზრდული და არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც არა მხოლოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ რეგიონში იმუშავებს.

„ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ჩვენი პროექტებიდან უფრო აქტიური გახდა. მანამდე თუ იყო სტიგმა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგო ქალაქში გასულიყო, მიეღო პროექტებში მონაწილეობა, ახლა რამდენიმე ახალგაზრდამ ეს სტერეოტიპი დაამსხვრია და ყველაზე აქტიურები ჩვენი რეგიონებიდან ეს ახლგაზრდები არიან...“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

ის, რომ გამოწვევაა კომუნიკაციის თვალსაზრისით აღინიშნა ერთ-ერთი ძირითადი ინფორმანტის მიერ. მისი შეფასებით, პრობლემაა ის, რომ ვერ ხერხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა შეხვედრების ორგანიზება. ამასთან, გამოწვევაა ისიც, რომ „ახალგაზრდობის სააგენტოსთნ“ ორგანიზებულ შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ არა ახალგაზრდები, არამედ მხოლოდ მერიის თანამშრომლები.

„ახალაგაზრდობის სააგენტოდან ჩამოვიდენენ წარმომადგენლები და, ახალგზარდობის ნაცვლად, გარდაბნის მერიის თანამშრომლებთან გამართეს შეხვედრა. არაფერი არ ხორციელდება, მეტიც ჩვენ რომ ვგეგმავთ ახალგაზრდობის შეხვედრას თვითმართველობასთან, ზოგჯერ უარი უთქვამთ, ზოგჯერ რა მიზეზით, ზოგჯერ რა. მაქსიმალურად თავს არიდებენ შეხვედრას, მაშინ როცა არცთუ ისე ცოტა ამომრჩეველი ვართ ახალგზარდები და მათი ჩართულობა ამ მხრივ მაინც უნდა აწყობდეთ... რაც შეეხება ჩვენ ჩართულობას, არ ყოფილა მსგავსი. ფაქტობრივად შეხვედრაც ვერ დავგეგმეთ მერთან, იმიტომ რომ ან თავს არიდებენ, უარს ამბობენ ხოლმე ამ შეხვედრაზე.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

ხაზგასმული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ნაკლები მზაობა ითანამშრომლოს მესამე სექტორთან. თუმცა, აქვე ისიც აღინიშნა, რომ თავად არასამთავრობო სექტორიც არასაკმარისად აქტიურობს. მისი შეფასებით, სექტორს თავადაც შეუძლია ახალგაზრდობის საკითხების გააქტიურება და ადვოკატირების მიმართულებით მეტი მუშაობა, რაც ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებაში სექტორის წარმომადგენელთა მეტ ჩართულობას გულისხმობს. ამ პროცესში ცენტრალური ხელისუფლებისაგან სასურველ მხარდაჭერად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ისურვებდა დეცენტრალიზაციის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რაც, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის როლის პოზიტიურად აღქმასაც შეუწყობს ხელს. ასევე, მეტ მზაობას, პირველ რიგში, ახალგაზრდობის სააგენტოსგან, მეტად ჩართონ სამოქალაქო სექტორი სამუშაო პროცესში.

„დამატებითი დეცენეტრალიზაცია თუ იქნება უზრუნველყოფილი, დამოუკიდებლად მიიღებდნენ გადაწყვეტილებას. ნება შეიძლება გააჩნდეს საკითხის გადაწყვეტის. შემდეგ არასამთავრობო სექტორს აღარ ჩათვლიან ცუდ ადამიანებად. თითქოს მათი კრიტიკა გვინდა მხოლოდ, მათ შეცდომებზე ვართ ჩასაფრებული... [მოველით] ახალგაზრდობის სააგენტოსგან ჩვენ ჩართულობას... მოემართათ, დავხმარებოდით იმაში, რომ ახალგაზრდებთან შეხვერდა გაემართათ. ახალგაზრდობის სააგენტო ჩართული იყოს და ითანამშრომლოს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირებისთვის.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს, მთავარ მხარდაჭერად საჭიროებების კვლევების ჩატარება და მათზე დაფუძნებით დოკუმენტის შემუშავება დასახელდა. ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობის კონტექსტში კი აღინიშნა, რომ მათთან კომუნიკაცია არსებობს და საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ სააგენტოს მიმართონ. ამასთან, მათთან აზრების მეტად გაცვლას და კომპეტენტური ადამიანებისგან ხედვების გაზიარებას ისურვებდნენ, რათა უკეთ მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმვა და რესურსების განაწილება.

1.2. ახალგაზრდული აქტივობები

აქტივობები, რომლებიც ახალგაზრდობის მიმართულებით ტარდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში და გაიხსენეს კვლევის მონაწილეებმა სპორტულ აქტივობებს, დებატებსა და გარემოსდაცვით აქციებს უკავშირდება. როგორც გამოიკვეთა, აქტივობების *სამიზნე ჯგუფს* ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდები წარმოადგენენ, აქტივობათა ჩატარების *ლოკაცია* კი უმეტესად მუნიციპალური ცენტრია. თუმცა, აქვე ისიც აღინიშნა, რომ სოფლის ტიპის დასახლებებშიც არსებობს გამონაკლისები, სადაც იგეგმება სხვადასხვა სპორტული თუ გარემოსდაცვითი აქტივობა.

„ჩვენთან, თელეთში, ტარდება ხოლმე სპორტული აქტივობები, ჭიდაობაში, ფეხბურთში, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებია ხოლმე, სხვა ისეთი არაფერი მახსენდება.“

კაცი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგროია, სოფლის ტიპის დასახლება

„მე ძალიან ვწუხვარ ამის გამო... ჩაიხანაც არ არის და მხოლოდ ჩვენი შვილებით ვართ დაკავებულები და ძალიან განვიცდი მაგის გამო.“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„ჩემი აზრით, სოფლებში იგივე პირობები არ არის საამისოდ, არაა მათთვის ხელმისაწვდომი ასეთი ღონისძიებები.“

ქალი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„უფრო ქალაქში ტარდება, იმიტომ, რომ რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისია გარდაბანში და იქ იკრიბებიან, ან ტრენინგები ტარდება. სოფლებშიც არის, მაგრამ უფრო იშვიათად.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

კვლევის მონაწილე უფროსი ასაკის ახალგაზრდების შეფასებით, ის, რომ აქტივობები უმეტესად სკოლის ასაკზეა გათვლილი და მონაწილეობასაც მასში სკოლის მოსწავლეები იღებენ იმითაა განპირობებული, რომ უფროს ასაკში ახალგაზრდებს სხვა ინტერესები აქვთ; დროის თვალსაზრისითაც რესურსი ნაკლებია. შესაბამისად, თითქოს ბუნებრივად ხდება უფროსი ასაკის ადამიანების გათიშვა ახალგაზრდული აქტივობებიდან. დასაქმებითა და დროის სიმწირით ხსნის უფროსი ასაკის ახალგაზრდების დაბალ ჩართულობას აქტივობებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელიც.

„ყველას შეუძლია აქტივობა, ჩემი აზრით. უბრალოდ, დროის პრობლემაა, იმიტომ, რომ უფრო ასაკოვნები მუშაობენ ან სწავლობენ და დრო ნაკლებად აქვთ.“

კაცი, 18-23 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„ჩემი ასაკის ხალხს არ სცალია ასეთი ღონისძიებებისთვის, იმიტომ, რომ მუშაობენ და უფრო მეტად მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„მაგ ასაკში [14-20] ახალგაზრდებს უფრო მეტი დრო აქვთ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. 23-25 წლის ახალგაზრდები დასაქმებულები არიან და ცდილობენ მატერიალური სარგებელი შექმნან.“

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი

თუმცა, აქვე ისიც გაჟღერდა, რომ დროის სიმწირის გარდა, მთავარი გამოწვევა ინტერესის არარსებობაა. სწორედ იმის გამო, რომ ახალგაზრდები უფროს ასაკში არ იჩენენ ინტერესს სხვადასხვა საკითხით, არ ითხოვენ მათზე მორგებული აქტივობების დაგეგმვას, შესაბამისად, არც გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მხრიდან შეინიშნება აქტიურობა.

იმასთან დაკავშირებით, პასუხობს თუ არა აქტივობები ახალგაზრდობის ინტერესებს, აზრები კვლევის მონაწილეებთან არაერთგვაროვანია. ერთი ნაწილის აზრით, აქტივობები პასუხობს ახალგაზრდების ინტერესებს, ნაწილის შეფასებით კი - არ პასუხობს. ამასთან, ისიც აღინიშნა, რომ აქტივობები, რომლებიც ქალაქებში ტარდება, პასუხობს ინტერესებს, სოფლის ტიპის დასახლებებში კი ამ თვალსაზრისით, გამოწვევებია. პრობლემაა ისიც, რომ აქტივობები, რომლებიც ახალგაზრდობის მიმართულებით იგეგმება ერთფეროვანია და წლების მანძილზე არ იცვლება. მეტიც, ერთ-ერთი ძირითადი ინფორმანტის შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობა არაფერს ახორციელებს ახალგაზრდობისთვის, იმ იშვიათ შემთხვევებში კი, როდესაც აქტივობები იგეგმება, იქ ახალგაზრდებს მხოლოდ ფორმალურად რთავენ.

„... ჩვენს ქალაქში არაა საკმარისი ისეთი ღონისძიებები, როგორც სხვა ქალაქებში, რომ ყველას ინტერესები დაკმაყოფილდეს.“

კაცი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება

„რაც ტარდება, დიდი ხანია ტარდება და არაფერი არ იცვლება; იგივენაირად, იგივე სტილით და მონოტონურად ტარდება. ბავშვები უკვე სხვანაირად ფიქრობენ და ჩვენი ასაკის ხალხი სხვანაირად, ინტერესის სფეროც შეცვლილია ძალიან...“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპისდასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„თუ ხორციელდება [აქტივობები], ახალგაზრდები ბუტაფორიებად არიან წარმოდგენლი და ახალგაზრდულ პროექტებში იმიტომ არიან, რომ ფოტოები გადაიღონ.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

ის, რომ სოფლის ტიპის დასახლებებიდან ახალგაზრდების ინტერესები ყველაზე ნაკლებადაა გათვალისწინებული და აქტივობები მათთვის ნაკლებად რელევანტურია, აღინიშნა კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მიერ. მისი შეფასებით, იმ იშვიათი აქტივობების შესახებაც კი, რაც იგეგმება მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდები სოფლებში *არ არიან ინფორმირებულნი*. თავად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთან კი გაჟღერდა, რომ აქტივობების სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად განსახორციელებლად, წელს მუნიციპალიტეტი გეგმავს იდეების კონკურსის გამოცხადებას, რომელშიც ახალგაზრდებს ყველა სოფლიდან ექნებათ მონაწილეობის შესაძლებლობა. კონკურსის მთავარი მიზანი იმ საჭიროებების გამოვლენაა, რაც კონკრეტული სოფლისთვისაა აქტუალური (*„გავიგებთ, რა საჭიროებები აქვთ სოფლებში და მივცემთ საშუალებას ამაზე იმუშაონ“*).

რაც შეეხება მათ, ვინც თვლის, რომ აქტივობები პასუხობს ახალგაზრდების ინტერესებს, ინდიკატორად აქტივობებში ახალგაზრდების მაღალ ჩართულობას ასახელებს. აქვე ისიც საგულისხმოა, რომ ამგვარ აქტივობებში ძირითადად, სპორტული ღონისძიებები მოიაზრება, მოტივაცია კი კონკრეტული შედეგის მიღწევის შემთხვევაში დაწესებულ ჯილდოს უკავშირდება.

გარდა იმისა, რომ ინფორმირების თვალსაზრისით სოფლის ტიპის დასახლებებში არსებული გამოწვევები გამოიკვეთა, ასევე კვლევამ უჩვენა, რომ ინფორმირების პრობლემაა უფროსი ასაკის ახალგაზრდებშიც. ამ ჯგუფში დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებულები დაგეგმილი აქტივობების შესახებ. თუმცა, აქვე ისიც ითქვა, რომ გამოწვევა ინტერესის არარსებობასაც უკავშირდება და მხოლოდ არაინფორმირებულობა არ არის პრობლემა.

მთავარი არგუმენტის თანახმად, სკოლისშემდგომ პერიოდში ახალგაზრდებს მეტი „საფიქრალი“ აქვთ, რაც სწავლასთან თუ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს უკავშირდება. დროის რესურსის თვალსაზრისითაც გამოწვევებია. შესაბამისად, უფრო იმის თქმა შეიძლება, რომ უფროსი ასაკის ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებულნი აქტივობებით და არა ის, რომ მათთვის აქტივობები იგეგმება, რომლებიც არ პასუხობს მათ ინტერესებს.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს, მასთან აღინიშნა, რომ ახალგაზრდების საჭიროებები ისეთ საკითხებს უკავშირდება, როგორიცაა დასაქმება, მიგრაცია და ინფრასტრუქტურა. ამასთან, მის მიერვე დასახელებული ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები რომელიმე ჩამოთვლილ საჭიროებაზე ნაკლებადაა ორიენტირებული. ის, რომ ეს უკანასკნელი გამოწვევაა ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელეთან. მისი შეფასებით, ექსკურსიების ორგანიზება, რასაც აქვს ადგილი მუნიციპალიტეტში, ვერ ჩაითვლება ახალგაზრდობის საჭიროებებზე ადეკვატურ რეაგირებად.

„ახალგაზრდების საჭიროება, როგორც ყველგან, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც არის ინფრასტრუქტურის განვითარება, დასაქმება, მიგრაცია. გარდაბანი, რუსთავთან და დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს და ახალგაზრდები უფრო იქეთ მიდიან. ქალაქში დასაქმების საშუალებაა, უნივერსიტეტებია, სადაც სწავლობენ. ჩვენ, ამ მხრივ, ვცდილობთ პროექტი “შემოიარე საქართველო“ განვახორციელოთ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლები ძალიან დაშორებულია ქალაქს და ამ პროექტით, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება ერთმანეთი გაიცნონ.“

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი

„[ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი აქტივობები] ფაქტობრივად არ პასუხობს ახალგაზრდობის საჭიროებებს, იმიტომ, რომ ახალგაზრდების წაყვანა ექსკურსიებზე, თან გამორჩევით, არათუ პასუხობს, ახლოსაც ვერ მიდის ახალგაზრდობის საჭიროებებთან.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

რაც შეეხება აქტივობათა *ინიცირებას*, სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან ყველა მოსაზრება გაჟღერდა. ითქვა, რომ ინიციატორების როლში ძირითადად თავად ახალგაზრდები არიან წარმოდგენილნი. მეტიც, იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივობას უფროსი ასაკის ადამიანები აორგანიზებენ, მათ „ახალგაზრდა აუდიტორია არ ჰყავთ“. თუმცა, ამის პარალელურად გაჟღერდა მოსაზრება, რომ ორგანიზატორები ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობა და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. ამასთან ისიც აღინიშნა, რომ აქტივობებს ახალგაზრდებისთვის ხშირად სკოლის მასწავლებლები აორგანიზებენ, ახალგაზრდები კი პროცესის ასისტირებას ახდენენ.

თავად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებით, ინიციატივებით ახალგაზრდები არ მიმართავენ თვითმმართველობას. ამასთან, მუნიციპალიტეტში არც განსაკუთრებით აქტიური ახალგაზრდების ჯგუფია. ამას ემატება ისიც, რომ არ არის ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ახალგაზრდების გააქტიურებასა და სხვადასხვა აქტივობაში ჩართვას ეცდებოდა. ძირითადი ინფორმანტის თქმით, აქტივობებს სწორედ თვითმმართველობა გეგმავს და მათთან დაკავშირებით ინფორმაციას პირადად თუ აწვდის ახალგაზრდებს, ესენი არიან ის ადამიანები, რომელთაც სხვა პროექტებში მიუღიათ მონაწილეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის შეფასება. მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა ურთიერთობს ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფთან და აწვდის მათ ინფორმაციას აქტივობების შესახებ, ამ უკანასკნელთა შერჩევის მთავარი კრიტერიუმი კი ნაცნობობაა.

> *„მუნიციპალიტეტში არც ახალგაზრდული და არც არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, რაც ძალიან ცუდია. არ გვყავს აქტიური ახალგაზრდების ჯგუფიც. ახალგაზრდების რაღაც კატეგორია არის, რომლებსაც ვეხმიანებით და ვაცნობთ, რომ ღონისძიებას ვგეგმავთ. თვითონ არაფერს არ ცდილობენ... ჩვენი პროექტებიდან გამომდინარე, ვისთანაც გვითანამშრომლია, მათთან. ფეისბუქზე დავდებთ სიახლეს და გვეხმაურებიან. ვინც აქტიურობს, იმათთან ვკონტაქტობთ. ამ აქტიური ბავშვებით ვცდილობთ სხვა თანატოლებიც ჩავრთოთ.“*
>
> **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი**

> *„მერიას ჰყავს ასეთი ჯგუფი, აქტივობები რომ ტარდება ხოლმე, პირველი მათ იძახებენ და ვინმე თუ გამოაკლდა, მერე ხდება ხოლმე სხვა ახლგაზრდის მოძიება... პირველი ნაცნობობით, თანამშრომლის შვილია ან ახლობელი, მეორე რაღაცა ახალგაზრდული აიპი აქვთ და იქ დასაქმებულები...“*
>
> **არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი**

ამგვარად, თუ გარდაბანში ჩატარებული დისკუსიებისა და ინტერვიუების შედეგებს გავითვალისწინებთ, ახალგაზრდობის მიმართულებით აქტივობები ერთფეროვანია და უმეტესად სკოლის ასაკის ახალგაზრდებზეა ორიენტირებული. ამასთან, ისინი იშვიათად იგეგმება და ტარდება სოფლის ტიპის დასახლებებში. იქ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კი, გამოწვევა ისიცაა, რომ არ არიან ინფორმირებულნი იმ იშვიათი აქტივობების შესახებ, რომლებიც მუნიციპალიტეტში იგეგმება. ამ უკანასკნელთა ინიციატორებად უფრო ადგილობრივი თვითმმართველობა და მესამე სექტორი შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მასწავლებლებთან ერთად. რაც შეეხება იმას, პასუხობს თუ არა განხორციელებული აქტივობები ახალგაზრდობის ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ საწინააღმდეგო მოსაზრებაც გაჟღერდა, მაინც ნარატივები იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ აქტივობები ინტერესების რელევანტური არ არის. ეს განსაკუთრებით ეხება უფროსი ასაკის ახალგაზრდებს, რომელთა ძირითადი ინტერესები დასაქმებას უკავშირდება, დაგეგმილ აქტივობებს შორის კი სპორტული თუ გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ასევე ექსკურსიების მოწყობა სახელდება.

1.3. ჩართულობა და აქტივიზმი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ სამოქალაქო აქტივიზმისა თუ ჩართულობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში დაბალია. კვლევის მონაწილე სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ ამგვარ აქტივობებში მონაწილეობა, მითუმეტეს, მათი ორგანიზება და ინიცირება ახალგაზრდების მიერ იშვიათ ხასიათს ატარებს. მათივე შეფასებით, არსებობს სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითები, რის დასტურადაც მათ, უმეტესად, სკოლების მიერ ორგანიზებული გარემოსდაცვითი აქტივობები მოჰყავთ. არც მათთან და არც უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან გამოკვეთილა, რომ მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ახალგაზრდების მიერ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, ბიუჯეტის განხილვებზე დასწრებასა თუ აქტივიზმის სხვა ფორმებს. ნარატივები იმაზეც მეტყველებს, რომ რიგით აქტივობებსა და სამოქალაქო აქტივიზმსა თუ ჩართულობას შორის განსხვავებების შესახებაც ნაკლებად არიან ინფორმირებულები ახალგაზრდები.

დაბალი სამოქალაქო ჩართულობის *მიზეზებზე* საუბრისას, სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა *სიზარმაცესა და ინტერესის არქონაზე*, უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა კი, ინტერესის არარსებობასთან ერთად, *დროის დეფიციტზე* გაამახვილეს ყურადღება. უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა დაბალი ჩართულობის კიდევ ერთ მიზეზად *ნიჰილიზმი* დაასახელეს. ერთ-ერთი შეფასებით, რამდენჯერმე გადაწყვეტილების მიმღები პირებისადმი მიმართვას თუ არ მოჰყვება კონკრეტული შედეგი, და რეალობა სწორედ ამაზე მიუთითებს, ახალგაზრდები კარგავენ ენთუზიამს, მოტივაცია ქრება და აღარ აქვთ იმედი, რომ მათი ინიციატივები მომავალში იქნება მხარდაჭერილი.

„არც ისე არ არის გავცრელებული [სამოქალაქო აქტივიზმი], საერთოდ, მართლა არ გამიგია ასეთი რამ, რომ ახალაგზრდები რამე სამოქალაქო აქტივიზმში მონაწილეობდნენ.“

ქალი, 29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება

„ერთხელ მიმართავენ, ორჯერ, სამჯერ და ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ამ დროს იქნება, იმ დროს იქნება და მერე ალბათ ფიქრობენ ახალგაზრდები, რომ სამჯერ ვუთხარით, არაფერი არ არის და ათჯერაც რომ ვთქვათ, არაფერი იქნება...“

კაცი, 18-23 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„რაღაცის გაკეთება რომ უნდათ და ვერ იკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას, აწყდებიან პრობლემებს, ეს მოტივაცია უქრებათ ხოლმე. ამის განმაპირობებელი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები არაფრად არ არიან აღქმული. ესეც უკარგავთ მოტივს ჩაერთონ ამ აქტივობებში, დამატებით აღარ გამოთქვამენ ინიციატივას. როცა გამოთქვეს, საპასუხო არ ქონიათ.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

ახალგაზრდების შეფასებებით, *ცნობიერების ამაღლებამ, ახალგაზრდებისთვის საინტერესო თემატიკაზე აქტივობების დაგეგმვამ*, ასევე, აქტივობების *ხშირმა ორგანიზებამ* შესაძლებელია ხელი შეუწყობს ჩართულობის გაზრდას. ასევე ისიც აღინიშნა, რომ ჩართულობის შემაფერხებელი მშობლების მხრიდან მსგავს აქტივობებში შვილების მონაწილეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულებაცაა („*მშობელიც უშლის ამას და სერიოზული პრობლემაა*“), რაზეც დადებითი გავლენა ცნობიერების ამაღლებამ უნდა მოახდინოს.

ამავე კონტექსტში ხაზგასასმელია კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც დისკუსიაზე უფროსი ასაკის ადამიანებთან გაჟღერდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ აუცილებელია საგანამანათლებლო აქტივობების დაგეგმვა ახალგაზრდებისთვის, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გოგოების ცნობიერების ამაღლებასა და განათლებაზე გაკეთდება. ამ მოსაზრების ავტორის შეფასებით, ახალგაზრდა გოგოებს ხშირად არ ეძლევათ განათლების მიღების შესაძლებლობა, არცთუ იშვიათია ნაადრევი ქორწინებები, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათ მიერ განათლების მიღების ალბათობას. მართალია, დისკუსიებზე არ ყოფილა ხაზგასმული, ეს პრობლემა ეთნიკურად ქართველების ჯგუფისთვის უფროა აქტუალური თუ ეთნიკური უმცირესობებისთვის, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხზე ყურადღება კვლევის მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა გაამახვილეს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებით აქტუალური საკითხი სწორედ ამ ჯგუფისთვისაა.

ცნობიერების ამაღლების კამპანიებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეფასდა უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ პროექტების შექმნა უშუალოდ ახალგაზრდებისთვის და მათი დაფინანსება. ამ კონტექსტში შესაძლებელია ადგილობრივ თვითმმართველობასა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის ფორმატიც არსებობდეს, რაც ერთობლივად პროექტების დაფინანსებასა და ახალგაზრდების მხარდაჭერას მოიაზრებს.

გარდა ამ მიზეზებისა, ახალგაზრდების დაბალი ჩართულობის განმაპირობებლად კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა არაინფორმირებულობა დაასახელა. მისი შეფასებით, ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას არც იმის თაობაზე, რომ აქვს უფლება გადაწყვეტილებების მიღებისა თუ სხვა პროცესებში მონაწილეობის; და ამასთანავე, არ არის ინფორმირებული ჩართულობის იმ ფორმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლია. შესაბამისად, აქაც, ცნობიერების ამაღლება ჩაითვალა იმ არსებით მექანიზმად, რამაც უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა.

1.4. უფლებები

უფლებებზე საუბრისას კვლევის მონაწილე სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან ყურადღება გამახვილდა ნაადრევ ქორწინებაზე. მართალია, ის უშუალოდ უფლებების დარღვევის კონტექსტზე მეტად, პრობლემათა რიგში განიხილეს ახალგაზრდებმა, თუმცა ნაწილობრივ აღნიშნული სრულფასოვანი განვითარების, განათლების მიღების და, თუნდაც, თავისუფალი არჩევანის უფლების შეზღუდვასაც შეიძლება დავუკავშიროთ. სავარაუდოდ, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უფლებებზე საუბრისას, ეს პრობლემა გაახსენდათ დისკუსიების მონაწილეებს.

რაც შეეხება უფროსი ასაკის ახალგაზრდებს, ძირითადად, ხაზგასმული იყო, რომ უფლებების დარღვევას მუნიციპალიტეტში არ აქვს ადგილი. ერთადერთი, რაც აღინიშნა, ეს არის *შრომითი უფლებების* დარღვევა. ამ კონტექსტში კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ დამსაქმებელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე („მონასავით მოპყრობა“) გაამახვილა ყურადღება. თუ პრობლემებზე საუბრისას გაჟღერებულ ნარატივებს ვნახავთ, აქ დაბალი ანაზღაურებაც იგულისხმება და იმგვარი მოვალეობების

შესრულების მოთხოვნაც დასაქმებულისგან, რაც კონკრეტული პოზიციისთვის არც რელევანტურია და არც შეთავაზებულ ანაზღაურებას შეესაბამება.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების უფლებები დაცულია და მათ შეზღუდვაზე რთულია საუბარი. თუმცა, კვლევის სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან აღინიშნა, რომ *ხარისხიანი განათლების* მიღების უფლება, ისევე როგორც *თავისუფალი გადაადგილების* უფლება შეზღუდულია ახალგაზრდებისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. განათლების უფლების კონტექსტში აღინიშნა, რომ აქ განსაკუთრებული გამოწვევაა ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, რაც არაკვალიფიციური კადრების არსებობითაც არის განპირობებული. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტისთვის ეს სერიოზული გამოწვევაა. რაც შეეხება გადაადგილების უფლებას, ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ ტრანსპორტზე დაბალი ხელმისაწვდომობა გამოწვევაა, განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. უფლებებზე საუბრისას ისიც აღინიშნა, რომ მართალია, ახალგაზრდების გამოხატვის თავისუფლება არ იზღუდება პირდაპირ, მაგრამ მათ „არავინ უსმენს“, რაც ასევე გამოწვევად უნდა შეფასდეს.

1.5. გამოწვევები

მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას სკოლებში სხვადასხვა ნიშნით *ბულინგის* არსებობა გამოიკვეთა კვლევის მონაწილე სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან. ის, რომ ეს გამოწვევაა, აღინიშნა უფროსი ასაკის ახალგაზრდებთანაც. აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ სოციალური ნიშნით დისკრიმინაციისა და ბულინგის მაგალითებზე გამახვილდა ყურადღება დისკუსიებზე. რამდენადაც აღნიშნულის საბაბად ხშირად ერთმანეთის ჩაცმულობაა გამოყენებული, ერთ-ერთი მოსაზრებით, ამ გამოწვევაზე რეაგირება შესაძლებელია იყოს სკოლებში ფორმების ტარების ვალდებულების არსებობა. რამდენად არის ეს გზა უშუალოდ ჩაგვრის მიზეზების აღმოფხვრის, ამაზე კვლევის მონაწილეებს არ უსაბრიათ, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში, სკოლებში ფორმების ტარებას კონკრეტული საბაბით ბულინგის წინააღმდეგ მიმართულ მექანიზმად განიხილავენ. დისკრიმინაციისა და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმად კი ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი კამპანიების წარმოებაა მიჩნეული.

> *„ნაკლებად ტარდება მსგავსი ღონისძიებები, რაც მოგვიწოდებდა, რომ ბულინგი არაა კარგი. მინახავს ჩაცმულობაზე ან სოციალურ პირობებზე ბულინგი.“*
>
> **ქალი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება**

> *„ჩვენს ქალაქში ისეთი არაფერი კეთდება საამისოდ [ბულინგის წინააღმდეგ]. ვფიქრობ, სკოლაში დირექტორი და მასწავლებელი უნდა იყო ამაზე პასუხისმგებელი. სკოლაში ერთხელ მეც შევესწარი მსგავს შემთხვევას [ბულინგს], არავის უზრუნია იმაზე, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო.“*
>
> **ქალი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი**

„ძალიან გამახარებდა, თვითონ სკოლაში ფორმა რომ ყოფილიყო. ბავშვობიდანვე თუ ეს გაფორმდება ტვინში, რომ ყველანი ერთნაირები ვართ, თანასწორები ვართ, ყველა შევძლებთ რაღაცის გაკეთებას, უკეთესი იქნებოდა...“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

ბულინგთან ერთად, პრობლემად იდენტიფიცრდა *ნაადრევი ქორწინება*. საგულისხმოა, რომ აღნიშნულზე განსაკუთრებული ყურადღება ასევე სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა გაამახვილეს. ხაზგასმული იყო, რომ ნაადრევი ქორწინების გამო ახალგაზრდებს არ ეძლევათ განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ასევეა გამოწვევა. აქვე აღინიშნა, რომ, ხშირად მშობლები ვერ აცნობიერებენ შვილებისთვის განათლების მიღების მნიშვნელობას, რაც, თავის მხრივ, ასევე სერიოზული პრობლემაა. თუ ნაადრევ ქორწინებაზე სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა ისაუბრეს, უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან პრობლემებს შორის ოჯახში ძალადობაზე, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობაზე ისაუბრეს.

პრობლემებს შორის სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან ასევე დასახელდა *განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა*, რაც ადგილზე კოლეჯისა თუ უნივერსიტეტის არარსებობის გამო შიდა მიგრაციის, შესაბამისად, ფინანსური რესურსის მობილიზების აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. მართალია, პრობლემად ადგილზე კოლეჯისა თუ სხვა სასწავლებლის არარსებობა დასახელდა, თუმცა, ნარატივებიდან ჩანს, რომ უფრო განათლების მისაღებად აუცილებელი ფინანსური რესურსის სიმწირეა მთავარი გამოწვევა.

„იმიტომ, რომ ჩვენ გვიწევს ჩვენი საცხოვრებლის დატოვება და სხვა ქალაქში გადასვლა, იმისთვის, რომ განათლება მივიღოთ, უნდა ვიქირაოთ სახლი და დამატებითი ხარჯია.“

ქალი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„როცა შენთან ახლოს არაა სასწავლებელი, ზოგისთვის ესაა ბარიერი, რომ არ აქვს საშუალება, იქირაოს ბინა თბილისში ან გზაში დახარჯოს იმდენი თანხა მგზავრობაში, რომ ყოველდღე იაროს.“

კაცი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება

განათლებაზე, კერძოდ, უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხზე გაამახვილეს ყურადღება უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა და, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა. აღინიშნა, რომ აზერბაიჯანელი წარმატებული სტუდენტების დიდ ნაწილს კომპანია „სოკარი“ აფინანსებს, თუმცა ისინი, ვისი აკადემიური მოსწრებაც არ არის მაღალი, ამგვარი დახმარების გარეშე რჩებიან. ამდენად, უმაღლესი განათლების დაფინანსების თვალსაზრისით მხარდაჭერა მნიშვნელოვნად ჩაითვალა.

„აზერბაიჯანელი სტუდენტების უმეტესობას აფინანსებს “სოკარი”, მაგრამ იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ 5-იანზე, დანარჩენებს სამწუხაროდ, არა.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„რა თქმა უნდა, სოკარი არ არის დამნაშავე [რომ ყველას არ აქვს წვდომა განათლებაზე]. „სოკარი” ეხმარება ძალიან ბევრ სტუდენტს, პირადად მეც მეხმარებოდა და მაფინანსებდა ადრეც, ეგ არის კომპანია, რომელიც აფინანსებს ძალიან ბევრ სტუდენტს.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„დიახ, მე „სოკარს» ჯაფას ვერ დავუკარგავ, ჩემთვისაც აქვს დაფინანსებული...“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

პრობლემები, რომლებიც მწვავე საკითხებს შორის მოინიშნა როგორც სკოლის ასაკის, ასევე უფროსი ახალგაზრდების მიერ, უკავშირდება როგორც *გასართობი სივრცეების სიმწირეს*, ასევე ისეთი სივრცეების თითქმის არარსებობას, რომლებიც *შეკრებებისთვისა* და *დისკუსიების* გამართვისთვისაა აუცილებელი. კვლევის მონაწილეები ამგვარი სივრცეების არსებობას არსებითად მიიჩნევენ არა უბრალოდ დასვენებისთვის, არამედ იმის გამოც, რომ მათი არსებობა ადამიანების სოციალიზაციას უწყობს ხელს. აღნიშნული, მითუფრო მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ მუნიციპალიტეტში. ის, რომ ინტეგრაციის საკითხი კრიტიკულია, ამაზე ყურადღება კვლევის მონაწილე ძირითად ინფორმანტთანაც გამახვილდა.

„გასართობი ადგილი არაა, სადაც შეიძლება შევიკრიბოთ, კაფე, ბარი ან რესტორანი, როცა სადმე წასვლა გვინდა გასართობად, მივდივართ რუსთავში ან თბილისში.“

ქალი, 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„... ძალიან ცუდი სიტუაციაა აქ ამ მხრივ, ახალგაზრდას რომ მოგინდეს სადღაც შეხვიდე და გაერთო არ არის ეგეთი რამე. ჩაიხანაში ხომ არ ჩახვალ სულ მართლა ან ტოტალიზატორში ხომ არ შეხვალ?! მეტი არაფერი არ არის და არ აკეთებენ ამ მხრივ არაფერს და არ ცდილობენ“.

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება

„... ადგილი უნდა ჰქონდეთ, ტერიტორია, რომ შეიკრიბნონ და საუბრის საშუალება ჰქონდეთ ახალგაზრდებს. ეგეც კი არ არის... საკონტაქტო ზონაც არ აქვთ, ტერიტორია ნორმალური, რომ ნახონ ერთმანეთი და ისაუბრონ დღევანდელობაზე თუნდაც.“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება

„რაც მაწუხებს ეგაა, რომ გასართობი ცენტრები არ გვაქვს გარდაბანში, ერთი ფსონებია, მეტი არაფერი, დანარჩენი რამე თუ გვინდა, რუსთავში ჩავდივართ ხოლმე...“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ეთნიკური უმცირესობებითაა დასახლებული, მოსალოდნელი იყო, რომ ფოკუსური დისკუსიების მონაწილეები ისაუბრებდნენ ენობრივ ბარიერზეც, თუმცა, არცერთ ასაკობრივ კატეგორიას ეს საკითხი არ აღუნიშნავს, როგორც პრობლემა. საგულისხმოა, რომ მასზე, როგორც გამოწვევაზე არ გაუმახვილებია ყურადღება არცადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს. მისი შეფასებით, სურვილის არსებობის შემთხვევაში, ქართული ენის შესწავლა ყველას შეუძლია და სწავლობენ კიდეც. ამგვარად, მისი შეფასებით, ენის არცოდნა სურვილის არარსებობას უკავშირდება. გარდა იმისა, რომ ენობრივი ბარიერი არ ყოფილა განხილული გამოწვევად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის მიერ, მასთან ისიც აღინიშნა, რომ წლებთან ერთად იცვლება რეალობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა აქტივობებში იზრდება. შესაბამისად, მისი შეფასებით, ამ თვალსაზრისითაც გამოწვევები მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა. თუმცა, ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება ძირითადმა ინფორმანტმა არასამთავრობო სექტორიდან. მისი შეფასებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა სწორედ *ინტეგრაციის* საკითხს უკავშირდება. ამ უკანასკნელში იგულისხმება ეთნიკურად ქართველებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის არარსებობა, რაც, თავის მხრივ, *ენობრივი ბარიერის* არსებობასთანაცაა დაკავშირებული. კვლევის მონაწილის თქმით, ახალგაზრდების ეს ჯგუფები (ეთნიკურად ქართველი-ეთნიკური უმცირესობა)

ნაკლებად ურთიერთობენ ერთმანეთთან, თითქმის არ იცნობენ ერთმანეთს და ენის ბარიერი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია. ამას ემატება დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის მიგრაციის განზრახვას ზრდის. მეტიც, მაღალია გარე მიგრაციის მაჩვენებელი, უმეტესად აზერბაიჯანსა თუ რუსეთში. შესაბამისად, მუშაობის გააქტიურება როგორც ქართული ენის შესწავლის, ასევე ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოების მიმართულებით არსებითად ფასდება. ამ მოსაზრების ავტორის თქმით, პანდემიამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ის, რომ ინტეგრაციის პრობლემა რეგიონში სერიოზულად დგას დღის წესრიგში და სტერეოტიპების დანგრევა აუცილებელია, რათა არ ჰქონდეს ადგილი ეთნიკური უმცირესობების გარიყვას, რომლებიც „სახელმწიფოს ნაწილად არ განიხილავენ თავს“.

„მათ [ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს] არ აქვთ პრობლემები, წვდომა აქვთ ყველაფერზე. სწავლაც ხელმისაწვდომია, აქტივობებშიც ჩართულები არიან. ვისაც სურს, ენის ბარიერიც არ აქვთ, სწავლობენ უნივერსიტეტებში. ვისაც არ უნდა, უბრალოდ არ სწავლობს. ბარიერი ამ მხრივ არაა.“

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი

„პირველი, ეს არის ინტეგრაციის პრობლემა. გარდაბანი ისე არის განლაგებული, ორ პოლუსად არის გაყოფილი, ერთზე მჭიდროდ არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობები და მეორეზე ქართველები. მათ შორის ერთი დიდი ყინულის ბარიერივით არის იმიტომ, რომ მიმოსვლა ამ ორ პოლუსს შორის არ არსებობს. მერე მხარე, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, გარდაბანში მიდიან და ეთნიკურ უმცირესობებთან აქვთ ურთიერთობა, თუ რაიმე საქმე აქვთ, სხვა მიმოსვლა არაა.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

სპორტდაბაზებსა და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომა დასახელდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის. ის, რომ ეს სერვისები თითქმის არ არსებობს სოფლის ტიპის დასახლებებში და მათთვის გამოწვევები განსაკუთრებით აქტუალურია, ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილეთა მიერ. გარდა იმისა, რომ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე წვდომა, სპორტით მეტი ახალგაზრდის დაინტერესება და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია, ამაზე კვლევის მონაწილეები თანხმდებიან. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის თანახმად, ამგვარ ინფრასტრუქტურაზე წვდომა, კვალიფიციური კადრების არსებობა და, ზოგადად, სპორტისსა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაცია არსებითად ჩაითვალა სხვადასცვა სარისკო ქცევასთან გასამკლავებლად (*„ბავშვები ფუჭდებიან, ნარკომანები არიან ან ალკოჰოლურ სასმელებს ეტანებიანო, მიზეზი ისაა, რომ არ არის ხელშეწყობა ახალგაზრდებისთვის სოფლებში, რომ სპორტში იაქტიურონ“*).

გარდა ზემოაღნიშნულისა, უფროსი ასაკის ახალგზრდებთან ისეთ პრობლემებზეც გამახვილდა ყურადღება, როგორებიცაა ტრანსპორტსა თუ სამედიცინო სერვისზე ხელმისაწვდომობის არარსებობა სოფლის ტიპის დასახლებებში, ასევე გარემოს დაბინძურება და იქვე ისიც აღინიშნა, რომ ეს

პრობლემები არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ ყველა თაობას აწუხებს. ამასთან, ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ საკითხად ახალგაზრდებისთვის *დასაქმება* და ის გამოწვევები იკვეთება, რაც დასაქმებას უკავშირდება. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ პრობლემაა ზოგადად სამუშაო ადგილების სიმწირე და ასევე, დაბალი ანაზღაურება.

„დასაქმების ადგილის პრობლემაში ვგულისხმობ იმას, რომ სამსახური, მაღაზიის გარდა, თითქმის არსად არ არის. მაღაზიებშიც უკვე ველარ იმუშავებ.“

ქალი, 18-23 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება

„ჭკვაინი ადამიანები აქ ჩაიხანებს ხსნიან, მაგრამ ეს შტერი ადამიანები დროს ატარებენ მანდ, ქალებივით ჭორაობენ და ძალიან მაწუხებს ეს რაღაც ჩაიხანაში ტყუილად დროისტარება და უმუშევრობა არის დიდი პრობლემა.“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„უმუშევრობა არის პრობლემა. მე პირადად ვმუშაობ ხოლმე, მაგრამ ხელფასია დიდი პრობლემა.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება

„[უმუშევრობა პრობლემა] არის, მაგრამ პირადად ჩემთვის არ არის იმიტომ, რომ, რომ მოინდომებ, ნახულობ სამსახურს. რა ვიცი, არ გავჩერებულვარ, რაც სკოლა დავამთავრე, ყველგან ვნახულობ სამუშაოს. უბრალოდ ისაა პრობლემა, რომ ძალიან დაბალი ანაზღაურებაა საქართველოში, ევროპაშიც ვიყავი და იქაც ძალიან დაბალი ხელფასი იყო.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება

დასაქმებასთან დაკავშირებით პრობლემებზე საუბრისას ასევე აღინიშნა ისიც, რომ გარდა იმისა, რომ თავისთავად უმუშევრობაა გამოწვევა, პრობლემაა ისიც, რომ უმუშევრად დარჩენილი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების დიდი რიცხვი ახალგაზრდებს განათლების მიღების მოტივაციას უკარგავს. არგუმენტის თანახმად, ეს ახალგაზრდები, ხედავენ რა ბევრ ადამიანს უმაღლესი განათლებით უმუშევარს, ორიენტირებულები არიან დასაქმებაზე და არა განათლების მიღებაზე (*„რომც მივიღო უმაღლესი განათლება, მერე რა, ვერსად ვერ დავსაქმდები, რაში დამჭირდება ეს დიპლომიო...“*). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ განათლების მიღების მნიშვნელობის მიმართ ისედაც სკეპტიკურ განწყობებზე გაკეთდა მითითებები, პირველ რიგში ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში და თან გოგოებისთვის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლისშემდგომი განათლების აუცილებლობის მიმართ დამოკიდებულებები ზოგადად მუნიციპალიტეტში არცთუ პოზიტიურია.

დასაქმების კონტექსტშივე უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ გამოწვევაა დასაქმებული ახალგაზრდა დედებისთვის ის, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი მხარდამჭერი სერვისები, როგორებიცაა, მაგალითად, საზაფხულო სკოლა ან ბაღი. შესაბამისად, ამ ჯგუფის მხარდასაჭერად, მნიშვნელოვანი იქნება ამგვარი სერვისის არსებობა.

რაც შეეხება იმას, რამდენად ხდება პრობლემების მოგვარება, ახალგაზრდების შეფასებები ნაკლებად პოზიტიურია. მთავარი დისკურსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც არის კიდეც, მათი შეფასებით, მთავარი პასუხისმგებელი პრობლემების მოგვარებაზე, დანაპირების მიუხედავად, არაფერს აკეთებს. მეტიც, ერთ-ერთი მოსაზრებით, დაპირებებიც პრობლემების მოგვარებაზე წინასაარჩევნოდ ჟღერდება, რასაც არჩევნების შემდეგ რეალური ქმედებები ნაკლებად მოყვება.

„ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ მოვიდეს სამშენებლო კომპანიები, სხვა ორგანიზაციები, რომლებიც შექმნიან სამუშაო ადგილებს.“

კაცი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„ამ პრობლემაზე, თუნდაც სპორტდარბაზებზე ბევრგან ვუთხარი, სამთავრობო დონეზე, მერიაშიც, ჯერჯერობით არაფერია და იმედია, იქნება... არჩევნების წინ ყველა ამბობს, გავაკეთებთო, მაგრამ არჩევნების შემდეგ ავიწყდებათ.“

კაცი, 18-23 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

„პარკს და სკვერს სოფლის ხალხი ვერ ააშენებს, ესეც არის ადგილობრივი მთავრობის პრობლემა.“

კაცი, 18-23 წლის ასაკობრივი კატეგორია, სოფლის ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

ამგვარად, ბულინგი, ნაადრევი ქორწინება, ენობრივი ბარიერი, სპორტულ ინფრასტრუქტურაზე დაბალი ხელმისაწვდომობა, გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების არარსებობა, ასევე განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხებია ის, რაც განსაკუთრებით პრობლემურად ჩაითვალა კვლევის მონაწილეთა მიერ ახალგაზრდებისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა და მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში.

1.6. სასურველი აქტივობები

ახალგაზრდობის მიმართულებით სასურველ აქტივობებს შორის *სპორტული აქტივობებისა თუ შეჯიბრებების* ორგანიზება დასახელდა. კვლევის მონაწილეთა შეფასებით, ამ მიმართულებით აუცილებელია მუშაობის გააქტიურება სპორტული დარბაზების და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად როგორც მუნიციპალურ ცენტრში, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში. როგორც შეფასდა, ეს, პირველ რიგში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. და ამასთანავე, შეამცირებს სხვადასხვა სარისკო ქცევის (მაგალითად, სიგარეტისა თუ ალკოჰოლის მოხმარება) გავრცელებას, რაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა შემთხვევაში.

ამასთან, სასურველად დასახელდა ბანაკების ორგანიზება ახალგაზრდებისთვის. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ აუცილებელია ბანაკების საშუალებით სხვადასხვა ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა დაახლოება. გარდა იმისა, რომ ბანაკები სხვადასხვა საკითხზე ტრენინგების ჩატარებასა და კონკრეტული ცოდნის გადაცემას შეუწყობს ხელს, არსებითად სწორედ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციისა და ინტეგრაციის საკითხი ჩაითვალა. ის, რომ ინტეგრაციის მიმართულებით ქვემო ქართლის რეგიონში, მათ შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მუშაობა გასააქტიურებელია და აუცილებელია ეთნიკურად ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მეტი დაახლოება ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთანაც.

„მე გავაკეთებდი სეზონურ ბანაკებს, სადაც განურჩევლად ეროვნებისა და ფინანსური შესაძლებლობისა, ყველა წავიდოდა ერთად და იქ ტრენინგებთან, საუბრებთან და გართობასთან ერთად, მიიღებდნენ განათლებასაც. ალბათ, ბავშვი იქიდან ჩამოვიდოდა უფრო მეტად ლმობიერი, კეთილი და კონტაქტში უფრო სხვანაირად შევიდოდა...“

ქალი, 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორია, ქალაქის ტიპის დასახლება

„პანდემიამ აჩვენა, რომ, კი ვიძახით ქართველები, ტოლერანტული ერი ვართ და ტკბილად ვცხოვრობთ ეთნიკურ უმცირესობებთან, მაგრამ ასე არაა. პანდემის დასაწყისში, მარნეული წითელ ზონად გამოცხადდა, ხალხი ითხოვდა მათ გადასახლებას, დაწვას. ამან ანახა, რომ არც ტოლერანტი ერი ვართ და არც ტოლერანტობაზე არ ყოფილა დამოკიდებული ეს თანაცხოვრება. შეგუებულები ვიყავთ თანაცხოვრებას და გვიწევდა ერთად ცხოვრება. ამიტომ "ვითმენდით" მათ აქ ყოფნას. ერთი, რაც მნიშვნელოვანია, ერთმანეთი გავიცნოთ. არ ვიცით ერთმანეთის კულტურის შესახებ, ერთმანეთის ტრადიციების შესახებ, არ ვიცით ერთმანეთზე არაფერი, ეს ყველაფერი წარმოშობს იმას, რომ ვცხოვრობთ ამ სტერეოტიპულ გარემოში და გვაქვს საშინელი წარმოდგენები. ეს ყველაფერი უწყობს ხელს იმას, რომ ვერ ვინტეგრირდებით ერთად.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი

გარდა ამისა, სასურველ აქტივობებზე საუბრისას კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლთან ასევე გაჟღერდა, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ახალგაზრდული საბჭო, რომელშიც სხვადასხვა თემის წარმომადგენლები იქნებიან გაერთიანებულნი. ამასთან, მისი შეფასებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებს, ძირითადად, მსგავსი საჭიროებები აქვთ, მაგრამ გამოწვევაა ისიც, რომ არ არსებობს სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეძლებდნენ შეკრებას და ამ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობას. სწორედ ამიტომ, მსგავსი საბჭოს შექმნა, ამასთან, ახალგაზრდების სივრცეებით უზრუნველყოფა, სადაც სხვადასხვა პრობლემური საკითხის განხილვა იქნება შესაძლებელი, ახალგაზრდობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

დისკუსია

თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით აქტივობები ძირითადად სპორტს, დებატებსა და გარემოსდაცვით აქციებს უკავშირდება. მათ მთავარ სამიზნე ჯგუფს სკოლის ასაკის ახალგაზრდები წარმოადგენენ, აქტივობათა ჩატარების ლოკაცია კი ძირითადად მუნიციპალური ცენტრია. ამგვარად იმისა თქმა, რომ აქტივობები პასუხობს ახალგაზრდობის ინტერესებს, რთულია, მითუმტეს, რომ ახალგაზრდობის მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები ერთფეროვანია და წლების მანძილზე არ იცვლება.

მუნიციპალიტეტში დაბალია ჩართულობის მაჩვენებელი, რის მიზეზადაც სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა სიზარმაცე და უბრალოდ ინტერესის არქონა, უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა კი, ინტერესის არარსებობასთან ერთად, დროის დეფიციტი და ნიჰილიზმის დაასახელეს. ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვნად ფასდება ცნობიერების ამაღლება, სადაც მნიშვნელოვანია აქცენტი, მათ შორის, მშობლების განწყობების შეცვლაზეც უნდა გაკეთდეს, რამდენადაც ხშირად მათი დამოკიდებულება შვილების ჩართულობისადმი ნეგატიურია.

ამასთან, აუცილებლობად იკვეთება ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა ნაადრევი ქორწინებისა და გოგოებისთვის განათლების მიღების მნიშვნელობაზე, რაც განსაკუთრებით აქტუალური ეთნიკური უმცირესობების ჯგუფისთვის შეიძლება იყოს. ამასთან მნიშვნელოვნად იკვეთება ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის ინტეგრაციის მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა, რაც, პირველ რიგში, ენობრივი ბარიერის მოხსნაზე უნდა იყოს ფოკუსირებული.

რამდენადაც ახალგაზრდებისთვის აქტუალურ პრობლემებს შორის სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან ბულინგი გამოიკვეთა, არსებითია ამ მიმართულებით მუშაობა. ამასთან, პრობლემებს შორის სახელდება გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების არარსებობა, ისევე როგორც, შეზღუდული ხელმისაწვდომობა სპორტდარბაზებსა და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე. უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის კი ყველაზე კრიტიკული დასაქმების პრობლემაა, რაც, სამუშაო ადგილების სიმწირესთან ერთად, დაბალ ანაზღაურებას უკავშირდება.

ამგვარად, სპორტული დარბაზებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა, ბანაკების ორგანიზება, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების შეკრება იქნება უზრუნველყოფილი, ასევე სივრცეები შეკრებებისთვის და ახალგაზრული საბჭოს ჩამოყალიბებაა ის აუცილებელი აქტივობები, რაც, პირველ რიგში უნდა დაიგეგმოს ახალგაზრდობის მიმართულებით. თუ პრობლემების ჩამონათვალსაც გავითვალისწინებთ, რაზეც კვლევის ფარგლებში გამახვილდა ყურადღება, ასევე არსებითად უნდა მივიჩნიოთ ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის. ამასთან, უმნიშვნელოვანესია ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა თუ სხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვა როგორც ნაადრევი ქორწინების, ასევე გოგოებსითვის განათლების მიღებისა და, ზოგადად, ჩართულობის მნიშვნელობის საკითხებზე.

IV

კასპის მუნიციპალიტეტი

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი დაბალია. ათიდან შვიდმა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (69%);

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ ნაწილს **სპორტულ მოედნებზე** (63%) და **ბიბლიოთეკებზე** (58%) აქვს წვდომა დასახლებაში. ამასთან, **არცერთ სერვისზე** არ აქვს წვდომა ახალგაზდების 23%-ს;

- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის, 52%-ის მიერ;

- **პროფესიული უნარ-ჩვევების** (68%) დახვეწაში მხარდაჭერა, ასევე **სტაჟირების პროგრამებზე** (56%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაეხმარებოდა დასაქმებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს კასპის მუნიციპალიტეტში. ასევე, მხარდაჭერა **ინგლისური ენის** შესწავლა/დახვეწაში (30%) და **პრეზენტაციის უნარის** (32%) შეძენა/დახვეწაში;

- სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი. ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობაც** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა გამოკითხულთა 57%-ის მიერ;

- მიუხედავად სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავების მნიშვნელობისა, გამოკითხულტა 50% მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში მცირე ნაწილი ან თითქმის არავინაა სპორტით/ ფიზიკური აქტივობით დაკავებული. თავად გამოკითხულთა 55%-იც არ არის დაკავებული ფიზიკური აქტივობით;

- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (35%), სივრცეები შეკრებებისთვის (30%) და სახელოვნებო/კულტურის წრეები (31%);

- გამოკითხულთა 35% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 22% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში**;

- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს 54%-ს. აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ახალგაზრდები ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ჰქონდათ სურვილი;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე გამოკითხულთა 84% აფიქსირებს. აღნიშნულის მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (39%);

- ახალგაზრდების 89% მიიჩნევს, რომ მათი **უფლებები** დაცულია;

- მუნიციპალიტეტში სხვადასხვა **სარისკო ქცევაა** გავრცელებული ახალგაზრდებში, ყველაზე გავრცელებულ სარისკო ქცევებად კი სიგარეტის მოწევა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება გამოიკვეთა;

- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა დაბალია. შიდა მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე არ ფიქრობს გამოკითხულთა 53%. რაც შეეხება გარე მიგრაციას, ეს განზრახვა არ აქვს რესპონდენტთა 76%-ს. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, უკეთესი განათლების მოტივაციაა უმთავრესი შიდა მიგრაციის განრახვის შემთხვევაში და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობები, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობები გარე მიგრაციისას;

- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია (5.2 ქულა მაქსიმალური 7-დან);

- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია ყველა მუნიციპალიტეტში. ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (74%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (51%) თუ ქვეყნის (46%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და კასპის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ კასპის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსურ ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[6] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[6] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 4. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი			
ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	3	200
კვლევის არეალი	კასპის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

კასპის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდები ინტერესდებიან საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებით და აღნიშნულისთვის მთავარ წყაროდ მუნიციპალიტეტის სოციალური გვერდს იყენებენ ფეისბუქში (58%). ამასთან, საგულისხმოა, რომ 34%-ისთვის ინფორმაციის მთავარი წყაროა ადგილობრივი ტელევიზია, 32%-ისთვის კი მეგობრები/ახლობლები. სოციალურ ქსელში სხვადასხვა გვერდთან ერთად (25%), მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირების წყაროს თავად მუნიციპალიტეტის ვებგვერდიც წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის (13%).

გრაფიკი 31. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (72%). თუმცა, ისიც ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა მესამედს (28%). რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (86%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (83%) იყენებს.

კვლევის მონაწილეთა 39%-ის შეფასებებით, მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებულია/სრულადაა გათვალისწინებული, მაშინ როდესაც საპირისპიროზე გამოკითხულთა 17% მიუთითებს. ახალგაზრდების 38%-ის შეფასება კი ნეიტრალურია.

გრაფიკი 32. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=200

თვისებრივი კვლევის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე საუბრისას ფოკუსური დისკუსიების მონაწილეთა მიერ ძირითადად აღინიშნა გარემოსდაცვითი და სპორტული ღონისძიებები. ასევე, რამდენიმე შემთხვევაში გაიხსენეს გადამზადების ტრენინგ-კურსი, თუმცა, ზოგადი შეფასებით, აქტივობები არ გამოირჩევა მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ აქტივობების დიდი ნაწილი შეჩერებულია პანდემიის გამო, შესაბამისად, დასახელებული აქტივობების უმეტესობა პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას მოიაზრებს. ამასთან, კვლევის მონაწილე ახალგაზრდებმა ასევე გაიხსენეს ონლაინ-ლექციები და სხვადასხვა აქტივობა ტექნოპარკთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ პოზიტიურად შეფასდა მუნიციპალიტეტში ტექნოპარკის არსებობა და მის მიერ ორგანიზებული აქტივობები როგორც კვლევის მონაწილე ახალგაზრდების, ასევე ძირითადი ინფორმანტების მიერაც. ამ უკანასკნელთა მიერ ხაზგასმული იყო, რომ მის მიერ შეთავაზებული პროექტები თუ ცალკეული ღონისძიებები ახალგაზრდებისთვის ერთფეროვანი რეალობის შეცვლას და „დროის სწორად“ გამოყენებას უწყობს ხელს.

საგულისხმოა, რომ აქტივობები ძირითადად სკოლის მოსწავლეებზეა ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრება, რომლის შეფასებითაც, უფროსი ასაკის ახალგაზრდები, კერძოდ, სტუდენტები, უმეტესად თბილისში გადადიან საცხოვრებლად, შესაბამისად, ნაკლებად აქტიურობენ მუნიციპალიტეტში და მათზე მორგებული აქტივობებიც ნაკლებია. კიდევ ერთი არგუმენტის თანახმად, უფროსი ასაკის ახალგაზრდების შემთხვევაში დაინტერესება და შესაბამისად, მათზე მორგებული აქტივობების საჭიროება მცირდება თუ ისინი დასაქმებულნი არიან. მიუხედავად ამისა, აღინიშნა, რომ არსებობს სტუდენტების ნაწილი, ვისაც უნივერსიტეტის პერიოდში ან მის შემდგომ შედარებით მეტი თავისუფალი დრო აქვს და შეუძლია აქტივობებში ჩაერთოს, ამ თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიცირდეს მათთვის საინტერესო თემები და მოხდეს შესაბამისი აქტივობების ორგანიზება.

კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ახალგაზრდული აქტივობების განხორციელების თვალსაზრისით განსხვავება ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის ორად გაიყო. ერთი დისკურსის თანახმად, აქტივობები იშვიათად ტარდება სოფლებში და მათი უმრავლესობა ქალაქშია თავმოყრილი. მეტიც, სოფლის ტიპის დასახლებებში აქტივობების სიმწირის გარდა გამოწვევაა ისიც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი გარკვეულ სოფლებში არ არის, ხოლო სადაც არის, საღამოს საათებში თითქმის არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, ქალაქში არსებულ აქტივობებში ჩართულობა ამ მხრივაც პრობლემურია. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრებით, ეფექტიანი იქნება ტრანსპორტის დანიშვნა სპეციალურად აქტივობების დღისთვის, რათა ახალგაზრდებმა მასში ჩართვა შეძლონ.

მეორე დისკურსის თანახმად კი, სოფლის ტიპის დასახლებებიც საკმაოდ აქტიურია აქტივობების განხორციელების თვალსაზრისით. ამ მოსაზრების მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ სოფლებში სპორტული ღონისძიებების არსებობაზე. ასევე, პოზიტიურად შეფასდა არტ-ვილა „გარიყულა“, სადაც იმართება გამოფენები თუ სხვადასხვა სახის აქტივობა და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილად მიიჩნევა. აღინიშნა სოფელში საზაფხულო ბანაკის განხორციელების შემთხვევა და კულტურის სახლის ფუნქციონირებაც.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების შეფასებით, მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქტივობები ძირითადად *შეესაბამება მათ ინტერესებს* და განვითარებაშიც უწყობს ხელს. ეს მოსაზრება განსაკუთრებით გამოიკვეთა სკოლის ასაკის ახალგაზრდების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ სწორედ იმას, რომ აქტივობები უმეტესად სკოლის ასაკის ახალგარდებზეა ორიენტირებული და დღის წესრიგში დგას მეტი აქტივობის დაგეგმვის აუცილებლობა სტუდენტების ან უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ არსებული აქტივობები ახალგაზრდების ინტერესებს მხოლოდ ნაწილობრივ პასუხს. ამ თვალსაზრისით აღინიშნა ახლაგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის მნიშვნელოვნებაც, რათა ამგვარ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდეს აქტივობებისა თუ პროექტების ორგანიზება.

რაც შეეხება აქტივობების *ინიციატორებს*, თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შეფასებით, ძირითადად ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერია, თუმცა ასევე აღინიშნა როგორც თავად ახალგაზრდების, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აქტიურობის შემთხვევებიც. მართალია, ახალგაზრდების ამ თვალსაზრისით გააქტიურება მნიშვნელოვნად ჩაითვალა, მაგრამ აქტივობათ ორგანიზებაზე მთავარ პასუხისმგებლად კვლევის მონაწილეები მაინც ადგილობრივი ხელისუფლებას მიიჩნევენ.

რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, აქ აგამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორები თავად ახალგაზრდები არიან (43%). 35%-ის შეფასებით კი, ინიციატორები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები არიან.

გრაფიკი 33. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



კასპში ათიდან შვიდ გამოკითხულს არ სმენია იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს (69%). შესაბამის ინფორმაციას ფლობს რესპონდენტთა 17%, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია პროგრამაში და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია. ის პროგრამები და სერვისები კი, რომელთა შესახებაც ყველაზე მეტ ახალგაზრდას სმენია, ბანაკებს/საზაფხულო სკოლებს, ასევე მოხალისეობრივ პროგრამებს უკავშირდება.

გრაფიკი 34. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



კვლევის შედეგები მოწმობს, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება. აღნიშნულისთვის, მართალია, მუნიციპალიტეტის მერიის გვერდი სოციალურ ქსელში შესაძლებელია იყოს ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი წყარო, თუმცა, მის გარდა მნიშვნელოვანია ადგილობრივი ტელევიზიის გამოყენება, რამდენადაც მას, მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ასახელებს წყაროდ.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

კასპის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 33% მიიჩნევს, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდები ახდენენ გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ დონეზე, ამასთან 28%-ის შეფასება ნეიტრალური, მეოთხედისა კი - უარყოფითი (25%). ამასთან, გასათვალიწინებელია, რომ თავად კვლევის მონაწილეთაგან, ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მხოლოდ 13%-მა მიიღო და ეს უმეტესად გულისხმობდა უბრალოდ შეხვედრებზე დასწრებასა და საკითხების განხილვაში მონაწილეობას.

გრაფიკი 35. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



თითქმის ყველა გამოკითხული ახალგაზრდა თვლის, რომ ისეთ სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობა, როგორიც მოხალისეობაა მნიშვნელოვანი/ძალიან მნიშვნელოვანია (97%). თავად, ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს 54%-ს. ყველაზე მეტი გამოკითხულის, 29%-ის მოხალისეობრივი აქტივობა კი გამწვანების აქციაში მონაწილეობას უკავშირდება.

გრაფიკი 36. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



მათი უმრავლესობა, ვისაც მოხალისეობრივ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა, ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობის თაობაზე (49%). ამასთან, ვერმოცლას მიზეზად გამოკითხულთა მესამედი (28%), სურვილის არქონას კი - მეხუთედი (19%) ასახელებს.

გაცილებით დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად ფასდება გამოკითხულთა უმრავლესობის

მიერ (83%). სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება გამოკითხულთა 84%-ს არ აქვს. აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (55%). ამასთან, 23% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, 21% კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის.

გრაფიკი 37. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



რესპონდენტთა 35%-ის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში, მეოთხედის შეფასებით კი, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობაში (25%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეხუთედის შეფასებით, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო აქტივობებში არ მონაწილეობენ (22%), 14%-ს კი უჭირს აღნიშნულის შეფასება.

გრაფიკი 38. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



რაც შეეხება თვისებრივ კვლევას, მისი შედეგების თანახმად, სამოქალაქო აქტივიზმს და მსგავს პროცესებში ჩართულობას, კვლევის მონაწილე ახალგაზრდები აფასებენ როგორც დაბალს. მათივე შეფასებით, მუნიციპალიტეტში არსებობს *აქტიური ახალგაზრდების ჯგუფები*, რომლებიც რეაგირებას ახდენენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე (მაგ: საპროტესტო აქცია გარემოს დაბინძურებაზე). ხაზგასმული იყო, რომ როგორც წესი, ეს არის ერთი და იგივე ადამიანებით დაკომპლექტებული მცირერიცხოვანი ჯგუფები, ახალგაზრდების დანარჩენი ნაწილი კი დაინტერესებას პროცესებსა თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის თვალსაზრისით ნაკლებად იჩენს.

რაც შეეხება თემატიკას, ერთი მოსაზრების თანახმად, სამოქალაქო აქტივობაში ძირითადად მოიაზრებენ *გარემოსდაცვით აქტივობებს*, შესაბამისად, ახალგაზრდების აქტიურობაც ამ მიმართულებით არის ყველაზე მაღალი (დასუფთავებისა და გამწვანების აქციები). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოხალისეობრივი საქმიანობიდან სწორედ გამწვანების აქციაში მონაწილეობის გამოცდილება აქვს ყველაზე მეტ გამოკითხულს (29%), შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის აქტივობა საკმაოდ პოპულარულია მუნიციპალიტეტში.

დაბალი ჩართულობის ერთ-ერთ მიზეზად თვისებრივი კვლევის ფარგლებში ინტერესის არქონა დასახელდა. თუმცა, კვლევის ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, გამოწვევაა ისიც, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი გასულის მუნიციპალიტეტიდან და ესეც აისახება ჩართულობაზე. დაბალი ინტერესის კიდევ ერთ მიზეზად სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელოვნების შესახებ დაბალი ცნობიერება დასახელდა, რაც, თავის მხრივ, ინტერესის არქონის განმაპირობებლად უნდა მივიჩნიოთ. ასევე გამოწვევაა მექანიზმების ფორმების შესახებ *არაინფორმირებულება*. გამოწვევა სწორედ ის არის, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, რომ შეუძლიათ ჩაერთონ პროცესებში და არც აღნიშნულისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმების შესახებ ფლობენ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტში ჩართულობა რომ დაბალია, აღინიშნა კვლევის მონაწილე ძირითად ინფორმანტებთანაც. ამის მთავარ მიზეზად ამ შემთხვევაშიც ცნობიერების დაბალი დონე დასახელდა, რომლის ამაღლებაზეც, ერთ-ერთი შეფასებით, არც სკოლა და არც უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი - ოჯახი ზრუნავს.

ის, რომ დაბალი ჩართულობის ერთ-ერთი მიზეზი სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობაა, გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევითაც. ამ მიზეზს მიიჩნევს მნიშვნელოვნად გამოკითხულთა 38%. 28%-ის შეფასებით დაბალი ჩართულობის მიზეზი ის არის, რომ მუნიციპალიტეტში შესაბამისი აქტივობები არ იგეგმება. ხოლო იმაზე, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორც ჩაერთონ პროცესებში და ეს არის დაბალი აქტივობის მიზეზი, 15% მიუთითებს.

ჩართულობისა და სამოქალაქო აქტიზმის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. აღმოჩნდა, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები არის ის ღირებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელობს ახალგაზრდებისთვის. მისი შეფასება მაქსიმალური 7-დან მხოლოდ მხოლოდ 3.2 ქულაა. ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს ათიდან ოთხ გამოკითხულს (39%). ყველაზე მეტ ახალგაზრდას აინტრესებს ზოგადად პოლიტიკა საქართველოში (30%), ამასთან, მათი ინტერესის საგანია საქართველოს ნატოსთან (24%) და ევროკავშირთან (19%) ურთიერთობა. შიდა ქართლის რეგიონული თავისებურებიდან და კონფლიქტისპირა ზონის გათვალისწინებით, ისიც აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 17%-ს რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხი აინტერესებს.

მიუხედავად დაბალი ჩართულობისა, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდები *სამოქალაქო აქტივიზმს აფასებენ როგორც მნიშვნელოვანს* რამდენიმე მიზეზით. ერთი მხრივ, მათი მოსაზრებით, სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობა ხელს უწყობს ახალგაზრდების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხარისხის ზრდას. გარდა ამისა, ეს არის როგორც პიროვნების, ასევე მუნიციპალიტეტისა თუ თემის განვითარების შესაძლებლობა.

ამგვარად, გადაწყვეტილების მიღებისა თუ სხვადასხვა პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა მნიშვნელოვან გამოწვევად იდენტიფიცირდა მუნიციპალიტეტში, რასაც, ორი მთავარი მიზეზი აქვს. ერთი მხრივ, დაბალია ცნობიერება ჩართულობის მნიშვნელობის თაობაზე. მეორე მხრივ კი, ახალგაზრდებმა არ იციან არც შესაბამისი უფლების, არც მექანიზმების თაობაზე, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ. ამ თვალსაზრისით, არსებითია ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის გააქტიურება და ახალგაზრდების დარწმუნება პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელობის თაობაზე.

1.3. უფლებები

ახალგაზრდების რომელიმე უფლების შეზღუდვაზე ან ნაწილობრივ დაცულობაზე კვლევის მონაწილე ახალგაზრდებმა თვისებრივი კვლევის ფარგლებში ნაკლებად ისაუბრეს. მათი შეფასებით, ახალგაზრდების უფლებები ძირითადად არ ირღვევა და ამ მხრივ განსაკუთრებული გამოწვევები არ არის. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმადაც, დიდი უმრავლესობა ახალგაზრდებისა მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცულია (80%), 18%-ის შეფასებით კი, მათი უფლებები ნაწილობრივაა დაცული.

მიუხედავად ამგვარი შეფასებებისა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში მაინც დასახელდა რამდენიმე უფლება, რომლის მეტ-ნაკლებ დაღვევაზეც შეიძლება საუბარი. კერძოდ, განხილული იყო განათლების უფლების შეზღუდვა, რაც დაკავშირებული იყო ფინანსური რესურსის სიმწირის ან ტრანსპორტირების პრობლემის გამო განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სირთულეებთან. აღნიშნულის გამო ახალგაზრდებს ხელი ეშლებათ სასწავლო პროცესში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი. განათლების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდები კი, ფაქტობრივად დასაქმების შესაძლებლობის მიღმა რჩებიან.

ახალგაზრდებმა ასევე გაიხსენებს ბულინგის და ჩაგვრის შემთხვევები, თუმცა აღინიშნა, რომ სკოლაზე მეტად ამას ქუჩაში აქვს ადგილის. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მსგავსი შემთხვევები წლების წინ არსებულ რეალობასთან შედარებით, შემცირებულია და ამას გარკვეულწილად ხელს უწყობს მსგავსი ინცინდენტების გასაჯაროება, ინფორმაციის გავრცელება, შესაბამისად, ბავშვები უფრო გათვითცნობიერებულნი ხდებიან საკუთარი უფლებების შესახებ. კიდევ ერთი არგუმენტის თანახმად, ბულინგი „უფრო დიდი ქალაქების პრეცედენტია“, რადგან პატარა ქალაქებსა და დასახლებებში „ყველა ყველას იცნობს“, შესაბამისად, ერთმანეთთან უფრო მეგობრული დამოკიდებულება აქვთ.

უფლებებზე საუბრისას, ახალგაზრდების რომელიმე უფლების შეზღუდვაზე ან დარღვევაზე ძირითადმა ინფორმანტებმაც ნაკლებად ისაუბრეს. თუმცა, საგულისხმოა, სწორედ უფლებების შეზღუდვის კონტექსტში, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის მოსაზრება. მისი შეფასებით, მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ ეთნიკური, ამავდროულად რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, რომელთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე შეიძლება ვისაუბროთ. არგუმენტის თანახმად, სკოლებში რელიგიის სწავლება მათი უფლებების დარღვევაზე მიუთითებს. ამდენად, ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, რაც, ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, სკოლებში რელიგიის სწავლების გადახედვასაც ითვალისწინებს, აუცილებელია.

1.4. გამოწვევები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტში რამდენიმე განსაკუთრებით მწვავე პრობლემა იდენტიფიცირდა. კერძოდ, პრობლემაა *გასართობი სივრცეების არარსებობა*. გარდა ამისა, გამოწვევაა ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა, სადაც ახალგაზრდები შეკრებას შეძლებდნენ. მსგავსი სივრცეები მოაზრებულია არა მხოლოდ გართობის, არამედ სხვადასხვა თემებზე საუბრისა და იდეების გაცვლის შესაძლებლობადაც. საკითხი აქტუალურია მუნიციპალური ცენტრებისთვისაც, თუმცა განსაკუთრებით გამოწვევაა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის, სადაც, კვლევის მონაწილეთა შეფასებით, თითქმის არანაირი სივრცე არ არსებობს, სადაც ახალგაზრდები შეკრებასა და გართობას შეძლებენ.

გრაფიკი 39. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის

რაც შეეხება *სპორტულ ინფრასტრუქტურას*, რაც კვლევის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, ასევე შეიძლება იყოს გართობისა და შეკრების ადგილი, ამ მხრივ განსაკუთრებული გამოწვევაა სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც შეიძლება არსებობდეს სტადიონი, თუმცა ისიც უმეტესად ისეთ მდგომარეობაში, რომ გამოსაყენებლად უვარგისი იყოს. აღსანიშნავია, რომ ფოკუსური დისკუსიებისას გაჟღერებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მსგავსი შეკრების სივრცეების არსებობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, არამედ მათ დასაინტერესებლადაც, ვინც, მუნიციპალიტეტიდან სხვა ქალაქი გადადის საცხოვრებლად (რათა, დაბრუნდნენ თავიანთ რაიონში).

კიდევ ერთ პრობლემად გამოიკვეთა *აქტივობებისა და სხვადასხვა წრეების ნაკლებობა*. ასევე გამოწვევაა აქტივობების ერთფეროვნება. ამასთან, კვლევის მონაწილეთა შეფასებით, მნიშვნელოვანია აქტივობები სოფლის ტიპის დასახლებებშიც იმართებოდეს და მხოლოდ ქალაქში არ იყოს კონცენტრირებული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც ირკვევა, რომ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე (26%), სპორტულ წრეებსა (25%) თუ გართობისა და დასვენების ადგილებზე (19%) ხელმმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ პრობლემათა რიგშია, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. თუმცა, თუ პრობლემების ჩამონათვალს ვნახავთ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოგვარდეს, ისინი პირდაპირაც და ირიბადაც დასაქმებას უკავშირდება.

დასაქმება

დასაქმებაა ის პრობლემა, რომელსაც ყველაზე მეტი გამოკითხული ასახელებს იმ გამოწვევათა შორის, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (52%). ის, რომ დასაქმება სერიოზული გამოწვევაა, გამოიკვეთა თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც. ამ პრობლემის მოგვარების საკითხში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გარდა, კვლევის მონაწილეთა ნაწილის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა აქტორის ჩართულობასაც ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, დასაქმების ხელშეწყობისთვის ახალგაზრდებისთვის პროფესიული განათლების შეთავაზება მნიშვნელოვნად შეფასდა, რომლის უზრუნვეყლოფა შეუძლია როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორს. კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, კერძო სექტორის ჩართულობა მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისითაც.

პროფესიული გადამზადების კურსებთან ერთად (12%), რაოდენობრივი კვლევის მონაწილეები მნივნელოვნად მიიჩნევენ სტაჟირების პროგრამებზე (25%), ასევე კარიერული დაგეგმვის (15%) სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ეს სერვისები, ასევე ტრენინგებსა თუ სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსზე (13%) ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის ხაზგასმა პირაპირ თუ ირიბად დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების მექანიზმებად შეიძლება მოვიაზროთ.

სამუშაო ადგილების სიმწირის გარდა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში დასაქმების თვალსაზრისით კიდევ ერთ გამოწვევად დაბალი ანაზღაურება დასახელდა, რაც ერთგვარად შრომითი უფლებების დარღვევადაც კი იქნა შეფასებული. აღინიშნა, რომ დაბალი ანაზღაურება ახალგაზრდებისთვის ხშირად დემოტივატორი ხდება და იმ პირობებში „რომ არ უფასდებათ [შრომა]“, უმუშევრის სტატუსს ამჯობინებენ.

ის, რომ სამუშაო ადგილების არსებობაა დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი რაოდენობრივმა კვლევამაც გამოავლინა (70%). ამასთან, იმ სერვისებს შორის, რაშიც მხარდაჭერა ახალგაზრდებს დასაქმებაში შეუწყობდა ხელს პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისებაში (68%) და სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში (56%) მხარდაჭერა გამოიკვეთა არსებითად. გარდა ამისა, გამოკითხულთა მესამედი თვლის, რომ ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერაა ის, რაც ახალგაზრდებს დასაქმებაში დაეხმარებოდა მათ მუნიციპალიტეტში (30%) და ასევე მესამედი პრეზენტაციის უნარების დახვეწაში მხარდაჭერა მიიჩნევს არსებითად (32%).

გრაფიკი 40. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



რაც შეეხება გამოკითხულთა დასაქმების მაჩვენებელს, სრულ განაკვეთზე დასაქმებულია გამოკითხულტა 15%, 2% კი - ნახევარ განაკვეთზე. თვითდასაქმებულთა რიცხვი, ვინც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული 6%-ს, ფრილანსერთა რაოდენობა კი - 5%-ს შეადგენს.

გრაფიკი 41. დასაქმების სტატუსი



თვისებრივი კვლევის ფარგლებში ისეთ პრობლემაზე რეაგირებისთვის, როგორიც დასაქმებაა, რაც განსაკუთრებით აქტუალური უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვისაა, გარკვეული პროექტების განხორციელების გამოცდილებაზეც გამახვილდა ყურადღება. ერთ-ერთი შეფასებით, დასაქმებისთვის აუცილებელია ახალგაზრდებს ჰქონდეთ სხვადასხვა უნარი და ისეთი ცოდნა, რომელთა გამოყენებასაც ისინი რეალურად შეძლებენ ადგილზე დასაქმებისას. როგორც აღინიშნა, სამეწარმეო პროგრამების განხორციელებასთან ერთად, რეგიონში ახალგაზრდებისთვის არსებობს ინგლისური ენისა თუ კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები, თუმცა ეს პროგრამები ყველა მუნიციპალიტეტში არ ვრცელდება და ამ მიმართულებით ყველა დაინტერესებული მხარის გააქტიურება, მნიშვნელოვნად ჩაითვალა. დასაქმების კონტექსტშივე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივმა ხელისუფლებამ სწორედ სამეწარმეო საქმიანობების წახალისებაზე მოახდინოს განსაკუთრებული ფოკუსირება. ამავე კონტექსტში იყო ხაზგასმული პროფესიული სასწავლებლების ჩართულობის მნიშვნელობა. გარდა ამისა, დასაქმების ხელშეწყობის თვალსაზრისით აღინიშნა დასაქმების ფორუმის ორგანიზების მნიშვნელობაც.

მიგრაცია

როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, უახლოესი 2-3 წლის პერსპექტივაში შიდა მიგრაციაზე არ ფიქრობს გამოკითხულთა უმრავლესობა (56%), ამ ეტაპზე კი აღნიშნულზე არ ფიქრობს რესპონდენტთა 11%. შიდა მიგრაციის განზარხვის არსებობას და დროებით საცხოვრებელი ადგილის დატოვებას რესპონდენტთა 26% აფიქსირებს და მათი მთავარი მოტივაცია უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ასევე დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას უკავშირდება.

გრაფიკი 42. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით



გარე მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით არ აქვს გამოკითხულთა 76%-ს. მათი რიცხვი კი, ვინც ქვეყნის დროებით დატოვებას ფიქრობს 18%-ს შეადგენს. გარე მიგრაციის შემთხვევაში, მთავარი მოტივატორი დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა, ასევე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა.

პრობლემების მოგვარებაზე მთავარ პასუხისმგებლად დისკუსიების მონაწილეები, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, კერძო სექტორსაც მოიაზრებენ და აქ მთავარი ფოკუსი დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირებას გულისხმობს. იმის შეფასება კი, რა კეთდება ამჟამად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პრობლემების მოსაგვარებლად, ნეიტრალურია. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს. ამასთან, რესპონდენტთა მესამედის შეფასებით, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად (32%).

გრაფიკი 43. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება



გამოწვევების მიუხედავად, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში პოზიტიურია. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (74%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა (51%) და ქვეყნის (46%) მდგომარეობის შეფასებას, ის ნაკლებად, თუმცა მაინც უფრო ოპტიმისტურად ფასდება.

გრაფიკი 44. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთანავე, გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.3 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.3 ქულა) მდგომარეობა. ამასთან, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებაც მაღალია და მაქსიმალური 7-დან 5.2 ქულითაა შეფასებული.

1.5. სასურველი აქტივობები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში სასურველი აქტივობებისა თუ პროექტების შეფასების შედეგად რამდენიმე საჭიროებაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა გამოკვეთა. კვლევის მონაწილე ახალგაზრდების შეფასებით, სასურველია გასართობი აქტივობების ორგანიზება, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როდესაც კასპის მუნიციპალიტეტს ბევრი ახალგაზრდა უბრუნდება. ასევე, აღინიშნა სპორტული აქტივობების საჭიროება. სპორტული აქტივობების კვალდაკვალ აღინიშნა შესაბამისი ინფრასტრუქტურის საჭიროებაც. განსაკუთრებით სასურველად გამოიკვეთა საცურაო აუზის არსებობა მუნიციპალიტეტში.

გარდა ამისა, აღინიშნა მეტი გარემოსდაცვითი აქტივობის ორგანიზება, მაგალითად, დასუფთავების ღონისძიება. ასევე აღინიშნა საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, როდესაც მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.

კვლევის მონაწილეებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება საგანმანათლებლო აქტივობებზე, რომელიც, ერთი მხრივ, ორიენტირებული იქნება ახალგაზრდების ინფორმირებაზე, მაგალითად, საკუთარი უფლება-მოვალეობებისა თუ სხვადასხვა საკითხის შესახებ; მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვნად შეფასდა ისეთი აქტივობების ორგანიზება, რომელიც ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულში მოიაზრება როგორც ტრენინგების ორგანიზება, ასევე სხვადასხვა

პროფესიის წარმომადგენელთა მიერ ცოდნის გაზიარება. გარდა ამისა, სასურველ აქტივობებსა და პროექტებს შორის დასახელდა ბანაკების ორგანიზებაც, რასაც ერთდროულად ექნება გასართობი და საგანმანათლებლო დანიშნულება.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდებისთვის შეკრების სივრცის არარსებობა გამოწვევაა, მსგავსი სივრცის შექმნის საჭიროებასაც გაესვა ხაზი. ამ თვალსაზრისით, ერთი არგუმენტის თანახმად, ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური სივრცე, არამედ ონლაინ პლატფორმაც, სადაც ახალგაზრდები ინფორმაციის გაცვლასა და იდეების გენერირებას შეძლებენ. მსგავსი პლატფორმის არსებობა მნიშვნელოვნად შეფასდა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსარისითაც. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მიერ ასევე აღინიშნა, რომ მსგავსი ტიპის ინიციატივა უკვე არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციის სახით, რომელიც გეგმავს სივრცის შექმნას მსგავსი შეხვედრებისთვის.

თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებსაც ვნახავთ, აქ ყველაზე მნიშვნელოვან სერვისად, რომელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაცაა ახალგაზრდებისთვის აუცილებელი, სპორტული წრეები იკვეთება. აღნიშნულის მნიშვნელობაზე ათიდან დაახლოებით ექვსი გამოკითხული უთითებს (57%).

გრაფიკი 45. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



აღსანიშნავია, რომ უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 35% და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად შეფასდა, სერვისების დასახელებისას დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხებიც აქტუალურია, გარდა გართობისა და დასვენებისა. ამას მოწმობს, მათ შორის, კარიერული დაგეგმვის სერვისზე (28%), ასევე, მეწარმეობის ხელშემწყობს სერვისებზე (11%) ხელმისაწვდომობის არსებობის მნიშვნელობა ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

საგულისხმოა, რომ სასურველ ინიციატივებზე საუბრისას, კვლევის მონაწილე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთან ხაზგასმული იყო არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობების მნიშვნელობა და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის აუცილებლობა მუნიციპალიტეტში. როგორც აღინიშნა, მსგავსი ცენტრი, ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოებასთან ერთად, მათ სხვადასხვა ინიციატივის შემუშავებასა და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვაში შეუწყობს ხელს. ის, რომ არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვისაც აქტუალური საკითხია დასტურდება რაოდენობრივი კვლევითაც, სადაც გამოკითხულთა მესამედი ისეთი სივრცეების არსებობას მიიჩნევს მნიშვნელოვნად, სადაც ახალგაზრდები შეკრებას, დისკუსიების გამართვასა და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვას შეძლებდნენ (30%).[7]

[7] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

V

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი დაბალია. ათიდან დაახლოებით ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (56%);
- ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაწილისთვის მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია სპორტული წრეები (33%). ამასთან მნიშვნელოვან ნაწილს **არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა** დასახლებაში (48%);
- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად დიდი ნაწილის მიერ (47%);
- გარდა სამუშაო ადგილების არსებობისა (62%), დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორებად სახელდება **პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობა** (51%) და **ინგლისური ენის ცოდნა** (32%), ასევე **ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობა** (31%);
- სწორედ **პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა** დაეხმარებოდა გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს დასაქმებაში (69%). ასევე, მხარდაჭერა **ინგლისური ენის შესწავლასა** (57%) და **სტაჟირების პროგრამებზე** ხელმისაწვდომობა/სამუშაო გამოცდილების დაგროვებაში (47%) მხარდაჭერა. ამასთან, 16%-ისთვის მნიშვნელოვანია მხარდაჭერა **ქართული ენის შესწავლაში**;
- ხელმისაწვდომობა/სამუშაო გამოცდილების დაგროვებაში (53%) მხარდაჭერა;
- **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავება შეფასებულია, როგორც მნიშვნელოვანი. ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობაც** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (71%);
- მიუხედავად **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების მცირე ნაწილია მისით დაკავებული. მხოლოდ მეხუთედი მიუთითებს იმაზე, რომ მის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან თითქმის ყველა დაკავებულია სპორტით (19%);
- ფინანსური ხელმისაწვდომობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასევე სპორტული წრეების/კლუბების არსებობა ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;
- ახალგაზრდებისთვის, გარდა სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობისა, დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა უცხო ენის შემსწავლელი კურსები (48%), სახელოვნებო/კულტურის წრეები (33%) და სივრცეები შეკრებებისთვის (33%);
- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (90%);

- მუნიციპალიტეტში 49% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ათიდან დაახლოებით ორი ახალგაზრდა ასევე ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში** (18%);
- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;
- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე ახალგაზრდების 65%-ს. ახალგაზრდები აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ქონდათ სურვილი;
- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე ათიდან რვა გამოკითხული აფიქსირებს (78%). აქაც მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა. ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები**, ამასთან, ნახევარი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (50%);
- ათიდან ოთხი ახალგაზრდაა **დაინტერესებული ზოგადად საქართველოს პოლიტიკით** (43%). ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით მესამედი (29%), ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობით კი გამოკითხულთა მეოთხედია (26%) დაინტერესებული;
- ახალგაზრდების 44%-ს უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, ათიდან ექვსი ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაცულია (59%);
- ყველაზე გავრცელებული **სარისკო ქცევები** მუნიციპალიტეტში სიგარეტის მოწევა, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება და ალკოჰოლის მოხმარებაა;
- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა არ არის მაღალი. უახლოესი 2-3 წლის მანძილზე შიდა მიგრაციაზე 49%, გარე მიგრაციაზე კი - 70% არ ფიქრობს. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს, უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და უკეთესი ცხოვრების პირობებს უკავშირდება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში;
- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია (5 ქულა მაქსიმალური 7-დან);
- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია. ამასთან, გამოიკვეთა, რომ პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (76%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (54%) თუ ქვეყნის (51%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსურ ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი). ასევე, მუნიციპალიტეტის თავისებურებების გათვალისწინებით, დისკუსიებზე მოწვეულები იყვნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[8] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[8] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 5. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	4	150
კვლევის არეალი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები ინფორმაციას საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად ორი წყაროდან - მეგობრების/ახლობლებისგან (39%) და მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელიდან (38%). საგულისხმოა ის, რომ გამოკითხულთა მეხუთედი საერთოდ არ იღებს შესაბამის ინფორმაციას (21%). ამასთან, საგულისხმოა, რომ ათიდან ერთი გამოკითხულისთვის ინფორმირების წყარო ადგილობრივი ტელევიზიაა (10%).

გრაფიკი 46. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (59%) თუ სახლს გარეთ (3%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (2%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 37%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (77%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (83%) იყენებს.

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული ადგლობრივ დონეზე, რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების შეფასებები არცთუ დადებითია. აღნიშნულს ნეიტრალურად გამოკითხულთა 37% აფასებს, მაშინ როდესაც დადებითია შეფასება მეხუთედის (22%). მოსაზრებას კი იმის შესახებ, რომ მათთანირი ახალგაზრდების ინტერესები არ არის გათვალისწინებული 22% იზიარებს, 10%-ის აზრით კი, საერთოდ არ არის ინტერესები გათვალისწინებული (10%).

გრაფიკი 47. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=150

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქტივობები პასუხობს თუ არა ახალგაზრდობის ინტერესებს, ამასთან დაკავშირებით თვისებრივი კვლევის მონაწილე სკოლის ასაკის ახალგაზრდების შეფასებები პოზიტიური იყო. მათთვის აღნიშნულის ინდიკატორი დაგეგმილ აქტივობებში ახალგაზრდების მაღალი ჩართულობაა. თუმცა, უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის აქტივობებზე დასწრება თუ მონაწილეობა აიხსნება არა იმით, რომ ისინი მათ ინტერესებს პასუხობს, არამედ იმით, რომ არჩევანია შეზღუდული.

რაც შეეხება უშუალოდ აქტივობებს, რომლებიც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ტარდება, დისკუსიებზე გაიხსენეს რეინჯერების პროგრამა, ტყის თამაშები, სპორტულ აქტივობები და სხვა. დასახელდა ასევე ბანაკები, უცხო ენის შემსწავლელი კურსები, ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. ხაზგასმული იყო, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ და სათემო ფონდი „ლელი“, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ პროექტებს. მიუხედავად ჩამოთვლილი აქტივობებისა, რომლებიც კვლევის მონაწილეებმა გაიხსენეს, ხაზგასმული იყო, რომ აქტივობები მუნიციპალიტეტში ერთჯერადი და ერთფეროვანია.

აქტივობების ბენეფიციარები ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან, რასაც კვლევის მონაწილე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი პროცესის უფრო მარტივად ორგანიზებით ხსნის. რაც შეეხება ლოკაციას, ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემის გამო, სოფლის ტიპის დასახლებებიდან ახალგაზრდების აქტივობებში ჩართვა რომ პრობლემურია, ამას, ახალგაზრდებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელიც ასახელებს გამოწვევად.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის აქტივობათა ინიციატორი, ამაზე სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან გაჟღერდა, რომ ცალკეული გამონაკლისის გარდა, უმეტესად ინიციატორი მუნიციპალიტეტია. ახალგაზრდების შემთხვევაში, შესაძლებელია გამონაკლისებს ჰქონდეს ადგილი, რაც უმეტესად საქველმოქმედო აქციების ორგანიზებას ეხება (მუნიციპალიტეტში არის საინიციატივო ჯგუფი „ხელი ხელს“, რომელიც მსგავსი ტიპის აქტივობებს აორგანიზებს), თუმცა მაინც რეალობა უფრო იმაზე მეტყველებს, რომ ინიციატივებით ახალგაზრდები ნაკლებად გამოდიან. საგულისხმოა, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა მესამედს უჭირს თქვას, ვინ არის ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორი (29%) და ასევე მესამედი თვლის, რომ ინიციატორი ადგილობრივი მუნიციპალიტეტია (28%). ამასთან, მეოთხედი, ძირითადად, ახალგაზრდებზე მიუთითებს, როგორც ინიციატორებზე (24%).

გრაფიკი 48. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



- ძირითადად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები
- ძირითადად, თავად ახალგაზრდები
- ძირითადად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

N=150

ახალგაზრდებს ასევე დაესვათ კითხვა ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სმენიათ იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს. აღმოჩნდა, რომ დიდი ნაწილი გამოკითხულებისა მსგავს ინფორმაციას არ ფლობს (56%). ამასთან, მესამედს სმენია მათ შესახებ, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია (33%).

გრაფიკი 49. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



- არა, არ მსმენია მსგავსი პროგრამების/სერვისების შესახებ
- დიახ, მსმენია პროგრამების/სერვისების შესახებ, მაგრამ არ მიმიღია მონაწილეობა/არ მისარგებლია სერვისით
- დიახ, მსმენია და მიმიღია მონაწილეობა/მისარგებლია სერვისით
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

N=150

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ, სჯობს გაიზარდოს, რისთვისაც, სოციალურ ქსელთან ერთად, ადგილობრივი ტელევიზიისა და ასევე, ახალგაზრდების ის ჯგუფი შეიძლება იყოს გამოყენებული, რომლებიც ინფორმაციას საკუთარ სოციალურ წრეში გაავრცელებენ.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

სხვადასხვა პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა არცთუ პოზიტიურად შეფასდა თვისებრივი კვლევის ფარგლებში, რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც, ეს შეფასებები უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. გამოკითხულთა მესამედის შეფასება ნეიტრალურია (28%), 38% კი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდები ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ახდენენ/საერთოდ ვერ ახდენენ. მაშინ როდესაც გავლენის მოხდენაზე გამოკითხულების მეხუთედი მიუთითებს (25%).

გრაფიკი 50. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



N=150

მოხალისეობრივ აქტივობაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია აბსოლუტური უმრავლესობის აზრით (90%), მაგრამ მსგავს აქტივობებში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს გამოკითხულთა 65%-ს. ყველაზე მეტს, 19%-ს კი გარემოსდაცვით აქციაში მიუღია მონაწილეობა; 15%-ს კი მონაწილეობის გამოცდილება აქვს სხვადასხვა საქველმოქმედო აქტივობაში. მოხალისეობრივ ატივობაში ჩაურთველობის მთავარ მიზეზად კი ის სახელდება, რომ ახალგაზრდებს არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ (34%), ვერ მოიცალეს (32%) და არ ჰქონდათ ამის სურვილი (30%).

გრაფიკი 51. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



ამასთან, დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელიც, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა ნახევარი (54%). როგორც აღმოჩნდა, სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება უმრავლესობას არ აქვს (78%), ყველაზე მეტმა კი (9%), აზრი ონლაინ სივრცეში გამოხატა სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მიზეზებს, აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (59%).

გრაფიკი 52. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



რაც შეეხება იმას, თუ როგორია ახალგაზრდების აქტივობა ზოგადად, აქ გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (49%). აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეხუთედის შეფასებით, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში (18%).

გრაფიკი 53. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



დაბალი სამოქალაქო აქტივობის ორ მთავარ მიზეზად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები იმას მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა (25%) და არ იციან, როგორ ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობაში (26%).

ჩართულობის კონტექსტში ისიც აღსანიშნავია, რომ მართალია, იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები ყველაზე ნაკლებადაა ღირებული გამოკითხული ახალგაზრდებისთვის (3.6 ქულა მაქსიმალური 7-დან) და ასევე გამოკითხულთა ნახევარი არ არის დაინტერესებული პოლიტიკის სარეთოდ (50%). მაგრამ ამასთანავე, 43% დაინტერესებას გამოხატავს ზოგადად საქართველოს პოლიტიკით, მეოთხედი საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობითაა დაინტერესებული (26%) და ცოტათი მეტი, მესამედი გამოკითხულებისა დაინტერესებულია ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით (29%).

რაც შეეხება ღირებულებებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ესენია სანდო მეუღლის/პარტნიორის (6.9 ქულა) და კარგი მეგობრების (6.9 ქულა) ყოლა.

ჩართულობასთან დაკავშირებით რაოდენობრივი კვლევის შედეგები ეხმიანება თვისებრივი კვლევის შედეგებს, სადაც სხვადასხვა პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა არცთუ პოზიტიურად შეფასდა ახალგაზრდების მიერ. მთავარი არგუმენტის თანახმად, ძირითადად შეინიშნება ახალგაზრდების მონაწილეობა დაგეგმილ სპორტულ თუ გასართობ აქტივობებში, მაგრამ სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით აქტივობა ნაკლებია. ამის ერთ-ერთ მიზეზად *გაუცნობიერებლობა* სახელდება, რაც ჩართულობის მნიშვნელოვნების ნაკლებ გააზრებას გულისხმობს. ასევე, *ინფორმაციის სიმწირეს*, რომელიც არა მხოლოდ ჩართულობის ფორმების არცოდნას უკავშირდება, არამედ, მათ შორის, ინფორმაციის სიმწირეს სხვადასხვა დაგეგმილი აქტივობის თაობაზე. დაბალი ჩართულობის კიდევ ერთ მიზეზად *წიჰილიზმი* სახელდება. მთავარი არგუმენტის თანახმად, ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მხარდაჭერის იმედი. შესაბამისად, აქტიურობაც ნაკლებია.

ის, რომ ჩართულობის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია, ხაზგასმული იყო ძირითად ინფორმანტებთან. პროცესებში, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად, კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ არსებითია, მოხდეს ახალგაზრდების ინფორმირება როგორც ამ ჩართულობის მნიშვნელობაზე, ასევე იმაზე, თუ რა მექანიზმები არსებობს მონაწილეობის და როგორ შეიძლება მათი გამოყენება. ხაზგასმული იყო ამ პროცესში ახალგაზრდული მუშაკების განსაკუთრებული როლი და მათ მიმართ პოზიტიური მოლოდინების არსებობაც დადასტურდა.

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდებისა და ძირითადი ინფორმანტების ხედვები ჩართულობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირების გაზრდის თაობაზე მსგავსია, ასევე სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებითაც, რომ ჩართულობა და სამოქალაქო აქტივიზმი მნიშვნელოვანია. სკოლის ასაკის ახალგაზრდების მთავარი არგუმენტებით, ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს აფართოებს მათ თვალსაწიერს, ხელს უწყობს მეტი ცოდნისა და ინფორმაციის დაგროვებას სხვადასხვა საკითხზე, უვითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს (კომუნიკაცია, პრეზენტაცია). ეს ყველაფერი კი, ახალგაზრდების შეფასებით, მნიშვნელოვანია მათივე განვითარებისათვის და სამომავლო პერსპექტივისთვის. უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა კი აღნიშნეს, რომ გარდა სოციალიზაციისა და სოციალური კაპიტალის დაგროვებისა, ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან ამ გზით ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა ხმა მიაწვდინონ გადაწყვეტილების მიმღებთ. ეს კი, თავის მხრივ, არის ახალგაზრდების ინტერესების შესახებ შესაბამისი სუბიექტების ინფორმირების ერთგვარი მექანიზმია.

ამისთვის არსებითად ჩაითვალა აქტიურობა თავად მუნიციპალიტეტის მხრიდან. ერთ-ერთი მოსაზრებით, მხოლოდ იმის იმედად ყოფნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ღიაა განხილვებისთვის და ახალგაზრდების ჩართულობისთვის, არ გაზრდის ამ უკანასკნელს. არგუმენტის თანახმად, ახალგაზრდები თავად ნაკლებად გამოიჩენენ ინიციატივას და დაესწრებიან საკრებულოს სხდომებს ან მიიღებენ სხვა აქტივობებში მონაწილეობას. ამ მიმართულებით აუცილებელია თავად მუნიციპალიტეტმა იაქტიუროს, დაანახოს ჩართულობის მნიშვნელობა და ასევე აჩვენოს, რა შესაძლო დადებითი ეფექტი შეიძლება მოყვეს აქტიურობას. გარდა ადგილობრივი თვითმმართველობისა, განსაკუთრებულ აქტორად პროცესში სკოლა დასახელდა, რომელმაც უნდა იმუშაოს ჩართულობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

1.3. უფლებები

უფლებების დარღვევასა თუ სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე ახალგაზრდებმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ნაკლებად ისაუბრეს თვისებრივი კვლევის ფარგლებში. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებით, მათი უფლებები დაცულია (59%). თუმცა, აქ საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 44%-მა ვერ დაასახელა ვერცერთი უფლება, რომლის შესახებაც სმენია. ყველაზე მეტს კი სმენია ისეთი უფლებების შესახებ, როგორებიცაა გამოხატვის თავისუფლება (21%), სიცოცხლის უფლება (20%) და თანასწორობის უფლება (19%). თვისებრივი კვლევის ფარგლებში აღინიშნა, რომ გამოხატვის თვალსაზრისით უფლებები სრულადაა დაცული და საკუთარი აზრის დაფიქსირება ყველას შეუძლია (*„გინდა აქციას მოაწყობ და თავისუფლად გამოხატავ შენს აზრს“*). აქვე ითქვა ისიც, რომ გარკვეულწილად შეიძლება საუბარი ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და შრომითი უფლებების მეტ-ნაკლებად დარღვევაზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაზეც გამახვილდა ყურადღება განათლების უფლების კონტექსტში, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოწვევა ზოგადად, უფლებების შესახებ არაინფორმირებულობა და გაუცნობიერებლობაა. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს რაოდენობრივი კვლევის შედეგი და ათიდან ოთხი რესპონდენტის მიერ ვერცერთი უფლების დასახელება.

რაც შეეხება დისკრიმინაციას, მასზეც ნაკლებად ისაუბრეს დისკუსიების მონაწილეებმა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი ათიდან ცხრა ახალგაზრდა აცხადებს, რომ არცერთი ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილება არ ჰქონია.

1.4. გამოწვევები

ახალგაზრდების პრობლემებზე საუბრისას, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რამდენიმე განსაკუთრებით სერიოზულ გამოწვევაზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, *გართობისათვის სივრცეების* არარსებობა დასახელდა პრობლემათა რიცხვში, რომლის მოგვარების ერთ-ერთ გზად მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო შენობების გამოყენება ესახებათ ახალგაზრდებს. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი მოსაზრებით, ამგვარი შენობების მოწყობა და მათი გასართობ სივრცეებად ორგანიზება არა უბრალოდ გასართობ სივრცეებზე ხელმისაწვდომობას გაზრდიდა, არამედ იქ სამუშაო ადგილების შექმნით დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსაც „გარკვეულწილად“ უპასუხებდა.

გარდა გასართობი სივრცეების არარსებობისა, გამოწვევათა შორის დასახელდა *საზოგადოებრივი სივრცეების სიმწირე* და არსებული სივრცეების გაუმართაობა, რომელთა გამოყენებასაც ახალგაზრდები შეკრებებისათვის შეძლებდნენ. ახალ წიგნებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა ასევე დასახელდა პრობლემებს შორის, რამდენადაც მუნიციპალიტეტში არ არსებობს წიგნის მაღაზია. ამასთან ისიც ითქვა, რომ ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი კარგია, თუმცა იქ პრობლემაა გაუმართავი ინფრასტრუქტურა.

ტრანსპორტზე დაბალი ხელმისაწვდომობა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის განსაკუთრებულ გამოწვევად იდენტიფიცირდა. ცალკე პრობლემად დასახელდა ასევე შშმ პირებისთვის *არაადაპტირებული გარემო*, რომელიც მათ გადაადგილებასა და თუნდაც არსებული სერვისების (მაგ: ბიბლიოთეკა) გამოყენებას ხდის შეუძლებელს.

გამოწვევებს შორის ახალგაზრდებმა ასევე დაასახელეს *სპორტულ ინფრასტრუქტურაზე* დაბალი ხელმისაწვდომობა. გარდა იმისა, რომ სპორტული დარბაზების სიმწირეა მუნიციპალიტეტში, პრობლემაა ისიც, რომ არსებული ინფრასტრუქტურაც ან არ არის გამართული, ან არ არის ხელმისაწვდომი მთელი წლის მანძილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მწვავე პრობლემად, მათ შორის, სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა დისკუსიებზე, დასაქმება დაასახელეს.

თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებსაც ვნახავთ, აქაც ყველაზე მწვავე პრობლემას დასაქმება წარმოადგენს. სწორედ მას მიიჩნევს გამოკითხულთა ნახევარი პრობლემად, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (47%). სპორტულ წრეებსა (31%) და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე (23%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც ახალგაზრდების დიდი ნაწილის აზრითაა მნიშვნელოვანი. ამასთან, გართობისა და დასვენების ადგილებზე (24%) და შეკრებებისთვის სივრცეების (18%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელდება მნიშვნელოვნად.

გრაფიკი 54. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის



დასაქმება

როგორც უკვე აღინიშნა, პირველ რიგში, უმწვავეს პრობლემად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც *დასაქმება* დასახელდა. მათ შორის, სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვისაც, რომლებიც დისკუსიის მონაწილეები იყვნენ, ეს პრობლემაა უმწვავესი. მათთან მთავარი არგუმენტის თანახმად, ახალგაზრდებს აქვთ სურვილი ზაფხულში დასაქმების, თუმცა სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, ეს ვერ ხერხდება. დასაქმების კონტექსტშივე აღინიშნა, რომ არა უბრალოდ სამუშაო ადგილების სიმწირეა გამოწვევა, არამედ ისიც, რომ *შრომით უფლებები* არ არის ხშირად დაცული, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, დაბალ ანაზღაურებას, ასევე გაზრდილ სამუშაო საათებს უკავშირდება.

რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დასაქმების მაჩვენებელს, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 11% ფრილანსერი, 7% სრულ განაკვეთზე დასაქმებული, 3% კი - ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულია. 5% კი არის თვითდასაქმებული, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული.

გრაფიკი 55. დასაქმების სტატუსი



გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ მათ მუნიციპალიტეტში დასაქმება რთულია (50%), თითქმის მესამედის შეფასებით კი, ეს ძალიან რთულია (27%). ამ პრობლემის მოსაგვარებლად სამუშაო ადგილების არსებობას მიიჩნევს უმთავრესად გამოკითხულთა უმრავლესობა (62%), ნახევარი ასევე ფიქრობს, რომ პრეფესიული უნარ-ჩვევების ფლობაა დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი (51%). ამასთან, მესამედი მიიჩნევს, რომ ინგლისური ენის ცოდნა (32%) და ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობაა (31%) აუცილებელი დასაქმებისთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა დაეხმარებოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს დასაქმებაში, აქ უმრავლესობა პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერას ასახელებს (69%). ამასთან, ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა სახელდება ათიდან დაახლოებით ექვსი გამოკითხულის მიერ (57%) და ათიდან დაახლოებით ხუთის მიერ სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა (47%).

გრაფიკი 56. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



ასევე საგულისხმოა, რომ დასაქმებისთვის ქართული ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა სახელდება მნიშვნელოვნად გამოკითხულთა 16%-ის მიერ. რაც მოულოდნელი არ არის მუნიციპალიტეტის თავისებურების გათვალისწინებით. ის, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს წინაღობას ენობრივი ბარიერი წარმოადგენს აღინიშნა თვისებრივი კვლევის ფარგლებში.

ის, რომ დასაქმება ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის და აუცილებელია მათთვის სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებაში ხელშეწყობა ხაზგასმული იყო თვისებრივი კვლევის მონაწილე ძირითადი ინფორმანტების მიერაც. სწორედ ამ მიმართულებით ფინანსური რესურსის დახარჯვას მიიჩნევს რაციონალურად კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორიდან და არა იმ ერთჯერად აქტივობებზე, რაზეცაა ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდობის მიმართულება. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული მესამე სექტორის წარმომადგენლის შეფასებით ეხება არა მხოლოდ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებსაც.

დასაქმების კონტექსტში ასევე აღინიშნა, რომ არსებობს გარკვეული სამეწარმეო პროგრამები, რომლებიც, მხოლოდ ახალგაზრდებს არ ეხება, თუმცა, მათში ახალგაზრდების ჩართულობა მნიშვნელოვანი იქნებოდა უმუშევრობასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და მიგრაციის პრობლემის დასაძლევად. ერთ-ერთი მოსაზრებით, მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია მსგავსი პროგრამებისა და გრანტების მოძიების შესაძლებლობების თაობაზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა და ინფორმირების გაზრდა, მათ შორის, ახალგაზრდების, მნიშვნელოვნად ფასდება.

მიგრაცია

აღსანიშნავია, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევებით აიხსნება მიგრაცია მუნიციპალიტეტიდან თვისებრივი კვლევის მონაწილეთა მიერ. რაც შეეხება თავად მიგრაციის განზრახვას, უნდა ითქვას, რომ შიდა მიგრაციაზე არ ფიქრობს ათიდან ექვსი გამოკითხული (60%). ამასთან, ამ ეტაპზე არ ფიქრობს აღნიშნულზე 11%, დანარჩენები კი ამგვარი განზრახვის არსებობას უახლოესი 2-3 წლის მანძილზე არ აფიქსირებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ, სამუდამოდ საკუთარი საცხოვრებლის დატოვების განზრახვას 14%, დროებით კი - 26% აფიქსირებს.

გრაფიკი 57. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით

რაც შეეხება გარე მიგრაციას, აღმოჩნდა, რომ უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ეს განზარხვა არ აქვს 79%-ს, ამასთან, 9% ამ ეტაპზე არ ფიქრობს აღნიშნულზე, 70% კი - არ ფიქრობს ქვეყნის დატოვებაზე. მიზეზები კი, როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში, უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობას უკავშირდება.

რაც შეეხება პრობლემების მოგვარებაზე მთავარ პასუხისმგებლ აქტორებს, აქ თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებს შორის სრული თანხმობაა. ყველა ასაკობრივ ჯგუფში პრობლემების მოგვარებაზე მთავარ პასუხისმგებელ სუბიექტად ადგილობრივი თვითმმართელობის წარმომადგენლები არიან მიჩნეულნი. იმაზე კი, კეთდება თუ არა ამ ეტაპზე რამე იმისთვის, რომ არსებული პრობლემები მოგვარდეს, შეფასებები არცთუ პოზიტიურია. რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, აქ ათიდან თითქმის შვიდი გამოკითხული მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს (68%). მესამედის შეფასებით კი, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად (27%).

გრაფიკი 58. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება

მიუხედავად გამოწვევებისა, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად პოზიტიურად ფასდება. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (76%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მდგომარეობის ოპტიმისტურ შეფასებას, ის ნაკლებია, თუმცა, ყოველი მეორე გამოკითხული მაინც პოზიტიურ ხედვას აფიქსირებს ორივე შემთხვევაში.

გრაფიკი 59. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ისიც აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.1 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.2 ქულა) მდგომაროება. რაც შეეხება ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებას, მისი შეფასებაც უფრო დადებითია და მაქსიმალური 7-დან 5 ქულით ფასდება.

ამგვარად, თუ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებულ გამოწვევებზე ვკონცენტრირდებით, დისკუსიებისა და ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეებზე დაბალი ხელმისაწვდმობა, ასევე სპორტულ ინფრასტქრუტურაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები, ისევე როგორც გამართულ ბიბლიოთეკებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა მნიშვნელოვანი პრობლემებია. ამასთან, გამოწვევაა ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა სოფლის ტიპის დასახლებებში, რაც, მათ შორის, ახალგაზრდებსაც უქმნის პრობლემებს. თუმცა, უმწვავეს პრობლემად დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები იკვეთება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ინფორმირება იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსებაზეა ორიენტირებული და, რაც მთავარია, ახალგაზრდების პროფესიული კომპეტენციების განვითარება, რამაც მათ დასაქმებაში უნდა შეუწყოს ხელი. ამ უკანასკნელზე გამოკითხულთა მეხუთედიც მიუთითებს (21%). ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც, რის მნიშვნელობაზეც რესპონდენტთა 18% მიუთითებს.

1.5. სასურველი აქტივობები

სასურველ აქტივობებზე საუბრისას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რამდენიმე საკითხზე გამახვილდა ყურადღება. იმის გათვალისწინებით, რომ *გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების* სიმწირე, სოფლებში კი, თითქმის არარსებობა გამოწვევებს შორის დასახელდა, ბუნებრივია, ერთ-ერთ სასურველ აქტივობად სწორედ ამგვარი სივრცეების მოწყობა იდენტიფიცირდა ახალგაზრდების მიერ. აღსანიშნავია, რომ ისეთი გასართობი სივრცის მოწყობა, როგორიცაა სკეიტ პარკი, სასურველად დასახელდა როგორც სკოლის, ასევე უფროსი ასაკის ახალგაზრდებთანაც. აღასანიშნავია, რომ შეკრებებისთვის სივრცეების ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე მიუთითებს რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა მესამედიც (33%).

გარდა ამისა, *სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა* დასახელდა სასურველ აქტივობებს შორის და ამასთანავე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მნიშვნელობას გაესვა ხაზი. აღინიშნა, რომ სხვადასხვა სარისკო ქცევის (ალკოჰოლის, სიგარეტის მოხმარება და სხვა) გავრცელება პრობლემურია არა მხოლოდ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. შესაბამისად, სპორტითა და ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესება ამგვარი ქცევების პრევენციისთვის და არსებულის მინიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია.

გრაფიკი 60. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



ის, რომ სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არსებითია გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის მიხედვითაც. მის მნიშვნელობაზე გამოკითხულთა 71% მიუთითებს. რაც შეეხება სარისკო ქცევას, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება (4.3 ქულა) და სიგარეტის მოხმარებაა (4.2 ქულა) ის ქცევები, რომელთა განსაკუთრებით გავრცელებაზე მიუთითეს გამოკითხულებმა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი სასურველად ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობად ასახელებს სასურველად, რაც ყველაზე მწვავე პრობლემის, უმუშევრობის დასაძლევადაა მნიშვნელოვანი. კერძოდ, გამოკითხულთა ნახევარი მნიშვნელოვნად მიიჩნევს უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე ხელმისაწვდომობის არსებობას (48%), ასევე, სხვადასხვა ტიპის ტრენინგ კურსებზე (9%), მეწარმეობის ხელშემწყობ სერვისებსა (7%) და კარიერული დაგეგმვის სერვისებზე (7%) ხელმისაწვდომობის არსებობას.

რამდენადაც დასაქმება განსაკუთრებულ გამოწვევად დასახელდა უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ თვისებრივი კვლევის ფარგლებში ხაზგასმული იყო *პროფესიული განათლების*

ხელშეწყობის მნიშვნელობა. მათი შეფასებით, რამდენადაც ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი არც უმაღლესი განათლება და არც რეგიონიდან გასვლის შესაძლებლობა აქვს ახალგაზრდების დიდ ნაწილს, პროფესიული გადამზადების შესაძლებლობის არსებობა ადგილზე უნდა არსებობდეს. ამ თვალსაზრისით გამოწვევად ის გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პროფესიული კოლეჯის არსებობის შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდები. შესაბამისად, კოლეჯის შესახებ ინფორმირების გაზრდა აუცილებელია.

გართობისა და შეკრებების კონტექსტშივე საგულისხმოა თვისებრივი კვლევის ფარგლებში იმის აღნიშნვაც, რომ კარგი იქნება სხვადასვა ტიპის საღამოების მოწყობა, რომლებიც შემეცნებით და გასართობ აქტივობებს გააერთიანებს (მაგ: წიგნის კითხვის საღამო), ამასთან, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მიერ ერთმანეთის გაცნობასა და სოციალური კაპიტალის დაგროვებას. საგულისხმოა ასევე, რომ ერთ-ერთ ჯგუფში სასურველად დასახელდა *ფსიქოლოგის სერვისზე* ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც გამახვილდა ყურადღება დისკუსიებსა და ძირითად ინფორმანტებთან, მუნიციპალიტეტში მცხოვრები *ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის* საკითხია. მართალია, აღნიშნული, ისევე როგორც ენობრივი ბარიერი, რომელიც არსებობს ამ ჯგუფში პრობლემებს შორის არ დასახელებულა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე კვლევის მონაწილეთა შეფასებებს, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით გარკვეული გამოწვევები არსებობს. კერძოდ, კვლევის მონაწილეებთან აღინიშნა, რომ აქტივობები ძირითადად ეთნიკურად ქართველებისთვის ტარდება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კი „საერთოდ მოწყვეტილი“ არიან ამ აქტივობებს. აღნიშნულის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ენობრივი ბარიერი სახელდება. შესაბამისად, ქართული ენის შემსწავლელი კურსების ხელმისაწვდომობა და ახალგაზრდული პროგრამა, რომელიც უშუალოდ ამ თემის წარმომადგენლების ინტეგრაციას შეუწყობს ხელს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ რაოდენობრივმა კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორებიცაა სახელვნებო/კულტურის წრეებსა (33%) და საბანაკე პროგრამებზე (25%) ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება ბიბლიოთეკაზე/სამკითხველო კლუბზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ამას გამოკითხულთა 16% მიიჩნევს მნიშვნელოვნად, ისევე როგორც ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე ხელმისაწვოდომის უზრუნველყოფას (16%).[9]

[9] დეტალური თვისებრივი ანგარიში, ასევე სრული გრაფიკული ანგარიში შესაბამისი მიგნებებითა და რეკომენდაციებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით

VI

საჩხერის მუნიციპალიტეტი



ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი დაბალია. ათიდან ექვსმა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (61%);
- ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ ნაწილს **სპორტულ წრეებზე** (38%) და **ბიბლიოთეკებზე** (36%) აქვს წვდომა დასახლებაში. ამასთან, **არცერთ სერვისზე** არ აქვს წვდომა ახალგაზდების 40%-ს;
- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის, 54%-ის მიერ;
- **სტაჟირების პროგრამებსა** (67%) და **პროფესიული უნარ-ჩვევების** (66%) დახვეწაში მხარდაჭერა დაეხმარებოდა დასაქმებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს საჩხერის მუნიციპალიტეტში. ასევე, მხარდაჭერა **ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში** (48%);
- სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი. ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობაც** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ყოველი მეორე ახალგაზრდის მიერ (51%);
- მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 17%-ის შეფასებით ახალგაზრდების უმრავლესობა, 28%-ის შეფასებით კი - დიდი ნაწილია სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავებული. თავად გამოკითხულთა 59%-იც სხვადასხვა სიხშირით, მაგრამ დაკავებულია ფიზიკური აქტივობით;
- ამასთან, მეტი ახალგაზრდის სპორტით დაინტერესებისთვის, **ფინანსური ხელმისაწვდომობა** (58%) და **ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია** (50%) ფასდება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად;
- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (41%), ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები (33%), სივრცეები შეკრებებისთვის (29%) და ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი (28%);
- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (90%);
- გამოკითხულთა 25% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 19% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში**;

- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს 55%-ს. აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ახალგაზრდები ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ჰქონდათ სურვილი;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე გამოკითხულთა 87% აფიქსირებს. აღნიშნულის მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (39%);

- ათიდან სამზე მეტ ახალგაზრდას საჩხერეში (34%) უჭირს დაასახელოს ერთი უფლება მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 76% მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცულია;

- მუნიციპალიტეტში სხვადასხვა **სარისკო ქცევაა** გავრცელებული ახალგაზრდებში, ყველაზე გავრცელებულ სარისკო ქცევებად კი სიგარეტის მოწევა და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება გამოიკვეთა;

- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა დაბალია. შიდა მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე არ ფიქრობს გამოკითხულთა 65%. რაც შეეხება გარე მიგრაციას, ეს განზრახვა არ აქვს რესპონდენტთა 86%-ს. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, უკეთესი განათლების მოტივაციაა უმთავრესი შიდა მიგრაციის განრახვის შემთხვევაში და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობები, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობები გარე მიგრაციისას;

- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია (5.5 ქულა მაქსიმალური 7-დან);

- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია ყველა მუნიციპალიტეტში. ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (79%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (56%) თუ ქვეყნის (55%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და საჩხერის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ საჩხერის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსურ ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[10] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[10] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 6. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	3	150
კვლევის არეალი	საჩხერის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

საჩხერის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ინტერესდება საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებით, რამდენადაც მხოლოდ 15%-ს შეადგენს მათი რიცხვი, ვინც მსგავს ინფორმაციას საერთოდ არ იღებს. ამასთან, ინფორმაციის მიღების მთავარი ორი წყაროა მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის. ესენია, მუნიციპალიტეტის სოციალური გვერდია ფეისბუქში (40%) და მეგობრები/ახლობლები (39%). სოციალურ ქსელში სხვადასხვა გვერდთან ერთად (14%), მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირების წყაროს ახალგაზრდების 13%-ისთვის ასევე მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, 10%-ისთვის კი ადგილობრივი ტელევიზია წარმოადგენს.

გრაფიკი 61. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (46%) თუ სახლს გარეთ (5%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (1%). თუმცა, ისიც ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა ნახევარს (48%). რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (85%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (93%) იყენებს.

კვლევის მონაწილეთა 39%-ის შეფასებებით, მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებულია/სრულადაა გათვალისწინებული, მაშინ როდესაც საპირისპიროზე გამოკითხულთა 22% მიუთითებს. ახალგაზრდების 27%-ის შეფასება კი ნეიტრალურია.

გრაფიკი 62. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ

N=150

თუ საჩხერის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით თვისებრივი კვლევით გამოვლენილ შედეგებს ვნახავთ, შეიძლება ისინი შეფასდეს როგორც ერთფეროვანი და ძირითადად სპორტული ღონისძიებების ტიპის. მართალია, თვისებრივი კვლევის ფარგლებში აღინიშნა ისიც, რომ მუნიციპალიტეტში კულტურული, საგანმანათლებლო თუ გარემოსდაცვითი აქტივობებიც ტარდება, თუმცა ხაზგასმული იყო, რომ ღონისძიებები მაინც ძირითადად სპორტულ ხასიათს ატარებს.

მართალია, მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში უფროსი ასაკის ახალგაზრდებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, თუმცა მაინც იკვეთება, რომ მათი მთავარი ბენეფიციარები *სკოლის ასაკის* ახალგაზრდები არიან. ეს დასტურდება როგორც ახალგაზრდებთან გამართული დისკუსიებით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე. მთავარი არგუმენტის თანახმად, მიგრაციის გამო, უფროსი თაობის ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში ნაკლებად რჩებიან. შესაბამისად, აქტივობები უმცროსებისთვის იგეგმება და ამასთან, ბუნებრივია, რომ ჩართულობაც სკოლის ასაკის ახალგაზრდების მხრიდან შეინიშნება.

კვლევის შედეგებით ირკვევა ისიც, რომ აქტივობები ძირითადად *მუნიციპალურ ცენტრში* ტარდება, მიუხედავად სოფლებში ჩატარებული აქტივობების ცალკეული მაგალითებისა. ის, რომ ღონისძიებები ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის, ასევე მუნიციპალურ ცენტრში იმართება გამოწვევად ფასდება, პირველ რიგში, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

ამასთან, დისკუსიებზე ინფორმირების თვალსაზრისითაც პრობლემების არსებობაზე მიუთითეს უფროსი ასაკის ახალგაზდებმა, განსხვავებით უმცროსებისგან. სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ, როგორც წესი, აქტივობების შესახებ ინფორმირების თვალსაზრისით მათ გამოწვევები ნაკლებად აქვთ, რამდენადაც სკოლა, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ატყობინებს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. თუმცა, იმასაც ხაზი გაესვა, რომ აქ თავად სკოლის ადმინისტრაციის აქტიურობა და ორგანიზებულობაც მნიშვნელოვანია. სკოლის მოსწავლეებისგან განსხვავებით, უფროსი ახალგაზრდების ინფორმირება აქტივობების შესახებ არცთუ გამართულია, მიუხედავად სოციალური ქსელებისა და სხვადასხვა პლატფორმისა, რომელთაც ახალგაზრდები იყენებენ ინფორმაციის მისაღებად.

იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობები უმეტესად სკოლის ასაკის ახალგაზრდებზეა ორიენტირებული, ამასთან არის სპორტული ხასიათის და ნაკლებად ფარავს სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებთ, ბუნებრივია ისიც, რომ *ახალგაზრდების ინტერესებს* აქტივობები მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს.

თუ სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის, მითუფრო მათთვის, ვისი ინტერესიც სპორტს უკავშირდება აქტივობები მათი ინტერესის შესაბამისია, სხვების შემთხვევაში შეფასებები განსხვავებულია და უმეტესად, ნეგატიური.

გარდა იმისა, რომ დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდები ნაკლებად მონაწილეობენ, არც *ინიციატივებით* მიმართვიანობაა მათი მხრიდან მაღალი. როგორც თვისებრივი კვლევის შედეგები მოწმობს, აქტივობათა ინიციატორებად უმეტესად ადგილობრივი თვითმმართველობა, ასევე სკოლის ადმინისტრაცია გვევლინება. მართალია, სკოლის ასაკის ახალგაზრდებში აღინიშნა საინტერესო პრაქტიკებიც, რომლებიც ზოგიერთ სკოლაში არსებობს და უშუალოდ სკოლის თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვას გულისხმობს, თუმცა ეს მაინც გამონაკლისია და არა მუნიციპალიტეტში გავრცელებული პრაქტიკა.

რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, აქ აგამოკითხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობა თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორები თავად ახალგაზრდები (36% ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტია (32%). ამასთან, აღნიშნულის შეფასება უჭირს გამოკითხულთა მეოთხედს (25%). რაც შეეხება არასამთავრობო სექტორზე, როგორც აქტივობათა ინიციატორზე, მასზე მხოლოდ 6% მიუთითებს, რაც ეხმიანება თვისებრივი კვლევის შედეგსაც. კერძოდ, კვლევამ უჩვენა, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული და არასამთავრობო ორგანიზაციები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი, შესაბამისად, სამოქალაქო სექტორის აქტივობაც მუნიციპალიტეტში დაბალია.

გრაფიკი 63. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



ათიდან შვიდ გამოკითხულს არ სმენია იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს (68%). ამ ინფორმაციას ფლობს რესპონდენტთა მეხუთედი (20%), თუმცა არც მონაწილეობა მიუღია პროგრამაში და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია. ის პროგრამები და სერვისები კი, რომელთა შესახებაც ყველაზე მეტ ახალგაზრდას სმენია, ბანაკებს/საზაფხულო სკოლებს, ასევე მოხალისეობრივ პროგრამებს უკავშირდება.

გრაფიკი 64. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



თუ კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, მნიშვნელოვანია მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება. აღნიშნულისთვის, მართალია, მუნიციპალიტეტის მერიის გვერდი სოციალურ ქსელში შესაძლებელია იყოს ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი წყარო, თუმცა, მის გარდა მნიშვნელოვანია სხვა პლატფორმების გამოყენება, მათ შორის, ადგილობრივი ტელევიზიის ჩათვლით.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

თვისებრივი კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ ჩართულობა ზოგადად ქვეყანაში, ასევე რეგიონში და, მათ შორის, მუნიციპალიტეტშიც დაბალია, რაც დასტურდება რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც.

საჩხერის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 35% თვლის, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდები ახდენენ გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ დონეზე, ამასთან 31%-ის შეფასება ნეიტრალური, მეოთხედისა კი - უარყოფითია. როგორც შედეგები მოწმობს, გამოკითხულთა 17% მიიჩნევს, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდები ვერ ახდენენ გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე, 7% კი თვლის, რომ ისინი საერთოდ ვერ ახდენენ პროცესზე გავლენას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ კვლევის მონაწილეთაგან, ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მხოლოდ ათიდან ერთმა ახალგაზრდამ მიიღო (10%) და ეს უმეტესად გულისხმობდა უბრალოდ შეხვედრებზე დასწრებასა და საკითხების განხილვაში მონაწილეობას.

გრაფიკი 65. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (93%) მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად აფასებს ისეთ სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობას, როგორიც მოხალისეობაა. ამის პარალელურად, ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს 55%-ს. ყველაზე მეტი გამოკითხულის, 33%-ის მოხალისეობრივი აქტივობა კი საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას, 26%-ისა კი - გამწვანების აქციაში მონაწილეობას უკავშირდება.

გრაფიკი 66. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



მათი უმრავლესობა, ვისაც მოხალისეობრივ აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა, ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ვერ მოიცალა (42%) და რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობის თაობაზე (39%). სურვილის არქონას მიზეზად გამოკითხულთა 12% ასახელებს.

კიდევ უფრო დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად ფასდება გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ (82%). სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის

გამოცდილება ათიდან თითქმის ცხრა გამოკითხულს არ აქვს (87%). აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (46%). ამასთან, 28% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, 20% კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის.

გრაფიკი 67. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



რესპონდენტთა მეოთხედის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (25%) და ასევე მეოთხედის შეფასებით, მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობაში (26%). გამოკითხულთა მეხუთედის შეფასებით, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო აქტივობებში არ მონაწილეობენ (19%), 16%-ს კი უჭირს აღნიშნულის შეფასება.

გრაფიკი 68. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ იმ რესპონდენტთა ხედვები, ვინც აცხადებს, რომ გარკვეული ჯგუფია აქტიური მუნიციპალიტეტში, ოპტიმისტურია. გარდა იმისა, რომ დისკუსანტებმა დაბალ ჩართულობაზე გაამახვილეს ყურადღება, ისიც გამოწვევაა, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ახალგაზრდული თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საკითხების ადვოკატირებაზე იმუშავებდა. გარდა იმისა, რომ ამგვარი ორგანიზაციების არარსებობაც ახდენს გავლენას ჩართულობის დაბალ მაჩვენებელზე, გამოწვევაა ასევე *დაბალი ცნობიერება* და *არაინფორმირებულობაც*. ხაზგასმული იყო, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ გაცნობიერებული ჩართულობისა და სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა, რაც, თავის მხრივ, სკოლის ასაკის ახალგზრდების მიერ სამოქალაქო განათლებისადმი არასაკმარისი ყურადღებით აიხსნა. ამასთან, ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებულები არც იმის თაობაზე, რომ აქვთ უფლება ჩაერთონ პროცესებში და არც იმ მექანიზმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ სამოქალაქო აქტივიზმის თვალსაზრისით. ის, რომ სამოქალაქო აქტივიზმის მნივნელობა ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული (44%) და არ იციან, როგორ ჩაერთონ პროცესებში (24%) დაბალი ჩართულობის მიზეზებად გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის მიხედვითაც.

ჩართულობისა და სამოქალაქო აქტიზმის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. აღმოჩნდა, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები არის ის ღირებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელობს ახალგაზრდებისთვის. მისი შეფასება მაქსიმალური 7-დან მხოლოდ მხოლოდ 3.0 ქულაა. ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს ათიდან ოთხ გამოკითხულს (39%). ყველაზე მეტ ახალგაზრდას აინტრესებს ზოგადად პოლიტიკა საქართველოში (44%), ამასთან, მათი ინტერესის საგანია საქართველოს ნატოსთან (25%) და ევროკავშირთან (20%) ურთიერთობა.

მართალია, ჩართულობა პროცესებში დაბალია, მაგრამ ის, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანია დასტურდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის შედეგებითაც. უშუალოდ სამოქალაქო აქტივიზმის გასაზრდელად მნიშვნელოვან მექანიზმებად კი, სკოლებში სამოქალაქო განათლების კურსის ინტენსიური სწავლება და, ზოგადად, ჩართულობის მნიშვნელობისა და კონკრეტული მექანიზმების თაობაზე ცნობიერების ამაღლებაა მიჩნეული.

1.3. უფლებები

კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში არც ძირითად ინფორმანტებს და არც ახალგაზრდებს უფლებების დარღვევაზე ან შეზღუდვაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. მეტიც, ახალგაზრდებთან ძირითადი დისკურსის თანახმად, მათ შეზღუდვას, მითუმეტეს დარღვევას ადგილი ნაკლებად აქვს („საჩხერეში ასეთი პრობლემები არ გვაქვს“).

უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და აქვე ხაზი გაესვა იმას, რომ ამას უფრო სკოლის ასაკში აქვს ადგილი, უფროსიი თაობის ახალგაზრდებს კი ეს უფლებაც ნაკლებად ეზღუდებათ. თავად სკოლაში ამ უფლების შეზღუდვა კი სისტემის მიერ სიახლეებისადმი დაბალ მიმღებლობას დაუკავშირდა.

ასევე, უფლებებზე საუბრისას აღინიშნა ბულინგის ცალკეული ფაქტების შესახებ (*როდესაც სკოლაში ერთ ბავშვს მოსწონს მუსიკალური ჯგუფი და სხვა აბულინგებს იმის გამო, რატომ მოგწონს*“), თუმცა მასზე ან რაიმე ნიშნით დისკრიმინაციაზეც კვლევის მონაწილეებთან ნაკლებად გამახვილდა ყურადღება.

მართალია, თავად კვლევის მონაწილეებს უფლებების შესახებ ნაკლებ გაცნობიერებაზე არ უსაუბრიათ, თუმცა, ნარატივები და მათი მსჯელობა უფლებების შესახებ, ასევე ერთ-ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია უფლებების შესახებ ტრენინგების ჩატარება, რათა ახალგაზრდებმა იცოდნენ როგორც უფლებების, ასევე მოვალეობების შესახებ, იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კერძოდ, შეგვიძლია საუბარი იმაზე, რომ უფლებების შესახებ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი და ამის გამო უჭირთ ისეთ უფლებებზე საუბარი, რომელთა დაცვის თვალსაზრისით გარკვეული გამოწვევები შეიძლება არსებობდეს. მითუფრო, თუ გავიხსენებთ პრობლემებს, რომლებზეც ახალგაზრდებმა მიუთითეს და რომელთა არსებობაც უკვე მიანიშნეს, სულ მცირე, თავისუფალი გადაადგილების, ხარისხიანი განათლების მიღებისა თუ სრულფასოვანი განვითარების უფლების დარღვევაზე. ამასთან, ვარაუდს იმის თაობაზე, რომ გამოწვევა უფლებების შესახებ დაბალ ცნობიერებას უკავშირდება ამყარებს რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც. მის თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდების 34% ვერ ასახელებს ვერცერთ უფლებას, რომლის შესახებაც სმენია და, ამის მიუხედავად, უმრავლესობა თვლის, რომ მისი უფლებები დაცული (76%) ან ანწილობრივ (21%) დაცულია.

1.4. გამოწვევები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საჩხერის მუნიციპალიტეტში რამდენიმე მწვავე პრობლემა გამოიკვეთა ახალგაზრდებისთვის. კერძოდ, სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა სერიოზულ გამოწვევად *ხარისხიან განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა* დაასახელეს. მთავარი არგუმენტების თანახმად, ახალგაზრდებს არ აქვთ სხვადასხვა მატერიალურ რესურსზე წვდომა (მაგ: ახალი წიგნები), შეზღუდული აქვთ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, ამასთან, სკოლებში არ არსებობს ლაბორატორიები. ეს ყველაფერი კი, სწორედ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვაზე მიუთითებს. ამ პრობლემათაგან, განსაკუთრებით მწვავედ დასახელდა ინტერნეტზე შეზღუდული წვდომა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. როგორც აღინიშნა, ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდა ონლაინ სწავლების პირობებში. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელია არ იყოს სწრაფად მოგვარებადი პრობლემა, მნიშვნელოვნად ჩაითვალა სკოლებში სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ ინტერნეტრესურსების გამოყენება.

ის, რომ ხარისხიან სასკოლო განათლებაზე ხელმისაწვდომობის არსებობა იმ მწვავე პრობლემებს შორისაა, რაც ახალგაზრდებს აწუხებთ მუნიციპალიტეტში რაოდენობრივი კვლევითაც დასტურდება. მას მნიშვნელოვან პრობლემად, რომელიც აუცილებელია მოგვარდეს გამოკითხული ახალგაზრდების 24% ასახელებს. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, როგორც განსაკუთრებით მწავავე საკითხი, სხვა პრობლემების ფონზე ნაკლებად მწვავედ ფასდება გამოკითხული ახალგაზრდების მიერ. ამასთან, ინტერნეტს რამდენიმე საათს უთმობს ახალგაზრდების უმრავლესობა (85%). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გამოკითხულთა ნახევარს არ აქვს წვდომა კომპიუტერზე (48%), დიდია ალბათობა, რომ მობილური ინტერნეტით სარგებლობს ბევრი მათგანი, რაც, გარდა ფინანსური ხარჯებისა, სწავლისა თუ სხვა საქმიანობისთვის ინტერნეტრესურსების ეფექტიანად გამოყენების ალბათობას ამცირებს. ამასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხის პრობლემურად შეფასება, მართალია, 8%-ია, მაგრამ ის, რომ საკითხი აქტუალურია ცალსახაა თვისებრივი კვლევის შედეგებით. აქ საგულისხმოა ის არის, რომ აქტუალურ პრობლემათა ჩამონათვალში სხვა უფრო მწვავე არაერთი პრობლემა იკვეთება, რაც ინტერნეტსა თუ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის საკითხს მათზე ნაკლებ აქტუალურს ხდის.

გრაფიკი 69. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ სპორტი მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოწვევათა რიგში მაინც აღინიშნა *სპორტული ინფრასტრუქტურის* არარსებობა ან არსებულის გაუმართაობა. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემად იდენტიფიცირდა უფრო სოფლის ტიპის დასახლებებისთვის, ვიდრე მუნიციპალური ცენტრისთვის. ის, რომ სპორტულ წრეებზე (19%), ასევე სპორტულ ინფრასტრქუტურაზე (16%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებშიც.

გასართობი და დასასვენებელი ადგილების არარსებობა ასევე გამოიკვეთა პრობლემად დისკუსიების ფარგლებში. თუ უფრო ახალგაზრდების ჯგუფში აქცენტი გართობის ადგილების სიმწირეზე გაკეთდა, უფროსების ჯგუფში ისეთი დასასვენებელი ადგილების სიმწირეზე გამახვილდა ყურადღება, როგორიც პარკები და სკვერებია. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი აქცენტი შვილების გასასეირნებელი ადგილების არარსებობაზე გაკეთდა და არა აუცილებლად მხოლოდ ახალგაზრდებისთვის დასასვენებელი ლოკაციების სიმწირეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გართობისა და დასვენების ადგილებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას იმ პრობლემათა რიცხვში გამოკითხულთა 13% ასახელებს, რომლის მოგვარებაც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში პრობლემათა რიცხვში ასევე დასახელდა თანამედროვე ტექნოლოგიებით ზედმეტად გატაცება, რაც, თავის მხრივ, სიზარმაცესა და სხვა საკითხებით ნაკლებ დაინტერესებას იწვევს. მართალია, ისიც აღინიშნა, რომ ინტერნეტის პოზიტიურად გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ ძირითადი დისკურსის თანახმად, ეს მაინც სარისკო ქცევათა რიგს განეკუთვნება, რაც შემდეგ სხვა პრობლემებს ედება საფუძვლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოწვევაზე ყურადღება გაამახვილეს როგორც სკოლის, ასევე უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა. ისიც ხაზგასასმელია, რომ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით ზედმეტად გატაცება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სარისკო ქცევად გამოიკვეთა (4.1 ქულა)

დასაქმება

მართალია, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემად *დასაქმება* არ გამოკვეთილა და აღინიშნა, რომ ეს პრობლემაა არა მხოლოდ მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის, მაგრამ თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, ის, რა საკითხებიც განსაკუთრებით პრობლემურად დასახელდა სწორედ დასაქმებასთანაა კავშირში.

გამოკითხულთა ყველაზე დიდი წილი მიიჩნევს, რომ დასაქმებაა სწორედ ის გამოწვევა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მოგვარდეს ახალგაზრდებისთვის (54%). ამასთან, სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობას (21%) და პროფესიული გადამზადების კურსებზე ხელმისაწვდომობას (20%) მიიჩნევს მნიშვნელოვან მოსაგვარებელ პრობლემად ათიდან ორი გამოკითხული. უნდა აღინიშნოს, რომ სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომის მნიშვნელობა, ისევე როგორც კარიერული დაგეგმვის სერვისზე ხელმისაწვდომობა გამოიკვეთა თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ისეთი სერვისების შეთავაზება ახალგაზრდებისთვის, რაც მათ გააცნობს სხვადასხვა პროფესიას და ასევე მიაწოდებს ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის თაობაზე. კარიერული დაგეგმვის სერვისის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას გამოკითხულთა 14%-იც აფიქსირებს.

თუ გამოკითხულთა დასაქმების მაჩვენებელს ვნახავთ, აღმოჩნდა, რომ სრულ განაკვეთზე დასაქმებულია მხოლოდ 6%, 7% კი - ნახევარ განაკვეთზე. თვითდასაქმებულთა რიცხვი, ვინც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული მინიმალურია (2%), ფრილანსერია ათიდან ერთი გამოკითხული (10%). ამასთან, 18% უმუშევარია, რომელიც არ ეძებს სამსახურს, 13% კი - უმუშევარია, რომელიც სამსახურს ეძებს.

გრაფიკი 70. დასაქმების სტატუსი



მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმება ფასდება როგორც რთული (29%) ან ძალიან რთული (35%). ამასთან, დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილების არსებობაა ის მთავარი ფაქტორი, რაც დასაქმებას შეუწყობდა ხელს (68%) საჩხერის მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება იმ ფაქტორებს, რაში მხარდაჭერაც ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დაეხმარებოდა დასაქმებაში, ორი უმთავრესი ფაქტორი იკვეთება. კერძოდ, სტაჟირების პროგრამებსა და სამუშაო გამცოდილების დაგროვების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის არსებობა (67%) და პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაში (66%) მხარდაჭერა. ამასთან, გამოკითხულთა ნახევარი თვლის, რომ ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერაა ის, რაც ახალგაზრდებს დასაქმებაში დაეხმარებოდა მათ მუნიციპალიტეტში (48%).

გრაფიკი 71. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



მიგრაცია

საინტერესოა ასევე კვლევის მონაწილეთა მიერ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება. იმას, რომ აქტივობები ახალგაზრდებისთვის ძირითადად სასკოლო ასაკზე გათვლილი, იმით აიხსნა, რომ მიგრაციის გამო მუნიციპალიტეტში უფროსი ასაკის ახალგაზრდების რიცხვი მინიმალურია.

როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, უახლოესი 2-3 წლის პერსპექტივაში შიდა მიგრაციაზე არ ფიქრობს გამოკითხულთა 45%, ამ ეტაპზე კი აღნიშნულზე არ ფიქრობს რესპონდენტთა მეხუთედი (20%). შიდა მიგრაციის განზარხვის არსებობას და დროებით საცხოვრებელი ადგილის დატოვებას რესპონდენტთა 28% აფიქსირებს და მათი მთავარი მოტივაცია უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ასევე დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას უკავშირდება.

გრაფიკი 72. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით

უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით გარე მიგრაციის და ქვეყნის დატოვების განზრახვა არ აქვს გამოკითხულთა 73%-ს. მათი რიცხვი კი, ვინც ქვეყნის დროებით დატოვებას ფიქრობს 13%-ია. გარე მიგრაციის შემთხვევაში, მთავარი მოტივატორი დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობებია.

მართალია, პრობლემების მოგვარებაზე *მთავარ პასუხისმგებლად* ადგილობრივ თვითმმართველობას, რიგ შემთხვევებში კი, ცენტრალურ ხელისუფლებას ასახელებენ ახალგაზრდები, თუმცა საკუთარ როლსაც ხედავენ აღნიშნულში. ეს უკანასკნელი კი, პირველ რიგში, პრობლემების გაჟღერებას გულისხმობს. იმის შეფასება კი, რა კეთდება ამჟამად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პრობლემების მოსაგვარებლად, ნეიტრალურია. გამოკითხულთა ნახევარი (51%) მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს და ამასთან, მესამედის შეფასებით, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად (31%).

გრაფიკი 73. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება



მიუხედავად გამოწვევებისა, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტში პოზიტიურია. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (79%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა (56%) და ქვეყნის (55%) მდგომარეობის შეფასებას, ის ნაკლებად, თუმცა მაინც უფრო ოპტიმისტურია.

გრაფიკი 74. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთანავე, გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.0 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.1 ქულა) მდგომარეობა. ამასთან, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებაც მაღალია და მაქსიმალური 7-დან 5.5 ქულითაა შეფასებული.

1.5. სასურველი აქტივობები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში სასურველ აქტივობებს შორის საჩხერის მუნიციპალიტეტში რამდენიმე გამოიკვეთა. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ჩართულობა დაბალია, რის ერთ-ერთ განმაპირობებლადაც სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლებისადმი ნაკლები ყურადღებაც სახელდება, ახალგაზრდებმა სასურველად დაასახელეს სამოქალაქო მიმართულებით *ტრენინგების კურსის* შეთავაზება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. ასევე, სასურველად დასახელდა სხვადასხვა საკითხზე საგანმანათლებლო ტრენინგების შეთავაზება.

ის, რომ სხვადასხვა ტიპის ტრენინგზე ხელმისაწვდომობის არსებობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის რაოდენობრივმა კვლევამაც გამოავლინა. აღნიშნულზე გამოკითხულთა 17%-მა მიუთითა.

გრაფიკი 75. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



VII

სენაკის მუნიციპალიტეტი

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი მინუციპალიტეტში დაბალია. ათიდან რვა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (79%);

- ახალგაზრდებისთვის დიდ ნაწილს **სხვადასხვა სერვისზე აქვს ხელმისაწვდომობა**, თუმცა, აღსანიშნავია, რომ არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა ახალგაზდების 27%-ს სენაკის მუნიციპალიტეტში;

- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად (63%);

- **პროფესიული** და **ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობასათან** ერთად, დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად *ინგლისური ენის ცოდნა* იკვეთება. აღნიშნულზე, ათიდან, სულ მცირე, ორი ახალგაზრდა მაინც მიანიშნებს (23%)

- **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის** უზრუნველოფა გნსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (65%). ამასთან, მიუხედავად სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ არის მისით დაკავებული (80%);

- **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა, სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა**, ასევე ცხოვრების **ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია** ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;

- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (42%), სივრცეები შეკრებებისთვის (27%) თუ სახელოვნებო/კულტურის წრეები (26%). განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიბლიოთეკაზე ხელმისაწდვომობა მნიშვნელოვნად შეფასება 35%-ის მიერ;

- ახალგაზრდების არ მონაწილეობენ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (99%). ამასთან, 48% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ასევე, 29% მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში**;

- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე 81%-ს. ახალგაზრდები აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ქონდათ სურვილი;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 82% აფიქსირებს. აქაც მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;

- ახალგაზრდებისთვის ყველა მუნიციპალიტეტში ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (71%);

- ახალგაზრდების 16%-ს უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 87% მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცულია;

- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა დაბალია. 77% არ ფიქრობს შიდა მიგრაციაზე და 83% არ ფიქრობს გარე მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს. უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და უკეთესი ცხოვრების პირობებს უკავშირდება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში;

- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია და 5.8 ქულას შეადგენს მაქსიმალური 7-დან;

- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (81%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (48%) თუ ქვეყნის (54%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და სენაკის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 4 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსურ ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[11] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[11] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 7. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	4	150
კვლევის არეალი	სენაკის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

სენაკის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები ინფორმაციას საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მეგობრების/ახლობლებისგან (61%) იღებენ. მეოთხედისთვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელი (26%) წარმოადგენს, მეხუთედი კი აღმოჩნდა, რომ საერთოდ არ იღებს შესაბამის ინფორმაციას (19%). ამასთან, საგულისხმოა, რომ ასევე მეოთხედისთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ადგილობრივი ტელევიზიაა.

გრაფიკი 76. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (62%) თუ სახლს გარეთ (2%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (3%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 32%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (90%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (77%) იყენებს.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენადაა მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული ადგლობრივ დონეზე, რაოდენობრივი კვლევის მონაწილეები ამას უფრო ნეგატიურად აფასებენ, ვიდრე დადებითად. მართალია, ნეიტრალურად განწყობილთა რაოდენობა 33%-ია, მაგრამ მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული ადგილობრივ დონეზე 21%-ია, მაშინ როდესაც მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ არ არის გათვალისწინებული ინტერესები 28%-ია და ამასთან, 12% ფიქრობს, რომ საერთოდ არ არის ადგილობრივ დონეზე მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული.

გრაფიკი 77. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=150

თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, აქტივობებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით ტარდება, კვლევის მონაწილეები ნაკლებად იხსენებენ. ამასთან, უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ტარდება კიდეც აქტივობები, მაგრამ ისინი ძირითადად *სკოლის ასაკის* ახალგაზრდებზეა ორიენტირებული. ასევე გაჟღერდა, რომ *სოფლის ტიპის* დასახლებებამდე ინფორმაცია აქტივობების თაობაზე არ აღწევს და ეს გამოწვევაა, მათ შორის, სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვისაც. რაც შეეხება აქტივობებს, რომლებიც ახალგაზრდობის მიმართულებით იგეგმება და რომლებიც ძირითადად სწორედ სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა გაიხსენეს, გულისხმობს ინტელექტუალურ თამაშებს; გარემოსდაცვით კონკურსს, კერძოდ, ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიას; დებატების კონკურსს; ებრაელთა მემკვიდრეობის დაცვის დღეს; იუნესკოს ეგიდით ჩატარებულ ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებულ პროექტებს. ასევე აღინიშნა სპორტული აქტივობები და ე.წ. „ფერების ფესტივალი“, რომლის ბენეფიციარიც არა მხოლოდ ახალგაზრდა შეიძლება იყოს.

თუ კვლევის მონაწილე ახალგაზრდების შეფასებებს გავითვალისწინებთ, აქტივობები, რომლებიც იგეგმება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, არ პასუხობს მათ საჭიროებებს, რაც ეხმიანება რაოდენობრივი კვლევის შედეგებსაც. ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ახალგაზრდობის მიმართულებით დაგეგმილი იშვიათი აქტივობებიც არ პასუხობს ახალგაზრდების ინტერესებს ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერაც.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გამოდიან ახალგაზრდები ინიციატივებით, აქაც ამგვარი პრაქტიკის არსებობაზე სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა ისაუბრეს. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებითაც, აქტივობათა ინიციატორები თავად ახალგაზრდები არიან (41%). თუმცა, მეხუთედი ინიციატორებად ადგილობრივ თვითმმართველობასა და (22%) და არასამთავრობო სექტორს (21%) ასახელებს.

გრაფიკი 78. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



- ძირითადად, თავად ახალგაზრდები
- ძირითადად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები
- ძირითადად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

N=150

ახალგაზრდებს ასევე დაესვათ კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სმენიათ იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს და აღმოჩნდა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა მსგავს ინფორმაციას არ ფლობს (79%). 17%-ს შეადგენს მათი რაოდენობა, ვისაც სმენია მათ შესახებ, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია.

გრაფიკი 79. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



- არა, არ მსმენია მსგავსი პროგრამების/სერვისების შესახებ
- დიახ, მსმენია პროგრამების/სერვისების შესახებ, მაგრამ არ მიმიღია მონაწილეობა/არ მისარგებლია სერვისით
- დიახ, მსმენია და მიმიღია მონაწილეობა/მისარგებლია სერვისით
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

N=150

ამგვარად, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდების უმნიშვნელოვანესია. აღნიშნულისთვის, სოციალურ ქსელთან ერთად, ადგილობრივი ტელევიზიის გამოყენებაც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში. თუმცა, რადგან ინფორმაციის მიღების წყარო ძირითადად სოციალური წრეა, არსებითია ისეთ ახალგაზრდებამდე ინფორმაციის მიტანა, ვინც შემდეგ მას საკუთარ რეფერენტულ ჯგუფში გაავრცელებს.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების სხვადასხვა პროცესში მონაწილეობა იშვიათ ხასიათს ატარებს. ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში რომ დაბალია, ამაზე ახალგაზრდების ყველა ასაკობრივ ჯგუფშიც მიუთითებენ და ძირითად ინფორმანტებთანაც.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც მოწმობს, რომ ეს მაჩვენებელი დაბალია. სენაკის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 14%-მა თქვა, რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე ახალგაზრდები ახდენენ გავლენას. 32%-ის შეფასებით კი, ისინი გადაწყვეტილების მიღებაზე ვერ ახდენენ გავლებას, 7%-ის შეფასებით

კი, საერთოდ ვერ ახდენე გავლენას. საგულისხმოა, რომ ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით რაიმე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება (1%).

გრაფიკი 80. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



N=150

მართალია, მოხალისეობრივ აქტივობებში ახალგაზრდების მონაწილეობა მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად ფასდება აბსოლუტური უმრავლესობის მიერ (82%), მაგრამ მსგავს აქტივობებში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ასევე უმრავლესობას (82%). ყველაზე მეტს, 14%-ს კი სხვადასხვა საქველმოქმედო აქციაში მიუღია მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ მთავარ მიზეზად მოხალისეობრივ ატივობაში ჩაურთველობის ის სახელდება, რომ ახალგაზრდებს არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ (45%). მესამედის თქმით, არ ჰქონდა ამის სურვილი (30%), მეხუთედი კი დროის უქონლობას ასახელებს მიზეზად (18%).

გრაფიკი 81. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



სხვადასხვა პროცესში ჩართულობაც რომ მნიშვნელოვანია ამასაც უმრავლესობა ადასტურებს (81%), თუმცა, სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება ასევე აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს (82%), ყველაზე მეტმა კი (10%), აზრი ონლაინ სივრცეში გამოხატა. რაც შეეხება მიზეზებს, აღმოჩნდა, რომ ამის მთავარი მიზეზი სურვილის არქონა (45%), ასევე ის არის, რომ მათ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ (34%).

გრაფიკი 82. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



რაც შეეხება იმას, თუ როგორია ახალგაზრდების აქტივობა ზოგადად, აქ გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (48%). ამასთან საგულისხმოა, რომ მესამედის შეფასებით, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში (29%).

გრაფიკი 83. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



აღნიშნულის მიზეზად ყველაზე მეტი რესპონდენტი იმას ასახელებს, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა (49%). ამასთან, მეხუთედი მიუთითებს, რომ ახალაგზრდებამა არ იციან, როგორც ჩაერთონ აქტივობაში (21%) და ამდენივე მიზეზად ასახელებს იმას, რომ მუნიციპალიტეტში შესაბამისი აქტივობები არ იგეგმება (22%).

თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, აქაც ხაზგასმული იყო ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებით, ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს ორი მთავარი მიზეზი აქვს: ერთი, ის, რომ *ახალგაზრდებს არ აინტერესებთ ჩართულობა*, რაც საკითხის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობით შეიძლება აიხსნას. და მეორე მიზეზი *მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების სიმწირეა*. საკითხის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა, ამასთან, *ნიჰილიზმი* და *არაინფორმირებულობა* კონკრეტული მექანიზმების თაობაზე არის ის მიზეზები, რითიც აიხსნება ახალგაზრდების პროცესებში დაბალი ჩართულობა კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის მიერ.

რაც შეეხება თავად ახალგაზრდებს, ჩართულობის მაგალითებად სკოლის ასაკის ახალგაზრდებს ძირითადად გარემოსდაცვითი აქტივობები და ტრენინგების ორგანიზება მოჰყავთ, რაშიც მონაწილეობის გამოცდილებასაც აფიქსირებენ. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობებზე საუბრისას აპელირება კეთდებოდა სკოლაზე და მის აქტიურობაზე. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ როგორც სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობის გაცნობიერების, ასევე მისი არსის ცოდნის თვალსაზრისით გამოწვევებია. ამასთან, უშუალოდ აქტივიზმის მაგალითები კონკრეტულ სკოლაზე და მის აქტიურობაზეა დამოკიდებული და არ ეხება ახალგაზრდების დიდ ჯგუფს, მეტიც, არც სკოლების დიდ ნაწილს.

ჩართულობის კონტექსტში ისიც აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 71% არ არის დაინტერესებული პოლიტიკის სარეთოდ და ყველაზე ნაკლებად ღირებულიც ის არის, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები (3.9 ქულა მაქსიმალური 7 ქულიდან)). ღირებულების კონტექსტში ისიც საგულისხმოა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან სამ ღირებულებას ახალგაზრდებისთვის წარმოადგენს კარგი მეგობრებისა (6.8 ქულა) და სანდო მეუღლის/პარტნიორის (6.8 ქულა) ყოლა, ასევე ღვთის რწმენა (6.8 ქულა).

ჩართულობის გასაზრდელად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმად ცნობიერების ამაღლება და შემდეგ უკვე შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათში ახალგაზრდების ჩართვაა იკვეთება არსებითად როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგებით. შესაბამისად, ამ მიმართულებით რელევანტური აქტივობების დაგეგმვა აუცილებელია.

1.3. უფლებები

კვლევის მონაწილე როგორც ფოკუსური დისკუსიების მონაწილეებმა, ასევე ძირითადმა ინფორმანტებმა შეაფასეს, თუ რამდენადაა დაცული ახალგაზრდების უფლებები სენაკის მუნიციპალიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების უფლებების დარღვევაზე კვლევის მონაწილეებს არ უსაბრიათ. გამოკითხულა 87%-იც თვლის, რომ მათი უფლებები დაცულია. აქ საგულისხმოა ის, რომ გამოკითხულთა 16%-ს *არ სმენია არცერთი უფლების შესახებ*. ყველაზე მეტს კი ისეთი უფლებების შესახებ სმენია, როგორებიცაა *თანასწორობის უფლება* (49%). ასევე, *სიცოცხლის უფლების* შესახებ სმენია 34%-ს.

აქვე აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების აბსოლუტური უმრავლესობა (ათიდან ცხრა გამოკითხული სულ მცირე) აცხადებს, რომ სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილება არ ჰქონია. თუმცა დისკუსიებზე მაინც აღინიშნა დისკრიმინაციის შემთხვევები, როგორც *ეკონომიკური, ასევე ასაკის ნიშნით.* ეს უკანასკნელი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებს, რამდენადაც საუბარი ეხება ახალგაზრდა ასაკის გამო საკუთარი აზრის გამოხატვისგან თავშეკავებისკენ მოწოდებებს („*როდესაც შენს აზრს აფიქსირებ, ავტომატურად უფროს თაობას ჰგონია, რომ "ტლიკინებ" და ამის უფლება არ გაქვს*").

დისკრიმინაციაზე სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა გაამხვილეს ყურადღება და ისაუბრეს ბულინგზე სხვადასხვა ნიშნით. სწორედ ბულინგის არსებობის და მასთან დაკავშირებულ სტრესებთან გამკლავების გამო სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ აუცილებელია სკოლებში ფსიქოლოგების არსებობა.

უფლებების დარღვევის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ახლაგაზრდების უფლებების დარღვევაზე ან რაიმე განსაკუთრებულ გამოწვევებზე ამ თვალსაზრისით ნაკლებად გაუსვეს ხაზი როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა. თუმცა, რაც აღინიშნა უფლებების ნაწილში ის არის, რომ ირღვევა ახალგაზრდების უფლება იმით, რომ ახალგაზრდების აზრი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არ არის გათვალისწინებული. ასევე, ირღვევა ხარისხიანი განათლების მიღების უფლება და აქ, განსაკუთრებული გამოწვევებია ახალგაზრდებისთვის სოფლის ტიპის დასახლებებიდან, რომელთაც სერიოზული პრობლემები აქვთ საგზაო თუ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

1.4. გამოწვევები

პრობლემებს შორის, რომლებზეც ისაუბრეს კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებმა გამოიკვეთა *სივრცეების არარასებობა* როგორც გართობის, ასევე შეკრებისთვის, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ დისკუსიების გამართვას, აზრების გაცვლას და იდეების გენერირებას. ამგვარი სივრცეების არარსებობაზე მეტად პრობლემურად უფროსი ასაკის ახალგაზდებმა უბრალოდ გასართობის სივრცეების არარსებობაზე გაამახვილეს ყურადღება. კვლევის მონაწილე ძირითადი ინფორმანტების მიერაც გამახვილდა ყურადღება მუნიციპალიტეტში გართობისა და შეკრებებისთვის სივრცეების არარსებობაზე.

ადგილზე არსებულ პრობლემებზე საუბრისას, უფროსი ასაკის ახალგაზრდებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს *საგზაო ინფრასტრუქტურასთან* დაკავშირებულ პრობლემაზე, რაც დღის წესრიგში დგას ახალგაზრდებისთვის სოფლის ტიპის დასახლებებიდან. ამ პრობლემაზე ყურადღება ასევე გამახვილდა კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მიერაც, რომელმაც, საგზაო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ხაზი გაუსვა *ტრანსპორტსა და ინტერნეტზე დაბალ ხელმისაწვდომობას* მუნიციპალიტეტის რიგი სოფლებისთვის.

კიდევ ერთ პრობლემად ახალგაზრდებმა *ბიბლიოთეკასთან* დაკავშირებული გამოწვევები აღნიშნეს. ყურადღება არ გამახვილებულა იმაზე, რომ ბიბლიოთეკები არ არსებობს. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ დასახლებაში ბიბლიოთეკის არსებობას გამოკითხულთა 37%-იც მიუთითებს. თუმცა, რაც გამოწვევად იკვეთება ამ თვალსაზრისით ის არის, რომ ბიბლიოთეკა საჭიროებს განახლებას როგორც შენობის თვალსაზრისით, ასევე წიგნადი ფონდის თვალსაზრისითაც

დასაქმება

თუ რესპონდენტთა სამუშაო სტატუსს ვნახავთ, სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა წილი 16%-ია. მინიმალურია თვითდასაქმებულთა წილი (4%). რაც შეეხება ახალგაზრდებს, რომლების უმუშევრები არიან და არ ეძებენ სამსახურს, მათი რაოდენობა 17%, სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა კი - 26%-ია.

გრაფიკი 84. დასაქმების სტატუსი



თუ თვისებრივი კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან ისეთი პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური, როგორიც უმუშევრობაა, რაც არ არის მოლოდნელი იმის გათვალისწინებით, რომ უმთავრესი პრობლემა, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა (65%). ამასთან, 14% თვლის, რომ მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დასაქმება ძალიან რთულია, 65%-ის შეფასებით კი - რთული.

გრაფიკი 85. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის



თუ იმასაც ვნახავთ, რომ პროფესიული დამაზადების კურსებზე ხელმისაწვდომობა (19%), სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (13%), ასევე კარიერული დაგეგმვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა (10%) მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის, ბუნებრივია, რომ ამას უმუშევრობის პრობლემასთან გამკლავების მექანიზმადაც მოიაზრებენ ახალგაზრდები. ეს დასტურდება რაოდენობრივი კვლევის მონაცემებითაც. მართალია, დასაქმებისთვის ყველაზე

მთავარ ხელშემწყობად მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების არსებობა სახელდება (63%), მაგრამ ამასთანავე, გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობა უწყობს დასაქმებას ხელს. სწორედ პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა დაეხმარებოდა ახალგაზრდებს დასაქმებაში ათიდან შვიდი გამოკითხულის აზრით (70%). ამასთან, ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა (40%) და სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა (36%) სახელდება მნიშვნელოვნად ათიდან ოთხი გამოკითხულის მიერ.

გრაფიკი 86. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



მიგრაცია

აღსანიშნავია, რომ დასაქმების და, ასევე, გართობის შესაძლებლობის არარსებობით ხსნიან თვისებრივი კვლევის მონაწილე უფროსი ასაკის ახალგაზრდები შიდა თუ გარე მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს მუნიციპალიტეტში. მათი შეფასებით, განსაკუთრებით სოფლებიდან ახალგაზრდების გადინებას აქვს ადგილი. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, მისი შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა შიდა მიგრაციაზე არ ფიქრობს. ამასთან, 39% ამ ეტაპზე არ ფიქრობს აღნიშნულზე, 38% კი, არ განიხილავს ამ პერსპექტივას უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით. აღსანიშნავია ისიც, რომ გარე მიგრაციის განზარხვასაც არ აფიქსირებს რესპონდენტთა უმრავლესობა. ამასთან, 68% არ ფიქრობს ქვეყნის დატოვებაზე/გარე მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე, 15% კი - ამ ეტაპზე არ ფიქრობს აღნიშნულზე.

გრაფიკი 87. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით

აღსანიშნავია, რომ შიდა და გარე მიგრაციის მთავარი მიზეზები უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობას უკავშირდება.

იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის პრობლემების მოგვარებაზე მთავარი პასუხისმგებელი, აქ დისკუსიების მოსაზრება ცალსახა იყო და ადგილობრივ თვითმმართველობას მოაიზრებენ. ამ ეტაპზე, მათი შეფასებით, გადაწყვეტილებების მიმღები პირები გამოწვევებზე საპასუხოდ არაფერს აკეთებენ. მეტიც, აღინიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან გარკვეული აქტიურობა წინასაარჩევნოდ შეინიშნება მხოლოდ. შესაბამისად, სწორედ ამ დროის ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობაზე გამახვილდა დისკუსიისას ყურადღება უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან. მეტიც, საკუთარ როლს პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით სწორედ იმაში ხედავენ, რომ უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ყურადღების მიქცევა ახალგაზრდობის პრობლემებზე. რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, აქ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს (47%). 34%-ის შეფასებით კი, თვითმმართველობა არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად.

გრაფიკი 88. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება



მიუხედავად გამოწვევებისა, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად პოზიტიურია. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (81%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მდგომარეობის ოპტიმისტურ შეფასებას, ის ნაკლებია, თუმცა, ათიდან დაახლოებით ხუთი გამოკითხული მაინც პოზიტიურ ხედვას აფიქსირებს.

გრაფიკი 89. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთან ერთად, პოზიტიურია საკუთარი როგორც ფიზიკური (4.1 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.1 ქულა) მდგომარეობის შეფასება. რაც შეეხება ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებას, მისი შეფასებაც დადებითია და მაქსიმალური 7-დან 5.8 ქულით ფასდება.

ამგვარად, მართალია, დისკუსიების დროს აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე არაერთი გამოწვევაა, თუმცა შემდეგი რამდენიმე არსებითი პრობლემა შეიძლება მაინც გამოიყოს. ესენია, გასართობის სივრცეების არარსებობა; შეკერებებისა და არაფორმალური განათლების მისაღებად სივრცეების არარსებობა; ბიბლიოთეკა გაუმართავი ინფრასტრუქტურითა და განსაახლებელი წიგნადი ფონდით; ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა სოფლის ტიპის დასახლებების ნაწილში, რაც, თავის მხრივ, განათლებაზე დაბალ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. აქვე გასათვალისწინებელია რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმადაც, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი გამოწვევების მოგვარება, როგორებიცაა ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებსა (21%) და სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის (22%) უზრუნველყოფა.

1.5. სასურველი აქტივობები

სასურველ აქტივობებთან თუ სერვისებთან დაკავშირებით თვისებრივმა კვლევამ სენაკის მუნიციპალიტეტში შემდეგი გამოკვეთა: სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან გაჟღერდა *წიგნის კლუბისა* და *კინოკლუბის*, ასევე დებატების კლუბის გახნის იდეა. სასურველ აქტივობებს შორის მუნიციპალიტეტში შეკრებებისა და არაფორმალური განათლებისთვის სივრცეების არსებობა დასახელდა. საგულისხმოა, რომ ამგვარი სივრცეების არსებობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება ძირითადმა ინფორმანტებმაც. მათთან ასევე გაჟღერდა წიგნის კლუბის მიმართ ახალგაზრდების მაღალი ინტერესი.

ამგვარი სივრცეების ერთგვარ სახეობად შეიძლება მოვიაზროთ ასევე სასურველად ე.წ. *ინტელექტუალური კაფეების* არსებობის დასახელება. აღნიშნულში ახალგაზრდები რეალურად საერთო სამუშაო სივრცეებს მოიაზრებენ, სადაც ადამიანებს სამუშაო ადგილისგან, სკოლისგან თუ სახლისგან განსხვავებულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა ექნებათ.

რამდენადაც უფლებებსა და დისკრიმინაციაზე საუბრისას ბულინგი, განსაკუთრებით სკოლაში გამოიკვეთა პრობლემურად, ბუნებრივია, რომ სასურველ აქტივობებს შორისაც ახალგაზრდებმა გააჟღერეს ისეთი საკითხი, რომელიც ამ გამოწვევასთანაა ასოცირებული. კერძოდ, ხაზგასმული იყო, რომ აუცილებელია *ბულინგის წინააღდეგ კამპანიების დაგეგმვა*, სადაც სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან ერთად, უფროსი ასაკის ადამიანებისთვისაც მოხდება ინფორმაციის მიწოდება საფრთხეებზე, რომელიც ახლავს თან ამგვარ ქმედებას. ამ კონტექსტშიც ხაზგასმული იყო არაფორმალური განათლების მნიშვნელობა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვის აუცილებლობა.

ამასთან, კვლევის მონაწილეებმა სასურველ აქტივობებს შორის დაასახელეს *ახალგაზრდული ბანაკების* ორგანიზება. მთავარი არგუმენტის თანახმად, ეს ხელს უწყობს აქტიური ახალგაზრდის ჩამოყალიბებას, რომელსაც განვითარებული აქვს კომუნიკაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარები. სასურველ აქტივობებს შორის ასევე დასახელდა *სამეცნიერო ბანაკების* ორგანიზება, სადაც უკვე მეცნიერების სხვადასხვა დარგით დაინტერესებული ახალგაზრდების მობილიზება და იდეების გაცვლა იქნება უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, აქ საგულისხმოა, რომ სპორტულ წრეზე/წრეებზე ხელმისაწვდომობის არსებობა გამოიკვეთა არსებითად ახალგაზრდებისთვის იმ სერვისებს შორის, რომლებზე ხელმისაწვდომობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (65%). ათიდან ოთხი გამოკითხული მნიშვნელოვნად უცხო ენის შემსწავლელ კურსებს (42%), 35% კი - ბიბლიოთეკაზე/სამკითხველო კლუბზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

გრაფიკი 90. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



ამგვარად, შეკრებებისა და არაფორმალური განათლებისთვის სივრცეების მოწყობა, წიგნის მოყვარულთა კლუბის, კინოკლუბისა და დებატების კლუბის შექმნა, არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება და ისეთ საკითხზე ფოკუსირება, როგორიცაა ბრძოლა ბულინგის წინააღმდეგ, ასევე ახალგაზრდული ბანაკებისა და სამეცნიერო ბანაკების ორგანიზებაა ის აქტივობები, რომლებიც სასურველად დასახელდა კვლევის მონაწილე ახალგაზრდების მიერ სენაკის მუნიციპალიტეტში. განსაკუთრებით მნიშვბელოვანია წიგნის/სამკითხველო კლუბის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[12]

[12] დეტალური თვისებრივი ანგარიში, ასევე სრული გრაფიკული ანგარიში შესაბამისი მიგნებებითა და რეკომენდაციებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით

VIII

ყვარლის მუნიციპალიტეტი



ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი დაბალია. ათიდან ექვსმა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (62%);
- ახალგაზრდების დიდ ნაწილს **სხვადასხვა სერვისზე აქვს ხელმისაწვდომობა**. ახალგაზრდებისთვის უმეტესად ხელმისაწვდომია სახელოვნებო (51%) და სპორტული (58%) წრეები, ასევე ბიბლიოთეკები (50%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა ახალგაზდების 26%-ს;
- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად უმრავლესობის მიერ (58%);
- გარდა სამუშაო ადგილების არსებობისა (66%), დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორებად სახელდება **პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობა** (45%) და **ინგლისური ენის ცოდნა** (38%);
- სწორედ **პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა** დაეხმარებოდა გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს დასაქმებაში (67%). ასევე, მხარდაჭერა **ინგლისური ენის შესწავლასა** (60%) და **სტაჟირების პროგრამებზე** ხელმისაწვდომობა/სამუშაო გამოცდილების დაგროვებაში (53%) მხარდაჭერა;
- **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავება შეფასებულია, როგორც მნიშვნელოვანი. ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობაც** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (56%);
- მიუხედავად **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების მცირე ნაწილია მისით დაკავებული. მხოლოდ მესამედი მიუთითებს იმაზე, რომ მის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან თითქმის ყველა დაკავებულია სპორტით (29%);
- ფინანსური ხელმისაწვდომობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასევე სპორტული წრეების/კლუბების არსებობა ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;
- ახალგაზრდებისთვის, გარდა სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობისა, დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა უცხო ენის შემსწავლელი კურსები (50%), ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი (32%), სახელოვნებო/კულტურის წრეები (29%) და სივრცეები შეკრებებისთვის (25%);
- ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (90%);

- მუნიციპალიტეტში 41% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ათიდან დაახლოებით ორი ახალგაზრდა ასევე ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში (19%);
- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;
- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე ათიდან თითქმის შვიდ ახალგაზრდას (67%). აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ის სახელდება, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ქონდათ სურვილი;
- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე ათიდან რვა გამოკითხული აფიქსირებს (80%). აქაც მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა. ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (61%);
- ათიდან სამი ახალგაზრდაა **დაინტერესებული ზოგადად საქართველოს პოლიტიკით** (32%). ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით 16%, ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობით კი 18%-ია დაინტერესებული;
- ყოველ მეორე ახალგაზრდას ყვარელში უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია (50%). ამის მიუხედავად, ათიდან ხუთი ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაცულია (48%);
- ყველაზე გავრცელებული **სარისკო ქცევები** მუნიციპალიტეტში სიგარეტის მოწევა, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით ზედმეტად გატაცება და ალკოჰოლის მოხმარებაა;
- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა არ არის მაღალი. უახლოესი 2-3 წლის მანძილზე შიდა მიგრაციაზე 55%, გარე მიგრაციაზე კი - 74% არ ფიქრობს. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს, უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და უკეთესი ცხოვრების პირობებს უკავშირდება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში;
- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია (4.9 ქულა მაქსიმალური 7-დან);
- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია. ამასთან, გამოიკვეთა, რომ პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (69%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (41%) თუ ქვეყნის (37%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და ყვარლის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ ყვარლის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსურ ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[13] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[13] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 8. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	4	150
კვლევის არეალი	ყვარლის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

ყვარლის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები ინფორმაციას საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად მეგობრების/ახლობლებისგან (57%) იღებენ. ამასთან, მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელი (25%), ასევე სხვადასხვა გვერდი სოციალურ ქსელში (23%) ინფორმაციის მიღების წყაროა გამოკითხულთა მეოთხედისთვის.

გრაფიკი 91. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (68%) თუ სახლს გარეთ (6%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (2%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 24%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (87%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (90%) იყენებს.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების შეფასებებით, მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები არ არის/საერთოდ არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში 36%-ის აზრით. ინტერესების გათვალისწინებაზე კი 24% მიუთითებს.

გრაფიკი 92. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=150

რაც შეეხება უშუალოდ აქტივობებს, რომლებიც ახალგაზრდებისთვის იგეგმება მუნიციპალიტეტში, ამასთან დაკავშირებით კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუსური დისკუსიებისას სკოლის ასაკის ახალგაზრდებმა არაერთი აქტივობა გაიხსენეს. მათ შორის დასახელდა სპორტული, კულტურული, გარემოცდაცვითი, შემეცნებითი თუ მოხალისეობრივი აქტივობები. უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან ხაზგასმული იყო, რომ აქტივობები უმეტესად სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის იგეგმება. საგულისხმოა, რომ აღნიშნულის მიზეზად, მათ შორის, უფროსი ასაკის წარმომადგენელთა აქტივობებში მონაწილეობის „არაპოპულარობა“ დასახელდა.

რაც შეეხება განსხვავებებს ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის, როგორც დისკუსიებიდან ირკვევა, მუნიციპალიტეტის სოფლებში აქტივობათა ორგანიზების პრაქტიკა არათუ არსებობს, არამედ, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლოკაცია სწორედ სოფელია („[ახალსოფელი] ძალიან აქტიური სოფელია“) ახალგაზრდული ცენტრით. გარდა ახალსოფლისა, ახალგაზრდებმა სხვა სოფლებშიც, უმეტესად, სპორტული და გარემოსდაცვითი აქტივობების ჩატარების გამოცდილებაზე მიუთითეს მონაწილეებმა. ამის მიუხედავად, ხაზგასმული იყო, რომ ეს არ ეხება მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელს. ამასთან, ტრანსპორტზე დაბალი ხელმისაწვდომობა ის ბარიერია, რომელიც მუნიციპალურ ცენტრში აქტივობებზე დასასწრებად ექმნებათ ახალგაზრდებს სოფლის ტიპის დასახლებებიდან, რომლებიც უშუალოდ ცენტრიდან შორსაა.

იმაზე, თუ რამდენად პასუხობს აქტივობები ახალგაზრდების ინტერსებს, სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან შეფასებები პოზიტიური იყო. უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან კი კვლავ აღინიშნა, რომ აქტივობები ძირითადად სკოლის ასაკის ინტერესებს პასუხობს. თავად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებით, იმის თქმა, რომ ახალგაზრდების ინტერესები სრულადაა გათვალისწინებული, არასწორი იქნება, რადგან კვლევა საჭიროებების დასადგენად მუნიციპალიტეტს არასდროს ჩაუტარებია. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის შეფასებით კი, ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს მესამე სექტორი ახორციელებს და მათ ყველა პროექტს საფუძვლად კვლევა უდევს; თავად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობების შესაბამისობა ახალგაზრდების საჭიროებებთან კი, კვლევის მონაწილე მესამე სექტორის მიერ უარყოფითად ფასდება.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ არიან ახალგაზრდებისთვის ორგანიზებული აქტივობების ინიციატორები, სკოლის ასაკის დისკუსანტებთან ძირითადად ახალგაზრდები დასახელდნენ. აღინიშნა, რომ მათ უფროსი თაობის წარმომადგენლები ეხმარებიან აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში, თუმცა ინიციატორებად უმეტესად სწორედ ახალგაზრდები მოიაზრებიან. იმის ერთ-ერთ მიზეზად კი, თუ რატომ არ არიან უფროსი ასაკის ახალგაზრდები აქტივობათა ინიციატორები, მათი დაკავებულობა და დროის რესურსის სიმწირე დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა მესამედს უჭირს შეაფასოს, თუ ვინ არის ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორი (30%). ამასთან, ასევე მესამედი თვლის, რომ ინიციატორები თავად ახალგაზრდები არიან (31%). ამასთან, მეოთხედი გამოკითხულების ადგილობრივ მუნიციპალიტეტს (14%) ასახელებს ინიციატორად, 14% კი - არასამთავრობო სექტორზე მიუთითებს.

გრაფიკი 93. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სმენიათ რესპონდენტებს იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს, აღმოჩნდა, რომ ათიდან ექვსი გამოკითხული მსგავს ინფორმაციას არ ფლობს (62%). ამასთან, მესამედს სმენია მათ შესახებ, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია (28%).

გრაფიკი 94. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



დისკუსიებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები არა მხოლოდ სპორტული ან კულტურულია. შემეცნებით, გარემოსდაცვით თუ მოხალისეობრივ აქტივობებთან ერთად, ახალგაზრდებს აქვთ წვდომა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაზეც, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვისაა, რომელთათვისაც სხვადასხვა უნარის განვითარება და პროფესიული გადამზადება დასაქმების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ აქტივობები იგეგმება არა მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში, არამედ სოფლებშიც. მართალია, სოფლის ტიპის დასახლებების დიდი ნაწილისთვის ტრანსპორტირება გამოწვევაა, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლოკაცია მუნიციპალიტეტში სწორედ სოფლადაა და მისი ახალგაზრდული ცენტრი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას პროგრამებისა თუ პროექტების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩართულობასთან დაკავშირებით სკოლის ასაკის ახალგაზრდების შეფასებები უფრო პოზიტიური იყო, ვიდრე ნეგატიური. მათთან აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ახერხებენ ახალგაზრდების გააქტიურებას და ჩართვას სხვადასხვა აქტივობაში. რაც შეეხება უფროსი თაობის ახალგაზრდებს, მათი შეფასებები ნაკლებად პოზიტიურია და ისინი აღნიშნულს აფასებენ, როგორც დაბალს.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებს თუ ვნახავთ, რეალობა ნაკლებად იძლევა პოზიტიური შეფასებების შესაძლებლობას. ათიდან ოთხი გამოკითხულის შეფასებით, მათნაირი ახალგაზრდები ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ახდენენ/საერთოდ ვერ ახდენენ (42%), მაშინ როდესაც საპირისპიროზე 23% მიუთითებს, 28%-ის შეფასებები კი ნეიტრალურია. ამასთან, უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე ათიდან ერთ ახალგაზრდას აქვს (10%). ძირითადად, აღნიშნული საკითხების განხილვასა და უბრალოდ შეხვედრებში მონაწილეობას გულისხმობდა.

გრაფიკი 95. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



მოხალისეობრივ აქტივობაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია აბსოლუტური უმრავლესობის აზრით (88%). ამის მიუხედავად, ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს გამოკითხულთა 67%-ს. ყველაზე მეტს, 21%-ს კი სხვადასხვა საქველმოქმედო აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება აქვს. მოხალისეობრივ ატივობაში ჩაურთველობის მთავარ მიზეზად კი ის სახელდება, რომ ახალგაზრდებმა ვერ მოიცალეს (39%), არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ (34%) და ასევე, მეხუთედის შეფასებით, არ ჰქონდათ ამის სურვილი (22%).

გრაფიკი 96. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელიც, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა უმრავლესობამ (70%). სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება ათიდან რვა გამოკითხულს არ აქვს (78%). აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (44%). ამასთან, მესამედი მიზეზად იმას ასახელებს, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის (30%).

გრაფიკი 97. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



გარდა იმისა, რომ თავად გამოკითხულთა ჩართულობის მაჩვენებელია დაბალი, მათი შეფასებით, ზოგადად მუნიციპალიტეტშიც რეალობა მსგავსია. ათიდან ოთხი გამოკითხულის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (41%). 22% მიიჩნევს, რომ მათ მუნიციპალიტეტში გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობაში, 19%-ის აზრით კი, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო აქტივობებში არ მონაწილეობენ.

გრაფიკი 98. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



დაბალი სამოქალაქო აქტივობის მთავარ მიზეზად ყვარლის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები იმას მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა (42%). მეხუთედი იმასაც ასახელებს მიზეზად, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობაში (21%).

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა თვისებრივი კვლევის შედეგებიც. უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან ხაზგასმული იყო, რომ დაბალი სამოქალაქო აქტივიზმის მიზეზი საკითხის *მნიშვნელობის გაუცნობიერებლობასა და არაინფორმირებულობას* უკავშირდება, როგორც საკუთარი უფლებების, ასევე ჩართულობის მექანიზმების თაობაზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩართულობაში ახალგაზრდები ყოველთვის სამოქალაქო აქტივიზმსა და ჩართულობის მექანიზმების გამოყენებას როდი გულისხმობენ, არამედ ხშირად, ჩართულობაზე საუბრისას უბრალოდ ისეთ აქტივობებში მონაწილეობას მოიაზრებენ, რაც სპორტულ თუ შემეცნებით ღონისძიებას უკავშირდება, ნათელია, რომ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება აქტუალური საკითხია. გარდა ინფორმირებისა მექანიზმების თაობაზე, გამოწვევა ამ თვალსაზრისით იმასაც ეხება, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაცია, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბიუჯეტის განხვილვის თარიღსა თუ სხვა აქტივობებზე. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც ინფორმირების მექანიზმების დახვეწა მნიშვნელოვანია.

გარდა დაბალი ცნობიერებისა და არაინფორმირებულობისა, დაბალი ჩართულობის კიდევ ერთ მიზეზად *ნიჰილიზმი* დასახელდა, რაც განუხორციელებელ პროექტებთან დაკავშირებულ იმედგაცრუებას უკავშირდება.

ის, რომ ჩართულობა ახალგაზრდების, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პრიცესში დაბალია, ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე ძირითადი ინფორმანტის მიერაც არასამთავრობო სექტორიდან. მისი შეფასებით, აღნიშნულის მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ რთავს მათ პროცესებში, არ იწვევს შესაბამის შეხვედრებზე და არ ეკითხება აზრს („არ ერთვებიან რას ნიშნავს? ვიღაცა ხომ უნდა დაინტერესდეს მათი აზრით?!“).

ჩართულობისა და სამოქალაქო აქტივიზმის კონტექსტში ასევე აღსანიშნავია რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი, რომლის თანახმადაც, ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ღირებულებას ახალგაზრდებისთვის წარმოადგენს ის, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულნი (2.8 ქულა მაქსიმალური 7 ქულიდან). ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს ათიდან ექვს გამოკითხულს (61%). ყველაზე მეტს, 32%-ს კი აინტერესებს ზოგადად საქართველოს პოლიტიკა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩართულობა და სამოქალაქო აქტივიზმი მნიშვნელოვანია, თანხმობაა კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კომპონენტის შედეგებით. უშუალოდ დისკუსიების მონაწილე ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის სოციალიზაციისა და სოციალური კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა. ამასთან, ჩართულობა არის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც ახალგაზრდებს ასწავლის აქტივობათა ორგანიზებას, მათ ჩატარებასა და ზოგადად, შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვას. გარდა ამისა, ჩართულობა ჩაითვალა მნიშვნელოვნად, რადგან ამ ფორმით ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფრომირება და ინიციატივების გაჟღერება.

მიუხედავად მნიშვნელოვნების აღიარებისა, ჩართულობა ყვარლის მუნიციპალიტეტში დაბალია და მის გასაზრდელად, ცნობიერების ამაღლებასა და მექანიზმებზე ინფორმირებასთან ერთად, აუცილებელია პოზიტიური მაგალითების დემონსტრირება. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ნიჰილისტურ განწყობების გაქარწყლებას და გაზრდის მათ რიცხვს, ვინც დაიჯერებს, რომ ჩართულობას რეალური შედეგი შეიძლება მოყვეს.

1.3. უფლებები

უფლებებთან დაკავშირებით დარღვევებზე ყურადღება თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა ნაკლებად გაამახვილეს ყურადღება, რაც უფლებების შესახებ ინფორმირებასა და განცობიერებასაც შეიძლება უკავშირდებოდეს. ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, გამოკითხული ახალგაზრდების 50%-ს არ სმენია არცერთი უფლების შესახებ. ამის მიუხედავად, უმრავლესობა თვლის, რომ მათი უფლებები დაცულია (79%). ამასთან, ყოველი მეორე მიიჩნევს, რომ მისი უფლება დაცულია (48%), მესამედი კი თვლის, რომ მისი უფლება ნაწილობრივაა დაცული (31%).

აღსანიშნავია ისიც, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილება არ ჰქონია. თუმცა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე, როგორც გამოწვევაზე ფამახვილდა ყურადღება. თავის მხრივ, დისკრიმინაცია რომ შეიძლება იწვევდეს კონკრეტული ადამიანებისა თუ ჯგუფების სხვადასხვა უფლების დარღვევას, ამაზეც გაკეთდა მინიშნენები. მაგალითისთვის, სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა *ასაკის ნიშნით დისკრინიმაცია* („პატარა ხარ და არ იცი მაგდენი“), რაც ხშირად ახალგაზრდებს საკუთარი აზრის დაფიქსირებაში ბარიერს უქმნის. სწორედ ამიტომ, *აზრის გამოხატვის უფლების* მაგალითად მიიჩნია კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ ამ ნიშნით დისკრიმინაცია.

ასევე აღინიშნა გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, რაც, გოგოებისა თუ ბიჭებისგან გარკვეული სახის ქმედების მიუღებლობას გულისხმობს. დისკრიმინაციის კონტექსტშივე *სხვადასხვა ნიშნით ადამიანების ბულინგი* დასახელდა გამოწვევად უფროსი ასაკის ახალგაზრდების მიერ და აღინიშნა, რომ ჩაგვრასა და ბულინგს განსაკუთრების სკოლის ასაკში აქვს ადგილი და ეს გამოწვევაა არა მხოლოდ ყვარლის მუნიციპალიტეტის ან ქვეყნისთვისმ, არამედ გლობალური პრობლემაა. ამდენად, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა მნიშვნელოვნად ფასდება.

უფლებებზე საუბრისას *განათლების უფლების* შეზღუდვას დაუკავშირდა სასურველ სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უფლებების გაცნობიერების თვალსაზრისით გამოწვევებია მუნიციპალიტეტში. თუმცა, განათლების კონტექსტშივე შესაბამისად იყო აღნიშნული ამ უფლების შეზღუდვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში, პირველ რიგში კი, გოგოებისთვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ ეთნიკური უმცირესობის ჯგუფში გოგოების მიერ განათლების მიღებას ოჯახები ეწინააღმდეგებიან, რითიც ირღვევა როგორც განათლების მიღების უფლება, ასევე, ზოგადად, ქალის უფლებები. ამასთან, ისიც ითქვა, რომ პოზიტიური მაგალითიც არსებობს უკვე მუნიციპალიტეტში, რაც კონკრეტული გოგოს მიერ უნივერსიტეტში სწავლას უკავშირდება.

აღსანიშნავია იცის, რომ ეთნიკური უმცირესობებისა და დისკრიმინაციის კონტექსტში ასევე ერთ-ერთმა მონაწილემ დისკრიმინაციის შემთხვევებზე მიუთითა როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური ნიშნით („*არის ხოლმე, ის იეღოველია და მასთნ ურთიერთობა არ მინდა; აი, ის ლეკია და მასთან ურთიერთობა არ მინდა*“).

1.4. გამოწვევები

პრობლემების თვალსაზრისით, თვისებრივი კვლევის ფარგლებში აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს სივრცე შეკრებისთვის, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ აქტუალური საკითხების განხილვა; ამასთან, არის დასვენებისა და გართობისთვის ადგილები, ისევე როგორც, სპორტული ინფრასტრუქტურა. ის, რომ სასურველია არსებული, თუნდაც სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ეს აღინიშნა სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან, თუმცა ის, რომ რაიმე განსაკუთრებული გამოწვევა დგას ახალგაზრდების წინაშე, ამას კვლევის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეები არ ადასტურებენ. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ თუნდაც შეკრებებისთვის სივრცეების სიმწირეზე მიუთითებენ უფროსი ასაკის ახალგაზრდები. მსგავსი სივრცეების არსებობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალიზაციისთვის, არამედ, ერთ-ერთი შეფასებით, არსებითია პრობლემების ადვოკატირებისთვისაც.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა და პოზიტიური განწყობისა, რაც, განსაკუთრებით სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან გამოიკვეთა, გამოწვევად დასახელდა *ბიბლიოთეკების* არარსებობა როგორც მუნიციპალურ ცენტრში, ასევე სოფლებში. ის, რომ არ არის წიგნის მაღაზია, ამასაც გაესვა ხაზი.

გამოწვევებს შორის ასევე დასახელდა *სპორტული ინფრასტრუქტურის* არარსებობა სოფლის ტიპის დასახლებებში და სიმწირე მუნიციპალურ ცენტრშიც. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სპორტდარბაზების სოფლებში გახსნა და, რაც მთავარია, მწვრთნელებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ჩაითვალა.

სოფლის ტიპის დასახლებებისთვის თუ თავად მუნიციპალური ცენტრისთვის ტრანსპორტზე დაბალ ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ გამოწვევად არ დასახელებულა ახალგაზრდების მიერ, რაზეც განსაკუთრებული ყურადღება კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან გამახვილდა. მისი შეფასებით, არათუ სოფლის ტიპის დასახლებებს აქვთ პრობლემა, არამედ მუნიციპალურ ცენტრსაც, საიდანაც გამგზავრება და ჩასვლა დღის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ შეუძლებელია დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე (ტაქსის სერვისი).

აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელ ძირითად ინფორმანტთა განსაკუთრებულ გამოწვევად აღინიშნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლებისთვის ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, რის გამოც ისინი დაღესტანში უფრო მარტივად გადადიან. გარდა იმისა, რომ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ბარიერები ხელს უშლის ინტეგრაციას, გამოწვევაა ისიც, რომ ამ ჯგუფის ინტეგრაციის მიმართულებით „არაფერი კეთდება“ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თავს ამ ქვეყნის მოქალაქეებადაც კი არ აღიქვამენ.

თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, აქ ყველაზე მწვავე პრობლემას დასაქმება წარმოადგენს, რაც თვისებრივი კვლევის შედეგებითაც დასტურდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევებად იკვეთება გართობისა და დასვენების ადგილებზე (25%), ხარისხიან სასკოლო განათლებაზე (23%), ასევე სპორტულ ინფრასტრუქტურაზე (22%) და სპორტულ წრეებზე (19%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი.

გრაფიკი 99. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის



დასაქმება

როგორც უკვე აღინიშნა, თვისებრივი კვლევის მონაწილე უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან გამოწვევებს შორის უმწვავესად უმუშევრობა და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები იკვეთება. რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც მოწმობს, რომ დასაქმებაა 58% უმთავრესი პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებთ. ამ პრობლემასთან გამკლავების ერთ-ერთ გზად დისკუსიებზე დასახელდა პროფესიული კოლეჯის არარსებობა მუნიციპალიტეტში, სადაც იმ ახალგაზრდებს მიეცემოდათ პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა, ვინც უმაღლეს სასწავლებელში ვერ ახერხებს სწავლას. ის, რომ პროფესიული გადამზადების საკითხი აქტულაურია მოწმობს რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც.

კერძოდ, პროფესიული გადამზადების კურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე 17% მიუთითებს. რაც შეეხება კარიერული დაგეგმვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მას მნიშვნელოვნად 12% ასახელებს.

რაც შეეხება უშუალოდ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დასაქმების სტატუსს, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 8% სრულ განაკვეთზე, 5% კი - ნახევარ განაკვეთზეა დასაქმებული. გამოკითხულთა 6% არის თვითდასაქმებული, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული, 4% კი - ფრილანსერია.

გრაფიკი 100. დასაქმების სტატუსი



ის, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დასაქმება რთული (49%) ან ძალიან რთულია (17%), ამ მოსაზრებას კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იზიარებს. ამასთან, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილების არსებობაა ის მთავარი ფაქტორი, რაც დასაქმებას შეუწყობდა ხელს (68%). იმ ფაქტორებს შორის კი, რაში მხარდაჭერაც ახალგაზრდებს ყვარლის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დაეხმარებოდა დასაქმებაში ორი უმთავრესი ფაქტორი იკვეთება. ესენია, პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაში (67%) და ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში (60%) მხარდაჭერა. ამასთან, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად გამოიკვეთა სტაჟირების პროგრამებსა და სამუშაო გამცოდილების დაგროვების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის არსებობაც (53%).

გრაფიკი 101. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



როგორც აღინიშნა, პროფესიული გადამზადება ახალგაზრდების დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად ჩაითვალა თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც. ამასთან, აღინიშნა, რომ როგორც სხვადასხვა პროგრამის, ასევე ზოგადად სხვა აქტივობების შესახებ ინფორმირებაა ახალგაზრდების აუცილებელი.

მიგრაცია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში დასაქმება ისეთი გამოწვევის პრევენციისთვის დასახელდა მნიშვნელოვნად, როგორიცაა მიგრაცია. როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, შიდა მიგრაციაზე არ ფიქრობს 63% (ამასთან, 55% არ ფიქრობს, 8% კი - ამ ეტაპზე არ ფიქრობს) უახლოესი 2-3 წლის მანძილზე. აქვე აღსანიშნავია, რომ, სამუდამოდ საკუთარი საცხოვრებელი ადგილის დატოვების განზრახვა აქვს ათიდან მხოლოდ ერთ ახალგაზრდას (10%).

გრაფიკი 102. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით



გარე მიგრაციის განზრახვა არ აქვს გამოკითხულთა 74%-ს და ამ ეტაპზე აღნიშნულზე არ ფიქრობს 6%. მათი რიცხვი, ვინც უახლოესი 2-3 წლის მანძილზე ქვეყნის დროებით დატოვებას ფიქრობს, 16%-ს შეადგენს. როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში, უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობაა განზრახვის მთავარი მიზეზები.

რაც შეეხება არსებული პრობლემების მოგვარებაზე მთავარ პასუხისმგებელ აქტორებს, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდები ამ აქტორად ადგილობრივ თვითმმართველობას მიიჩნევენ. ამასთანავე, თავად ახალგაზრდების პასუხისმგებლობაზეც მიუთითებენ. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ პირველ რიგში, აუცილებელია მოქალაქეებმა იცოდნენ საკუთარი უფლებების შესახებ და ჰქონდეთ ინფორმაცია, რომ აქვთ უფლება მოსთხოვონ ხელისუფლებას სხვადასხვა პრობლემის მოგვარება; ასევე, უნდა იცოდნენ, რომ აქვთ უფლება გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია და ასევე, საჯაროდ გააჟღერონ საკუთარი ინტერესები.

იმასთან დაკავშირებით, თუ რა კეთდება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, რაოდენობრივი კვლევის შედეგები ნეიტრალურად შეიძლება შეფასდეს. ათიდან თითქმის შვიდი გამოკითხული მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/ პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს (67%). მეხუთედის შეფასებით კი, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად (20%). 11%-ს გაუჭირდა აღნიშნულის შეფასება.

გრაფიკი 103. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება



გამოწვევების მიუხედავად, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით ყვარლის მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად პოზიტიურად ფასდება. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (69%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მდგომარეობის შეფასებას, ის ნაკლებად ოპტიმისტურია.

გრაფიკი 104. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთანავე, გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.1 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.2 ქულა) მდგომარეობა. რაც შეეხება ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებას, მისი შეფასებაც უფრო დადებითია და მაქსიმალური 7-დან 4.9 ქულით ფასდება.

როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის შედეგებს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული გამოწვევა ახალგაზრდებისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტში დასაქმებას უკავშირდება. შესაბამისად, აქტივობები, რომლებიც პროფესიულ გადამზადებასა თუ სხვადასხვა უნარის, პირველ რიგში, სამეწარმეო უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამასთან, გამოწვევებზე საპასუხოდ სასურველია ბიბლიოთეკების გახსნა-მოწესირგება, აგრეთვე, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც ასევე უნდა მოგვარდეს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალიტეტში უნდა არსებობდეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე ფოკუსირებულ პროგრამა თუ ცალკეული პროექტები.

1.5. სასურველი აქტივობები

სასურველ აქტივობებს შორის თვისებრივმა კვლევამ რამდენიმე საკითხი გამოავლინა, რაც იმ გამოწვევების შესაბამისია, რომლებიც კვლევისას იდენტიფიცირდა, როგორც განსაკუთრებით მწვავე. პირველი სასურველი აქტივობა, რაზეც უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან გამახვილდა ყურადღება, ახალგაზრდა მეწარმეების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ პროგრამებს ეხება, რაც დასაქმების პრობლემაზე მნიშვნელოვან რეაგირებად ჩაითვალა. გარდა სამეწარმეო უნარების განვითარებისა, მხარდაჭერაში თვითდასაქმებული ახალგაზრდა, ასევე მოიაზრებდა დამწყები მეწარმეებისთვის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავებას (მაგ: ფინანსური თუ ადამიანური კაპიტალით, კონსულტაციებით ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერა).

ასევე, სასურველად დასახელდა გართობისა და შეკრებისთვის ღია სივრცეების მოწყობა. ამასთან, არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა, რისთვისაც, მათ შორის, მსგავსი სივრცეები შეიძლება იყოს გამოყენებული. ამასთან, ამგვარ სივრცეებად მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო შენობების მოწყობის იდეაც გაჟღერდა დისკუსიებზე.

სასურველად დასახელდა ასევე ბიბლიოთეკების მოწყობა როგორც მუნიციპალურ ცენტრში, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში. ამასთან, მნიშვნელოვნად დასახელდა ფსიქოლოგის სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის. ამასთან, დასახელდა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე მწვრთნელებით წრეების უზრუნველყოფა.

სასურველ აქტივობებს შორის დასახელდა ასევე უფლებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდაზე ორიენტირებული კამპანიებისა თუ სხვა სახის პროექტების დაგეგმვა. ასევე, ერთ-ერთმა მონაწილემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვის მნიშვნელობაზე.

თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებს ვნახავთ, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის არის სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობისა (56%) და უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე (50%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკის/სამკითხველო კლუბი მნიშვნელობაზე აქაც მაღალია მოთხოვნა და მესამედი ამ სერვისს ასახელებს (32%). სივრცეები შეკრებებისთვის, რაც თვისებრივი კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით აღინიშნა, მეოთხედის მიერ სახელდება მნიშვნელოვნად (25%).

გრაფიკი 105. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



ის, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული სერვისები და მათთან წვდომაა მნიშვნელოვანი ჩანს იმითაც, რომ უცხო ენების შესწავლა დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად გამოავლინა კვლევამ ამასთან, ტრენინგ კურსებზე (14%), მეწარმეობის ხელშემწყობ სერვისებსა (7%) თუ კარიერული დაგეგმვის სერვისებზე (6%) ხელმისაწვდომობის არსებობის სასურველობაც გამოავლინა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საბანაკე პროგრამებსა (22%) და ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებზე (18%) წვდომაც მნიშვნელოვნად იკვეთება, რაც, მათ შორის, იმაზეც მიუთითებს, რომ ახალგაზრდებს გარდა სოციალიზაციისა და გართობისა, არაფორმალური განათლების მიღების სურვილიც აქვთ.[14]

[14] დეტალური თვისებრივი ანგარიში, ასევე სრული გრაფიკული ანგარიში შესაბამისი მიგნებებითა და რეკომენდაციებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით

IX

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი



ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 52%-ია ინფორმირებული;
- ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდ ნაწილს ისეთ **სერვისზე აქვს ხელმისაწვდომობა**, როგორიც ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბია (50%). ამასთან, 38%-ს დასახლებაში არცერთ სერვისზე არ მიუწვდება ხელი;
- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად უმრავლესობის მიერ (46%);
- **პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა** დაეხმარებოდა დასაქმებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (61%). ამასთან, **სტაჟირების/სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა** (58%) და **ინგლისური ენის შესწავლა/ დახვეწაში მხარდაჭერა** (48%);
- სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (54%);
- მიუხედავად **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის მისით დაკავებული. ათიდან მხოლოდ სამი რესპონდენტი მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან თითქმის ყველა დაკავებულია სპორტით(28%);
- **სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია,** ასევე **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა**, ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;
- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა სივრცეები შეკრებებისთვის (40%), ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (35%), ასევე თუ ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი (34%). ამასთან, ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები 26%-მა დაასახელა მნიშვნელოვნად;
- რეგიონში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (81%);

- გამოკითხულთა 31% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 19% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში;**

- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;

- **მოხალისეობრივ საქმიანობაში** მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის განმავლობაში 51%-ს აქვს, 49%-ს კი - არა. ამგვარი გამოცდილების არარასებობის მთავარ მიზეზებად ახალგაზრდები ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ჰქონდათ სურვილი;

- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაში**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 77% აფიქსირებს. აქაც მთავარ მიზეზებად ყველგან სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;

- ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (47%). ამასთან, 24%-ია დაინტერესებული ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით ისევე, როგორც ზოგადად პოლიტიკით საქართველოში (24%);

- ათიდან დაახლოებით ოთხ ახალგაზრდას ჩოხატაურში (37%) უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 71% მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაცულია;

- თითქმის თანაბარია რეგიონში მათი წილი, ვინც არ ფიქრობს (42%) ან ფიქრობს (43%) შიდა **მიგრაციაზე**. გარე მიგრაციაზე კი არ ფიქრობს უმრავლესობა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით (68%). შიდა მიგრაციის მთავარი მოტივი უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, გარე მიგრაციის შემთხვევაში კი - დასაქმების უკეთესი შესაძლებლობაა;

- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია და საშუალო ქულა 5.4-ს უტოლდება მაქსიმალური 7 ქულიდან;

- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში,** როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება დადებითია რეგიონში. ამასთან, პირადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი უფრო მაღალია (84%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (63%) თუ ქვეყნის (59%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 200 ახალგაზრდა. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. ფოკუსურ ჯგუფებში რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[15] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[15] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 9. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	3	200
კვლევის არეალი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, ჩოხატაურში ახალგაზრდები ინტერესდებიან საკუთარ საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებით, რამდენადაც მხოლოდ 4% ამბობს, რომ მსგავს ინფორმაციას არ იღებს. ამასთან, მუნიციპალიტეტის სოციალური გვერდი ფეისბუქში არის ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო (44%). ასევე, ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს მეგობრები/ ახლობლები (33%) წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ სოციალურ ქსელში სხვადასხვა გვერდთან ერთად (21%), მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირების მნიშვნელოვანი წყარო ახალგაზრდებისთვის ადგილობრივი მედიაა. ადგილობრივ ტელევიზიას ინფორმაციის წყაროდ გამოკითხულთა 18%, ადგილობრივ პრესას კი - 11% ასახელებს.

გრაფიკი 106. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (52%) თუ სახლს გარეთ (5%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (9%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 33%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (86%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (71%) იყენებს.

კვლევის მონაწილეთა მესამედის შეფასებებით, მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებულია (31%). ნეიტრალურია აღნიშნულის შეფასება 26%-ის მიერ. 33%-ის შეფასებით კი, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები არ არის/საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

გრაფიკი 107. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=200

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით ახალგაზრდები ყურადღებას ამახვილებდნენ პანდემიით გამოწვეულ რეალობაზე, რის გამოც აქტივობები თითქმის არ ტარდება. თუმცა, პანდემიის მიღმაც, კვლევის მონაწილეები მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა სიმცირეზე მიუთითებენ. ის აქტივობები, რომლებიც მათ გაიხსენეს, სპორტული (შეჯიბრებები), საქველმოქმედო, გარემოსდაცვითი (დასუფთავების აქცია) ღონისძიებებია. ასევე აღინიშნა ერთეულ შემთხვევებში კონცერტისა და „ფერების ფესტივალის“ ორგანიზება, თუმცა ამ აქტივობებს არ აქვს ხშირი და მასშტაბური ხასიათი და არც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მეტიც, დისკუსიებზე აღინიშნა, რომ აქტივობები ძირითადად *სკოლის ასაკის* ახალგაზრდებისთვისაა ორგანიზებული და უფროს ასაკზე ნაკლებადაა ორიენტირებული. გარდა ამისა, აქტივობები უმეტესად *მუნიციპალურ ცენტრში* ტარდება, რაც განსაკუთრებული გამოწვევაა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს დამატებით დროით და ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული. მითუმეტეს იმ პირობებში, რომ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

რაც შეეხება აქტივობებით დაინტერესებასა და მონაწილეობას, როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, განსაკუთრებით დიდია ინტერესი სპორტული აქტივობების მიმართ, მათ შორის სოფლებშიც. საგულისხმოა, რომ სპორტული აქტივობებიც ძირითადად სკოლის მოსწავლეთათვის იგეგმება და უმეტესად მუნიციპალურ ცენტრში. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, სკოლის ასაკის ახალგაზრდების შედარებით მაღალი ჩართულობა და ინტერესი მსგავსი აქტივობებისადმი იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ სკოლა „ავალდებულებს“ მოსწავლეებს სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობას. გარდა ამისა, ამ ასაკის ახალგაზრდებს აქვთ დროის რესურსი და, ნაწილობრივ, ინტერესიც. უფროსი ასაკის ახალგაზრდებს კი თავისუფალი დრო ნაკლებად აქვთ, განსაკუთრებით დასაქმებულებსა და დაქორწინებულებს. გარდა დროის დეფიციტისა, უფროსი ასაკის ახალგაზრდების შემთხვევაში ყველაზე დიდ გამოწვევად მაინც ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქტივობები არ არის მათ ინტერესებზე მორგებული, ნაკლები დროისა და მოტივაციის პირობებში კი, თავადაც არ იჩენენ შესაბამის ინიციატივას.

მოსაზრება, რომ აქტივობებში უმეტესად სკოლის ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობენ დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებითაც. მთავარი არგუმენტის თანახმად, მუნიციპალიტეტში უფროსი ასაკის ახალგაზრდები ნაკლებად რჩებიან, შესაბამისად, არც აქტივობებში მათი ჩართულობაა მაღალი. თავად ორგანიზებაც აქტივობების უფროსი ახალგაზრდებისთვის,

ძირითადად სპორტულ ღონისძიებებს გულისხმობს. თუმცა, აქვე ისიც აღინიშნა, რომ ეს სპორტული აქტივობები არა 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებს მოიცავს მხოლოდ, არამედ ნებისმიერი ზრდასრული ასაკის ადამიანს.

გარდა ამისა, არსებულ აქტივობებში ჩართულობის თვალსაზრისით აღინიშნა, რომ ერთი მხრივ, ზოგადად აქტივობების სიმწირეც განაპირობებს დაბალ ჩართულობას, მეორე მხრივ კი, აქტივობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაც, რაც ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ ინფორმირებას გულისხმობს, რაც აქტივობა უკვე დასრულებულია.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს, ფოკუსური დისკუსიებისას აღინიშნა შემთხვევები, როდესაც აქტივობის ორგანიზატორები თავად ახალგაზრდები იყვნენ. ამის მაგალითად, ძირითადად, სპორტული აქტივობების ორგანიზება იყო მოყვანილი. თუმცა, ზოგადი შეფასებით, ინიციატივების გამოჩენა ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკაა. ამ ნარატივების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაოდენობრივი კვლევის შედეგები ოპტიმისტურია, რამდენადაც იქ გამოკითხულთა 41% თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობების ინიციატორები თავად ახალგაზრდები არიან. ადგილობრივ მუნიციპალიტეტზე 28%, არასამთავრობო სექტორზე კი, როგორც აქტივობათა ინიციატორზე - 16% მიუთითებს.

გრაფიკი 108. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



რაც შეეხება იმას, რამდენად სმენიათ რესპონდენტებს იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა ნახევარი მსგავს ინფორმაციას არ ფლობს (52%), 34%-ს კი სმენია მათ შესახებ, თუმცა არც მონაწილეობა მიუღია და არც რომელიმე სერვისით უსარგებლია. ის პროგრამები და სერვისები კი, რომელთა შესახებაც ყველაზე მეტ ახალგაზრდას სმენია, ბანაკებს/საზაფხულო სკოლებს, ასევე სპორტულ პროგრამებს უკავშირდება.

გრაფიკი 109. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



რაც შეეხება იმას, თუ რამდენად პასუხობს თუ არა აქტივობები ახალგაზრდების ინტერესებს, თვისებრივი კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებები არცთუ პოზიტიურია. („უმეტესად არ პასუხობს“). იმის გათვალისწინებით, რომ თავად ახალგაზრდებს „უმეტესწილად არც ეკითხებიან“ მათი საჭიროებების შესახებ და ამ ინფორმაციის გარეშე გეგმავენ აქტივობებს, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებულად ისინი ვერ ჩაითვლება. ამასთან, კვლევის ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ძირითადად დღესასწაულებს (მაგ: დოღი, კონცერტი, ბავშვთა დღისადმი მიძღვილი ღონისძიება) უკავშირდება და სავსებით რეალისტურია, რომ ისინი ყოველთვის შესაძლებელია არც იყოს ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ გადაწყვეტილების მიღებასა თუ სხვადასხვა პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა არცთუ მაღალია. მართალია, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდებმა გაიხსენეს შემთხვევები, როცა აქტივობების ორგანიზატორები თავად ყოფილან და ამის მაგალითად უმეტესად საქველმოქმედოაქციაანგარემოსდაცვითიღონისძიებაიყოგანხილული,თუმცაზოგადადახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა პროცესში შეფასდა როგორც საშუალო და საშუალოზე დაბალი. ასევე აღინიშნა არასამთავრობო ორგანიზაციის, კერძოდ, „წითელი ჯვრის“ მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო აქტივობებში მოხალისეობრივად ჩართვის პრაქტიკები. საყურადღებოა, რომ ახალგაზრდების აქტიურობა განსაკუთრებით დაბალია ინიციატივების გამოჩენის თვალსაზრისით, შედარებით მაღალი კი დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობაა. აქ ხაზგასასმელია ცნობიერებასთან დაკავშირებული გამოწვევა. ჩართულობაზე საუბრისას ახალგაზრდები რეალურად სამოქალაქო აქტივიზმს, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა თუ სხვა პროცესებში მონაწილეობას როდი გულისხმობენ. ჩართულობის მაგალითად ხშირად უბრალოდ სხვადასხვა სახის აქტივობაში მონაწილეობაა მიჩნეული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების 32% მიიჩნევს, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდები ახდენენ გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ადგილობრივ დონეზე, ამასთან 27%-ის შეფასება ნეიტრალურია, 31%-ისა კი - ნეგატიური (ვერ ახდენენ გავლენას - 21%, საერთოდ ვერ ახდენენ გავლენას - 10%). ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ კვლევის მონაწილეთაგან, ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა 18%-მა მიიღო და ეს უმეტესად გულისხმობდა მონაწილეობას შეხვედრებში თუ საკითხების განხილვაში.

გრაფიკი 110. შეფასება, რამდენად ახდენენ რესპონდენტთა მსგავსი ახალგაზრდები გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



N=200

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (93%) ისეთ სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობას, როგორიც მოხალისეობაა, მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად აფასებს. ბოლო 1-2 წლის მანძილზე მსგავს აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილებაც გამოკითხულთა ნახევარს აქვს (51%). ყველაზე მეტი გამოკითხულის, 26%-ის მოხალისეობრივი აქტივობა საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას უკავშირდება. 22%-ს გამწვანების აქციაში, 18%-ს კი - სპორტულ აქტივობაში მიუღია მონაწილეობა.

გრაფიკი 111. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე



N=200

მოხალისეობისგან განსხვავებით, უფრო დაბალია სხვადასხვა პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მნიშვნელოვნად/ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა უმრავლესობამ (84%). სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილება ათიდან თითქმის რვა გამოკითხულს არ აქვს (77%). აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (44%). ამასთან, 29% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მეხუთედი კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის (20%).

გრაფიკი 112. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მიზეზები



ამასთან, რესპონდენტთა მესამედის შეფასებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში (31%) და ასევე მესამედის აზრით, მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობაში (30%). ამსთან, 19%-ის აზრით, ახალგაზრდები მათ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო აქტივობებში არ მონაწილეობენ.

გრაფიკი 113. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ



დაბალი სამოქალაქო აქტივობის მთავარ მიზეზად გამოკითხულები იმას მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა (36%). მეოთხედი იმასაც ასახელებს მიზეზად, რომ მუნიციპალიტეტში არ იგეგმება აქტივობები, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება (24%), 15%-ის შეფასებით კი მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობაში.

თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მცირე ჯგუფზე შეიძლება საუბარი, რომელიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა და ხშირად ერთვება პროცესებში. ის, რომ ძირითადად ერთი და იგივე ახალგაზრდების ჯგუფი აქტიურობს ხაზი გაესვა კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთანაც. მისი შეფასებით, ე.წ. წარჩინებული, „ხუთოსანი“ მოსწავლეები აქტიურობენ და მონაწილეობენ შემეცნებით თუ სხვა სახის ღონისძიებებში და ადგილობრივი თვითმმართველობაც მათ იწვევს. ხაზგასმული იყო, რომ მუნიციპალიტეტი და შესაბამისი სამსახური არაფერს აკეთებს სხვა ახალგაზრდების გასააქტიურებლად, რადგან ეს არის ერთგვარი „კომფორტის ზონა“, საიდანაც გასვლაზე ადგილობრივი თვითმმართველობა ნაკლებად ფიქრობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის შეფასებითაც, ჩართულობა მუნიციპალიტეტში დაბალია. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში იშვიათად თუ ერთვებიან ახალგაზრდები და ისიც, უმეტესად, შეხვედრაზე დასწრებას უფრო გულისხმობს, ვიდრე რეალურ ჩართულობას. რაც შეეხება კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მათთან ახალგაზრდების დაბალი ჩართულობის მთავარ მიზეზად *გაუცნობიერებლობა* დასახელდა. მთავარი არგუმენტის თანახმად, ახალგაზრდებმა არ იციან, რომ შეიძლება ჩაერთონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ ფლობენ ინფორმაციას შესაბამისი უფლების

იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდებმა არ იციან ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ და არ ფლობენ ინფორმაციას შესაბამისი უფლების თაობაზე, ყურადღება გამახვილდა კვლევის მონაწილე ახალგაზრდებთანაც.

ახალგაზრდების დაბალი ჩართულობისა და დაბალი სამოქალაქო აქტივიზმის კიდევ ერთ მიზეზად თვისებრივი კვლევის მონაწილეთა მოსაზრებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მცდელობის წარუმატებელი შემთხვევებია, რაც ახალგაზრდების დემოტივაციას და *ნიჰილიზმს* იწვევს.

ჩართულობისა და სამოქალაქო აქტიზმის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. როგორც აღმოჩნდა, იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები არის ის ღირებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელობს ახალგაზრდებისთვის. მისი შეფასება მაქსიმალური 7-დან მხოლოდ მხოლოდ 2.9 ქულაა. ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარს (47%), ყველაზე მეტს კი აინტრესებს ზოგადად პოლიტიკა საქართველოში (24%), ასევე საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა (24%).

მიუხედავად ჩართულობის დაბალი მაჩვენებლისა, ის, რომ სამოქალაქო აქტივიზმი მნიშვნელოვანია ახალგაზრდების შეფასებით, უჩვენა როგორც რაოდენობრივმა, ასევე თვისებრივმა კვლევამაც. ამ კონტექსტში არსებითია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება როგორც ჩართულობის მნიშვნელობის, ასევე კონკრეტული მექანიზმების თაობაზე. ამასთან, კვლევის ფარგლებში გაჟღერებული კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, ახალგაზრდების ჩართულობისა და დაინტერესების გასაზრდელად მნიშვნელოვანია მხარდაჭერილი ინიციატივებისა და წარმატებული მაგალითების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რამაც ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი მოტივატორის ფუნქციას შეიძლება შეასრულებს.

1.3. უფლებები

კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს უფლებებთან დაკავშირებული საკითხები და აღმოჩნდა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 37%-ს არცერთი უფლების შესახებ არ სმენია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 71% მიიჩნევს, რომ მისი უფლება დაცულია, 24%-ის შეფასებით კი, მისი უფლება ნაწილობრივაა დაცული.

კვლევის მონაწილე როგორც ფოკუსური დისკუსიების მონაწილეებმა, ასევე ძირითადმა ინფორმანტებმაც შეაფასეს, თუ რამდენადაა დაცული ახალგაზრდების უფლებები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების უფლებების დარღვევაზე ან ნაწილობრივ დაცულობაზე თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდებიც ნაკლებად მიუთითებენ, თუმცა მაინც გამოიკვეთა რამდენიმე უფლება, რომლის დარღვევა ან შეზღუდვა კვლევის მონაწილეთა აზრით გამოწვევაა. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა განტვირთვისა და დასვენებისთვის შესაბამისი პირობების არარსებობას უკავშირდება, რაც პირდაპირ კავშირშია რეკრეაციული ზონების გაუმართაობასთან. გარდა ამისა, აღინიშნა განვითარების უფლების შეზღუდვა. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრებით, ის, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს სათანადო სპორტული ინფრასქტურქტურა, ზღუდავს იმ ახალგაზრდების უფლებას განვითარდნენ შესაბამისი მიმართულებით, ვისაც ამის ინტერესი აქვს. განვითარების უფლების შეზღუდვა შეიძლება დავუკავშიროთ განათლების უფლების შეზღუდვასაც, რასთან დაკავშირებითაც კვლევის მონაწილეები არაერთ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას, იქნება ეს ბიბლიოთეკებისა თუ შესაბამისი წიგნადი ფონდის არარსებობა, ასევე სკოლაში არასათანადო პირობების არსებობა.

გარდა ამისა, ფოკუსურ დისკუსიებზე აღინიშნა შშმ პირების უფლებების შეზღუდვა, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო გადაადგილების უფლების შეზღუდვასთან. კერძოდ, არაადაპტირებული გარემოს არსებობა ართულებს მათ გადაადგილებას და, რიგ შემთხვევებში, ხელს უშლის კონკრეტული სერვისით სარგებლობაში. ასევე, გამოწვევად შეფასდა შშმ პირებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, კვლავ იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსპორტო საშუალებები არ არის შესაბამისად ადაპტირებული.

ამასთან, თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შორის ასევე გაჟღერდა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები. როგორც ახალგაზრდებმა აღნიშნეს, არცთუ იშვიათია ფაქტები, როდესაც მათ არ უსმენენ, შესაბამისად, არ ითვალისწინებენ მათ აზრს მხოლოდ ახალგაზრდა ასაკის გამო. აქვე ხაზგასასმელია, რომ ამ ნიშნით დისკრიმინაცია უშუალოდ რომელიმე უფლების დარღვევად შეფასებული არ ყოფილა.

რაც შეეხება კვლევის მონაწილე ძირითადი ინფორმანტების შეფასებას უფლებებთან დაკავშირებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების უფლებები დაცულია და რთულად შეიძლება ისეთი უფლების გახსენება, რომლებიც ნაკლებადაა დაცული ან ირღვევა. თუმცა, ძირითად ინფორმანტებთან არასამთავრობო სექტორიდან აღინიშნა ხარისხიანი განათლების მიღებისა და გადაადგილების უფლების შეზღუდვა.

1.4. გამოწვევები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების რამდენიმე განსაკუთრებულად პრობლემურ საკითხზე გამახვილდა ყურადღება თვისებრივი კვლევის ფარგლებში. დისკუსიების მონაწილე ყველა ასაკობრივ ჯგუფში მწვავე საკითხად ზოგადად სხვადასხვა *აქტივობასა და წრეზე დაბალი ხელმისაწვდომობა* დასახელდა. იგულისხმება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები და ტრენინგები, ასევე გასართობი ღონისძიებები.

პრობლემად გამოიკვეთა *ბიბლიოთეკის არარსებობა* ან, არსებობის შემთხვევაში, წიგნადი ფონდის სიმწირე, რაც მუნიციპალური ცენტრისთვისაც აქტუალურია. კიდევ უფრო მწვავედ დგას საკითხი სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. როგორც აღინიშნა, ბიბლიოთეკის არსებობის შემთხვევაშიც კი გამოწვევაა წიგნების სიმწირე.

გრაფიკი 114. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის

კიდევ ერთ გამოწვევად *ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა* დასახელდა. იგულისხმება სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეკრებას, კომუნიკაციას და გართობას შეძლებენ. გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრებით, ასეთ სივრცეებში ასევე შეიძლება მოვიაზროთ სტადიონები, სკვერები და ა.შ. ანუ რეკრეაციული სივრცეები. შეკრების სივრცეების არარსებობის გამო, ფოკუსურ დისკუსიაზე გაჟღერებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ახალგაზრდებს შესაკრებად მიტოვებული ადგილების და ნახევრად დანგრეული შენობების გამოყენება უწევთ. აღნიშნული კი, არცთუ უსაფრთხოა, თუმცა, ალტერნატივის არარსებობის პირობებში ამგვარი ადგილების გამოყენების პრაქტიკაა გავრცელებული.

ის, რომ შეკრებებისა და დასვენებისთვის საჭირო სივრცეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა იმ გამოწვევებს შორის, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივმა კვლევამაც გამოავლინა (20%).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში პრობლემად გამოიკვეთა *სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობაც*. იმ მცირე შემთხვევებში, სადაც სპორტული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვომია, ძირითადად არ არის გამოყენებისთვის შესაბამისი. ზოგადად სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობა განსაკუთრებულ გამოწვევად იდენტიფიცირდა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. სპორტულ წრეებსა (16%) და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე (19%) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა რომ მნივნელოვანია გამოავლინა რაოდენობრივმა კვლევამაც.

კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევად თვისებრივი კვლევის ფარგლებში შეფასდა *ტრანსპორტზე* შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის ტიპის დასახლებებისთვის და რაზეც რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 13%-იც მიუთითებს. გარდა ამისა, აღინიშნა *ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა* სოფლის ტიპის დასახლებებში.

დასაქმება

მიუხედავად ბევრი სხვა გამოწვევისა, როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, გამოწვევა, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში დასაქმებას უკავშირდება, რამდენადაც მას ყველაზე მეტი ახალგაზრდა ასახელებს პრობლემათა რიცხვი, რომელიც საჭიროებს მოგვარებას (46%). ამ პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ახალგაზრდების მიერ. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე საკვანძო საკითხზე: ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი სოფლის ტიპის დასახლებებში, ზოგადად სამუშაო ადგილების სიმწირეა ნებიმისმიერ სფეროში. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მოსაზრებით, დასაქმების ორი ყველაზე გავრცელებული ადგილი არის კონსულტანტის პოზიცია მაღაზიებში და ჩოხატაურში არსებული ორი საწარმო, თუმცა ორივე შემთხვევაში გამოწვევად დასახელდა დაბალი ანაზღაურება, რაც კვლევის მონაწილეთა შეფასებით, იმ დატვირთვისთვის შეუსაბამოა, რაც ამ პოზიციებზე მოეთხოვებათ. გამოწვევაა ისიც, რომ დამსაქმებლის კაბალურ პირობებს დასაქმებულები იშვიათად აპროტესტებენ და მაინც თანხმდებიან დაბალ ანაზღაურებას მაღალი სამუშაო დატვირთვის პირობებში.

დასაქმების თვალსაზრისით დამატებით ბარიერად დასახელდა სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, როგორც დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა. აღნიშნული განსაკუთრებული გამოწვევაა პირველი სამუშაოს მაძიებელთათვის, რომელთაც პრაქტიკულად არ ეძლევათ სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც სტაჟირების პროგრამებია ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული. უნდა აღინიშნოს, რომ სტაჟირების პროგრამებზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც მოსაგვარებელი საკითხი რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 13%-ის მიერაც აღინიშნა.

გარდა იმისა, რომ ნეპოტიზმიც სახელდება ბარიერად დასაქმებისთვის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული გადამზადებისა (16%) და კარიერული დაგეგმვის (13%) სერვისის საჭიროებაც აქტუალური საკითხია. ეს ჩანს თვისებრივი კვლევის შედეგებითაც, სადაც დასაქმების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე ყურადღება გაამახვილეს კვლევის მონაწილე ძირითადმა ინფორმანტებმაც. კერძოდ, უფროსი ასაკის ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევაზე, დასაქმებაზე რეაგირების კონტექსტშიაღინიშნა,რომროგორცჩოხატაურის,ასევეოზურგეთისმუნიციპალიტეტებშიფუნქციონირებს კარიერული დაგეგმვისა და დასაქმების ცენტრები. კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის შეფასებით, ცენტრები მიმართულია ახალგზრდებისთვის კომპეტენციებისა და ახალი ცოდნების გადაცემაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო აქტივობები ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების შესწავლასთან ერთად, მეწარმეობის განვითარებაზეცაა ორიენტირებული. თუმცა, აქვე, აღსანიშნავია, რომ მსგავსი სერვისის არსებობაზე კვლევის მონაწილე ახალგაზრდებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ, რაც შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ აუცილებელია მათი ინფორმირება მსგავსი სერვისის არსებობის თაობაზე.

დასაქმების პრობლემაზე რეაგირების კონტექსტში ასევე აღინიშნა, რომ არსებითია ადგილობრივ თვითმმართველობასა და მესამე სექტორს შორის კოორდინირებული მუშაობა. ერთ-ერთი შეფასებით, გამოწვევაა არა მხოლოდ სამუშაო ადგილების სიმწირე, არამედ მუშახელის სიმწირეც. მეტიც, კვლევის მონაწილე ერთ-ერთი ძირითადი ინფორმანტის შეფასებით, პროფესიულ კადრებზე (მაგ: ელექტროშემდუღებელი, ტრაქტორისტი) მოთხოვნა არსებობს და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის მესამე სექტორს შეუძლია. აქ არსებითად ჩაითვალა ის, რომ თავად ადგილობრივმა თვითმმართველობამ იმუშაოს სამუშაოს მაძიებელთა ბაზის შექმნაზე, რათა მოხდეს ამ უკანასკნელთა დაკავშირება დამსაქმებლებთან. ამ თვალსაზრისით აღინიშნა სოფლად მერის წარმომადგენლის გააქტიურება და მისი დახმარებით შესაბამისი ბაზის შექმნის აუცილებლობა.

გრაფიკი 115. დასაქმების სტატუსი



უშუალოდ სამუშაო სტატუსს რაც შეეხება, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 9% სრულ განაკვეთზე, 1% კი - ნახევარ განაკვეთზეა დასაქმებული. 2% არის თვითდასაქმებული, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაშია ჩართული, 2% კი - ფრილანსერია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის დასაქმება რომ რთული (36%) ან ძალიან რთულია (39%), ამ მოსაზრებას კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა იზიარებს. ამასთან, დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილების არსებობაა ის მთავარი ფაქტორი, რაც დასაქმებას შეუწყობდა ხელს (71%). რაც შეეხება იმ ფაქტორებს შორის, რაში მხარდაჭერაც ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დაეხმარებოდა დასაქმებაში, ორი უმთავრესი ფაქტორი იკვეთება. კერძოდ, პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლებაში (61%) და სტაჟირების პროგრამებსა და სამუშაო გამცოდილების დაგროვების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის არსებობა (58%). ამასთან, გამოკითხულთა 45% თვლის, რომ ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერაა ის, რაც ახალგაზრდებს დასაქმებაში დაეხმარებოდა მათ მუნიციპალიტეტში.

გრაფიკი 116. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



მიგრაცია

აღსანიშნავია, რომ დასაქმების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს თვისებრივი კვლევის მონაწილეები მიგრაციის პრობლემასაც უკავშირებენ იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმების მიზნით სხვა მუნიციპალიტეტსა თუ ქალაქში გადასვლა გავრცელებული პრაქტიკაა, საიდანაც დაბრუნების სურვილი ახალგაზრდებს ნაკლებად უჩნდებათ. ნარატივებში მსგავსი შეფასებების მიუხედავად, რაოდენობრივი კვლევის შედეგებით მიგრაციასთან დაკავშირებული ზრახვები არაცალსახაა, რამდენადაც მსგავსი რაოდენობა ახალგაზრდებისა მიუთითებს იმაზე, რომ ფიქრობს 2-3 წლის პერსპექტივაში დროებით შიდა მიგრაციაზე (43%) ან არ აქვს მსგავსი განზარხვა (42%).

გრაფიკი 117. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ გარე მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით არ აქვს გამოკითხულთა 68%-ს. თუმცა, მათი რიცხვი, ვინც ქვეყნის დროებით დატოვებას ფიქრობს 23%-ია. როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში, უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა, ასევე უკეთესი ცხოვრების პირობებია განზრახვის მთავარი მიზეზები. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ შიდა მიგრაციის მთავარი მოტივი უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, გარე მიგრაციის შემთხვევაში კი - დასაქმების უკეთესი შესაძლებლობაა, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს თვისებრივი კვლევის მონაწილეთა არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მიგრაცია პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაზე ძირითადი პასუხისმგებელი, აქ მთავარ აქტორად თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა ადგილობრივი თვითმმართველობა მიიჩნიეს. იმასთან დაკავშირებით კი, თუ რა კეთდება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, რაოდენობრივი კვლევის შედეგები ნეიტრალურად ან ნაკლებად დადებითად შეიძლება შეფასდეს. გამოკითხულთა 55% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს, მესამედის შეფასებით კი, თვითმმართველობა საერთოდ არაფერს აკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად (28%). ამასთან, 14%-ს გაუჭირდა აღნიშნულის შეფასება.

გრაფიკი 118. პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება

ამრიგად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოწვევები ახალგაზრდებისთვის საკმარისადაა. ისინი როგორც გართობისა და არაფორმალური განათლებისთვის შესაბამისი პირობების არასებობას, ასევე სპორტულ აქტივობებში ჩართვისთვის ინფრასტრუქტურის გაუმართაობას უკავშირდება. სოფლის ტიპის დასახლებებისთვის კიდევ უფრო რთულია ვითარება, რამდენადაც იქ დამატებით პრობლემებს ტრანსპორტსა და ინტერნეტზე შეზღუდული წვდომა ქმნის. თუმცა, ყველაზე მწვავეა დასაქმების პრობლემა, რაც, თავის მხრივ, მიგრაციაზეც ახდენს გავლენას.

მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პოზიტიურად ფასდება. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (84%). რაც შეეხება მუნიციპალიტეტისა (63%) და ქვეყნის (59%) მდგომარეობის შეფასებას, ის ნაკლებად ოპტიმისტურია, თუმცა, მაინც მაღალია.

გრაფიკი 119. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამასთანავე, გამოკითხულთა მიერ პოზიტიურად ფასდება საკუთარი როგორც ფიზიკური (4.0 ქულა მაქსიმალური 5-დან), ასევე ფსიქიკური (4.2 ქულა) მდგომარეობა. ამასთან, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებაც მაღალია და მაქსიმალური 7-დან 5.4 ქულით ფასდება.

1.5. სასურველი აქტივობები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სასურველ აქტივობებსა თუ პროექტებზე. კერძოდ, ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა *გასართობ ღონისძიებებზე*, რომელიც ახალგაზრდებს განტვირთვის, გართობისა და პრობლემების დავიწყების საშუალებას მისცემდა (მაგ: კონცერტი, მუსიკალური ფესტივალი, მინი კონკურსი). კვლევის მონაწილეთა აზრით, ეს შეიძლება ახალგაზრდებს პირდაპირ რომელიმე პრობლემას არ უგვარებდეს, მაგრამ მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი გახალისებისა და რეალობის შემსუბუქებისთვის. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეთა ნაწილის შეფასებით, მასშტაბური გასართობი ღონისძიებების ორგანიზებით შესაძლებელი იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისა თუ რეგიონების დაინტერესება და მოზიდვაც.

სასურველ აქტივობებს შორის ასევე გამოიკვეთა *გასართობი და შემეცნებითი ბანაკების* არსებობის სასურველობა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, რაც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს დრო ნაყოფიერად გაატარონ. ასევე, ეს იქნება ახალი ადამიანების გაცნობისა და მეგობრების შეძენის შესაძლებლობა.

თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგებსაც ვნახავთ, სერვისებს შორის, რომლის არსებობაც დასახლებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებიუსთვის 40% შეკრებებისთვის სივრცეების არსებობაზე, 19% კი - საბანაკე პროგრამების არსებობაზე მიუთითებს.

კიდევ ერთ სასურველ აქტივობად *სპორტული ღონისძიებების* ორგანიზება გამოიკვეთა, რაც სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებისა და ჩემპიონატის მოწყობაში შეიძლება გამოიხატოს. სპორტული ღონისძიებების გარდა, აღინიშნა *სპორტული ინფრასტუქტურის* მოწყობის საჭიროებაც. ის, რომ სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასტურდება რაოდენობრივი კვლევითაც, სადაც 54% გამოკითხულებისა მიიჩნევს, რომ ეს არის სერვისი, რაზეც დასახლებაში წვდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სასურველ აქტივობებს შორის ასევე გამოიკვეთა *ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების* საჭიროებაც, რაც, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. წიგნადი ფონდის გამდიდრების კვალდაკვალ აღინიშნა ისეთი აქტივობების საჭიროებაც, როგორიცაა დარბაზი დებატებისთვის და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიება. ბიბლიოთეკისა და სამკითხველო კლუბის, როგორც სერვისისთვის, რომლის არსებობას დასახლებაში ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია გამოავლინა რაოდენობრივმა კვლევამაც. აღნიშნულის მნიშვნელობაზე გამოკითხულთა 34%-მა მიუთითა.

ამასთან საგულისხმოა ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის აღნიშვნაც, რაც დასაქმების პრობლემას პასუხობს პირდაპირ თუ ირიბად. კერძოდ, უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე (35%), ასევე სხვადასხვა ტიპის ტრენინგზე (13%), მეწარმეობის ხელშეწყობისა (8%) და კარიერული დაგეგმვის (7%) სერვისებზე ხელმისაწვდომობა სწორედ იმ დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევაზე რეაგირებისთვის შეიძლება ჩაითვალოს არსებითად. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ გამოკითხულთა მეოთხედი ისეთ სერვისს ასახელებს მნიშვნელოვნად, როგორიც ახალგაზრდული საქმიანობის სერვისია (26%).

გრაფიკი 120. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



გარდა ამისა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში აღინიშნა სკოლაში შესაბამისი ინფრასტუქტურის მოწესრიგება, მასწავლებლების გადამზადება და მათი ციფრული კომპეტენციების განვითარება. ასევე სასურველად დასახელდა კინოსა და მოყვარულ მსახიობთა თეატრის ამოქმედება. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის მიერ ასევე აღინიშნა შშმ პირებისთვის შეკრების ადგილის შეთავაზება, სადაც მათ იდეების გაზიარების, მათზე მორგებული სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და ახალი ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა ექნებოდათ.

ზემოაღნიშნული აქტივობების სასურველობას ახალგაზრდები იმ საჭიროებებით ხსნიან, რომლებიც მათ ყველაზე მეტად აწუხებთ. ამასთან, ამ აქტივობებისა თუ პროექტების რეალიზება ახალგაზრდების ინტერესებზე შესაბამისი რეაგირება იქნება, რაც ახალგაზრდების არა მხოლოდ „გახალისებას“ გამოიწვევს, არამედ ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და გააჩენს მეტ მოტივაციას მეტად იყვნენ ჩართულები პროცესებში.[16]

[16] დეტალური თვისებრივი ანგარიში, ასევე სრული გრაფიკული ანგარიში შესაბამისი მიგნებებითა და რეკომენდაციებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით

X

ხობის მუნიციპალიტეტი



ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდობის **მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების** მაჩვენებელი მინუციპალიტეტში დაბალია. ათიდან ექვსმა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (60%);
- ახალგაზრდებისთვის დიდ ნაწილს **სხვადასხვა სერვისზე აქვს ხელმისაწვდომობა**, თუმცა, აღსანიშნავია, რომ არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა ახალგაზდების 32%-ს ხობის მუნიციპალიტეტში;
- **ყველაზე სერიოზული გამოწვევა** ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად (61%);
- **პროფესიული** და **ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობასათან** ერთად, დასაქმებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად *ინგლისური ენის ცოდნა* იკვეთება. აღნიშნულზე, ათიდან, სულ მცირე, სამი ახალგაზრდა მაინც მიანიშნებს (35%);
- **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის** უზრუნველოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (55%);
- **სპორტით/ფიზიკური აქტივობით** დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის** უზრუნველოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (55%). ამასთან, მიუხედავად სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ არის მისით დაკავებული (58%);
- **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა, სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა,** ასევე **ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია** ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;
- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ **სერვისებზე ხელმისაწვდომობის** მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (36%), სივრცეები შეკრებებისთვის (44%) თუ სახელოვნებო/კულტურის წრეები (28%). განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიბლიოთეკაზე ხელმისაწდვომობა მნიშვნელოვნად შეფასება 35%-ის მიერ;
- რეგიონში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (93%);

- რეგიონში ახალგაზრდების არ მონაწილეობენ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** (93%). ამასთან, 48% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში **აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს**, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ასევე, 14% მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში **ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში;**
- **დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად** სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;
- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა **მოხალისეობრივ საქმიანობაში**. მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე 59%-ს. ახალგაზრდები აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ყველგან ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ქონდათ სურვილი;
- დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა **სამოქალაქო აქტივობაშიც**. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 64% აფიქსირებს. აქაც მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- ახალგაზრდებისთვის ყველა მუნიციპალიტეტში ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ **პოლიტიკურად ჩართულები** და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი **პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული** (61%);
- ახალგაზრდების 32%-ს უჭირს დაასახელოს ერთი **უფლება** მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 84% მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაცულია;
- როგორც შიდა, ასევე გარე **მიგრაციის** განზრახვა დაბალია. 61% არ ფიქრობს შიდა მიგრაციაზე და 85% არ ფიქრობს გარე მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს. უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და უკეთესი ცხოვრების პირობებს უკავშირდება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში;
- **საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება** ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია და 5.4 ქულას შეადგენს მაქსიმალური 7-დან;
- **უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში**, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (93%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (75%) თუ ქვეყნის (77%) შემთხვევაში.

მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანია** შეისწავლოს ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები და ინტერესები ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნულის შესასწავლად განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება
- ახალგაზრდების ინტერესების, მოტივაციისა და მოლოდინების იდენტიფიცირება
- გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებების რეალიზების თვალსაზრისით
- იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა გაფართოებაც გაამჯობესებდა სხვადასხვა აქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა კვლევის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს (1) რაოდენობრივი და (2) თვისებრივი კვლევის ჩატარებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა და ხობის მუნიციოალიტეტში გამოიკითხა 150 ახალგაზრდა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ფოკუსური ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების ტექნიკები. სულ ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუსური დისკუსია და 3 სიღრმისეული ინტერვიუ. *ფოკუსური ჯგუფებში* რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ასაკი (14-17, 18-23, 24-29 წლის ჯგუფები); სქესი; დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი); განათლება; სამუშაო გამოცდილება; სოციალური ჯგუფი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი).

რაც შეეხება *სიღრმისეულ ინტერვიუებს*, ისინი ჩატარდა ძირითად ინფორმანტებთან,[17] რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობას. კერძოდ, რესპონდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ორი ინტერვიუ კი ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

Covid 19-ის გავრცელების გამო სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუსური დისკუსიები ჩატარდა ონლაინ რესპონდენტისთვის მისაღებ დროსა და ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

[17] ძირითადი ინფორმანტი - პირი, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუსთვის მიზნობრივადაა შერჩეული და წარმოადგენს კვლევის საკითხთან დაკავშირებით ყველაზე გაცნობიერებული ადამიანების ჯგუფს.

ცხრილი 10. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი

ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	პირისპირ ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	14-29 წლის ახალგაზრდები: 1. 14-17 წელი 2. 18-23 წელი 3. 24-29 წელი	1. ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში **(1 ინტერვიუ)** 2. სამოქალაქო სექტორის (არასამთავრობო) წარმომადგენელი, რომელიც მუშაობას ახალგაზრდობის საკითხებზე **(2 ინტერვიუ)**	14-29 წლის ახალგაზრდები
რაოდენობა	3	3	150
კვლევის არეალი	ხობის მუნიციპალიტეტი		
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი	შემთხვევითი
დისკუსიის ხანგრძლივობა	1.5-2 საათი	30-40 წუთი	45-50 წუთი

დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის თვისებრივი კომპონენტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დაინტერესებული მხარეების მიერ სამომავლო აქტივობების დასაგეგმად.

1. კვლევის შედეგები

1.1 ახალგაზრდული აქტივობები

ხობის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები ინფომაციას საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელიდან (42%) და მეგობრების/ახლობლებისგან (39%) იღებენ.

გრაფიკი 121. მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების წყარო

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს კომპიუტერზე წვდომა სახლში (49%) თუ სახლს გარეთ (6%) ან როგორც სახლში, ისე გარეთ (3%). თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ არც სახლში და არც გარეთ კომპიუტერზე წვდომა არ აქვს გამოკითხულთა 42%-ს. რაც შეეხება ინტერნეტს, დღეში რამდენიმე საათს უთმობს მას გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (94%) და ასევე უმრავლესობა მას სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის (82%) იყენებს.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენადაა მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული ადგლობრივ დონეზე, რაოდენობრივი კვლევის მონაწილეები ამას საკმაოდ დადებითად აფასებენ. 34% ამბობს, რომ გათვალისწინებულია.

გრაფიკი 122. შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა რესპონდენტების მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის მიერ



N=150

თუმცა, თვისებრივი კვლევის შედეგები შედარებით კრიტიკულ შეფასებებზე მიუთითებს. დისკუსიებზე აღინიშნა, რომ აქტივობები ძირითადად *სკოლის ასაკის* ახალგაზრდებისთვისაა ორგანიზებული და უფროსებზე ნაკლებადაა ორიენტირებული. ასაკთან ერთად, ხაზგასასმელია ისიც, რომ აქტივობები უმეტესად *მუნიციპალურ ცენტრში* ტარდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიგრაცია და ახალგაზრდების გადინება დასახელდა. თუმცა, დისკუსიების შედეგად ისიც გამოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს რამდენიმე სოფელი, სადაც თავად ახალგაზრდები აქტიურობენ და მათი ინიციატივით სხვადასხვა აქტივობის ორგანიზების პრაქტიკასაც აქვს ადგილი. შესაბამისად, მიგრაციაზე მეტად, შესაძლებელია გამოწვევად ნაკლები აქტიურობა მივიჩნიოთ.

ის, რომ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობები არ არის მრავალფეროვანი და ძირითადად ერთი და იგივე ღონისძიებას გულისხმობს, დასტურდება ძირითად ინფორმანტებთან ინტერვიუებითაც, სადაც ხაზგასმული იყო, რომ მუნიციპალიტეტში უმეტესად სპორტული აქტივობები იგეგმება. მართალია, კვლევის მონაწილე ახალგაზრდებთან გაჟღერდა მოსაზრება, რომ სპორტული ღონისძიებები მეტ-ნაკლებად პასუხობს ახალგაზრდების მოთხოვნებს, თუმცა იმის თქმა, რომ ზოგადად, *ახალგაზრდების ინტერესებს* ეხმიანება მათთვის დაგეგმილი აქტივობები, არასწორია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით კრიტიკულები იყვნენ კვლევის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ისინი არ იზიარებენ მოსაზრებას, თითქოს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების უმრავლესობა სპორტითაა დაინტერესებული და სპორტული აქტივობების სიხშირეც ამითაა განპირობებული. ერთ-ერთი შეფასებით, უფრო საქმე გვაქვს იმასთან, რომ ახალგაზრდებს სხვა არჩევანი არ აქვთ და მონაწილეობენ აქტივობებში, რომლებიც რეალურად ორგანიზდება („*სხვა რამის შესაძლებლობა არ არის და რაც არის, იმაში ერთვება*“).

კვლევის შედეგებმა ისიც უჩვენა, რომ ახალგაზრდებისათვის დაგეგმილი აქტივობების *ინიციატორებად* თავად ახალგაზრდები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გვევლინებიან. ძირითადად, აქტივობათა ინიციატორები სკოლის ადმინისტრაცია და თავად ადგილობრივი თვითმმართველობაა. თუმცა, რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა ყველაზე დიდი ნაწილი თავად ახალგაზრდებზე მიუთითებს როგორც ინიციატორებზე (34%).

გრაფიკი 123. შეფასება, ვინ არიან ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ აქტივობათა ინიციატორები



თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა თავად იღებს გადაწყვეტილებებს აქტივობებთან დაკავშირებით, ამასთან არ არსებობს ახალგაზრდების საჭიროებათა დადგენის რელევანტური მექანიზმი, უშუალოდ ახალგაზრდები კი ნაკლებად გამოდიან ინიციატივით, რეალობა, რაზეც კვლევის მონაწილე ყველა ჯგუფი მიუთითებს - რომ ახალგაზრდობაზე ორიენტირებული აქტივობები არ არის მათ საჭიროებებზე მორგებული, სავსებით ბუნებრივია. შესაბამისად, არ არის მოულოდნელი კვლევის კიდევ ერთი შედეგი. კერძოდ ის, რომ *აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობა* არცთუ მაღალია. დისკუსიების მონაწილე ახალგაზრდებმა ამის ერთ-ერთ მიზეზად აქტივობათა სიხშირე დაასახელეს. სკოლის ასაკის ახალგაზრდების შეფასებით, იმის გამო, რომ აქტივობები იშვიათად იგეგმება, ახალგაზრდებისთვის არ არის ჩვეული მათში მონაწილეობა. ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, გამოუცდელობა აჩენს ახალგაზრდებში კომპლექსებს, რაც უშლის მათ ხელს დააფიქსირონ პოზიცია, ხმამაღლა გამოხატონ აზრი თუ დასვან კითხვა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ დისკუსიებზე რადიკალურად განსხვავებული ხედვაც გამოიკვეთა. ამ უკანასკნელის თანახმად, აქტივობები მუნიციპალიტეტში იმდენად იშვიათად იგეგმება, რომ პირიქით, ახალგაზრდების მზაობა მიიღონ მათში მონაწილეობა, მაღალია.

აქტივობებში ნაკლები ჩართულობის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც აღინიშნა, ის არის, რომ *ახალგაზრდების ინტერესები ნაკლებადაა გათვალისწინებული* მათი დაგეგმვისას. ამასთან, აღნიშნულის კიდევ ერთ მიზეზად ყველა ასაკობრივ ჯგუფში იმ *აქტივობების შესახებ არაინფორმირებულობა* დასახელდა, რომლებიც თუნდაც იშვიათად, მაგრამ მაინც ტარდება. აქ რაოდენობრივი კვლევის კიდევ ერთი მონაცემია საგულისხმო. კერძოდ ის, რომ, არათუ აქტივობების შესახებ არ არიან ახალგაზრდები ინფორმირებულები, არამედ მათ არ იციან მათ შორის, არც იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი სთავაზობს ახალგაზრდებს.

გრაფიკი 124. ინფორმირება მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ



ამგვარად, კვლევის შედეგები უჩვენებს, რომ, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობის მიმართულებით ხობის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქტივობები ერთფეროვანია, ისინი ძირითადად სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს მოიცავს. მათი ბენეფიციარები უმეტესად სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან, აქტივობათა ჩატარების ლოკაციას კი ძირითადად მუნიციპალური ცენტრი წარმოადგენს. ამასთან, აქტივობათა ინიციატორებთად, მართალია, რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა თავად ახალგაზრდები დაასახელა, მაგრამ იქვე სხვა აქტორების მითითება, ასევე დისკუსიების შედეგები მაინც იმაზე მიუთითენს, რომ უფრო სხვები გამოდიან ინიციატორების როლში. გამოწვევა ამ თვალსაზრისით ისიცაა, რომ ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებულები მუნიციპაური პროგრამებისა და სერვისების შესახებ.

1.2. ჩართულობა და აქტივიზმი

გადაწყვეტილების მიღებასა თუ სხვადასხვა პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა განვითარების აუცილებელ პირობად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის დანერგვა და მისი განვითარებაა. შესაბამისად, იმის ცოდნა, თუ როგორია სამიზნე მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ჩართულობა თუ მონაწილეობა სხვადასხვა პროცესში, არსებითია.

როგორც ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა უჩვენებს, *ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია* და მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდების მხოლოდ პატარა ჯგუფის არსებობაზე შეიძლება საუბარი. ამას მოწმობს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემები. მართალია, ხობის მუნიციპალიტეტში 38%-მა თქვა, რომ ახალგაზრდები ახდენენ გავლენას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, 32%-მა კი ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა (არც კი, არც არა), უშუალოდ მონაწილეობა მსგავს პროცესში კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 7%-ს მიუღია ბოლო 1-2 წლის გათვალისწინებით. ამასთან, კვლევის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ მოხალისეობრივ

აქტივობაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია (79%) ან ძალიან მნიშვნელოვანია (13%), მაგრამ თავად მსგავსი გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე არ აქვს 59%-ს. მეოთხედს კი მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციაში. ამის მთავარ მიზეზებად მსგავსი აქტივობის შესახებ ინფორმაციის არქონა (43%) და დროის არქონა (36%) დასახელდა.

გრაფიკი 125. მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის მანძილზე

სხვადასხვა პროცესში ჩართულობაც რომ მნიშვნელოვანია (66%) და ძალიან მნიშვნელოვანია 17%) ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს. თუმცა, სამოქალაქო აქტივობაში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მონაწილეობის გამოცდილების არქონას ათიდან ექვსი ახალგაზრდა ადასტურებს (64%). ყველაზე მეტმა, მეხუთედმა კი გამოხატა საკუთარი პოზიცია ონლაინ (19%). აქ მთავარ მიზეზად სურვილის არქონა (43%) დასახელდა.

გრაფიკი 126. ბოლო 1-2 წლის მანძილზე სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება



რაც შეეხება იმას, მუნიციპალიტეტში როგორია ახალგაზრდების აქტივობა, აქ გამოკითხულთა 48%-ის შეფასებით, მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების პატარა ჯგუფია აქტიური, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში. საგულისხმოა, რომ 14%-ის შეფასებით, ახალგაზრდები არ მონაწილეობენ მსგავს აქტივობებში.

გრაფიკი 127. შეფასება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობისა მუნიციპალიტეტში



ამ კონტექსტში საგულისხმოა თვისებრივი კვლევის შედეგები. კერძოდ, გარდა იმისა, რომ აქტივობებში ახალგაზრდები იშვიათად ერთვებიან, თავად აქტივობებში უმეტესად მოაზრებულია მხოლოდ საქველმოქმედო თუ მოხალისეობრივი აქტივობები და ნაკლებად, მაგალიტად, ბიუჯეტის განხილვაში ჩართულობა. აქვე, კვლევის მონაწილეთა შეფასებით, მაგალითისთვის, ისეთ მნიშვნელოვან აქტივობაში ჩართულობა, როგორიცაა ბიუჯეტის განხილვა ან ადგილობრივ დონეზე სხვა ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მუნიციპალიტეტში კრიტიკულად დაბალია. ამის მთავარ მიზეზად *დაბალი ცნობიერება* დასახელდა, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება მოვიაზროთ ისეთი მიზეზის განმაპირობებლადაც, როგორიცაა *არასერიოზული დამოკიდებულება* მსგავსი აქტიურობისადმი. ამ უკანასკნელს საგანგებოდ გაესვა ხაზი ახალგაზრდების ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. აქ საგულისხმოა რაოდენობრივი კვლევის შედეგიც, რომლის მიხედვითაც, დაბალი ჩართულობის მიზეზი გამოკითხულთა 16%-ისთვის სამოქალაქო აქტივიზმის არაპოპულარობა/არამოდურობაა მიჩნეული.

თვისებრივი კვლევის მონაწილეებთან დაბალი ჩართულობის კიდევ ერთ მიზეზად *ნიჰილიზმი* და, ასევე *არაინფორმირებულობა* გამოიკვეთა. ეს უკანასკნელი ჩრთულობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ საკმარისი ინფორმაციის არქონას უკავშირდება. რაოდენობრივი კვლევის შედეგადაც, გამოკითხულტა მესამედის აზრით, დაბალი ჩართულობის მიზეზი სწორედ ის არის, რომ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ აქტივობებში (29%).

დაბალია ახალგაზრდების დაინტერესება პოლიტიკითაც. ათიდან ექვს გამოკითხულა პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს, ყველაზე მეტას, 23%-ს კი აინტერესებს ზოგადად პოლიტიკა საქართველოში. ამასთან, ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა ათიდან მხოლოდ ერთ ახალგაზრდას აინტერესებს (11%). აქვე საინტერესოა ისიც, რომ იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები არიან ყველაზე ნაკლებად ღირებული ახალგაზრდებისთვის (3.5 ქულა მაქსიმალური 7 ქულიდან). აქვე აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ორ ღირებულებას ახალგაზრდებისთვის წარმოადგენს კარგი მეგობრებისა (6.7 ქულა) და სანდო მეუღლის/პარტნიორის (6.7 ქულა) ყოლა.

კვლევის მონაწილე ახალგაზრდები, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში იზიარებენ ხედვას, რომ მათი და მათი თანატოლების ჩართულობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია. დისკუსიებზე გაჟერებული მთავარი არგუმენტის თანახმად, ეს არის განვითარების წინაპირობა. მათი შეფასებით, პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად, პირველ რიგში, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ და ინფორმირების გაზრდა ჩართულობის ფორმებისა და მექანიზმების თაობაზე.

1.3. უფლებები

კვლევის მონაწილე როგორც ფოკუსური დისკუსიების მონაწილეებმა, ასევე ძირითადმა ინფორმანტებმა შეაფასეს, თუ რამდენადაა დაცული ახალგაზრდების უფლებები ხობის მუნიციპალიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების უფლებების დარღვევაზე ან თუნდაც ნაწილობრივ დაცულობაზე კვლევის მონაწილე ახალგაზრდები, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი ნაკლებად საუბრობენ. ამასთან, რაოდენობრივი კვლევის შედეგადაც, უმრავლესობა (84%) თვლის, რომ მათი უფლებები დაცულია. თუმცა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ახალგაზრდებთან გამართული დისკუსიების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლებების შესახებ ახალგაზრდების მეტად ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება აუცილებელია. ამ მოსაზრებას ამყარებს რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმადაც გამოკითხულთა მესამედი ვერ ასახელებს ვერცერთ უფლებას (32%). რაც შეეხება ყველაზე მეტი რესპონდენტის მიერ დასახელებულ უფლებას, რომლის შესახებაც სმენიათ, ესენია გამოხატვის (30%) და თანასწორობის (29%) უფლებები.

მართალია, დარღვევებზე ნაკლებად საუბრობდნენ დისკუსიების მონაწილეები, მაგრამ მაინც უფროსი ასაკის ჯგუფში აღინიშნა, რომ დაბალი ანაზღაურება და მძიმე სამუშაო პირობების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს *შრომითი უფლებების* დარღვევად. ეს უფლება საერთოდ არ დასახელებულა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში დარღვევათა შორის, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ეჭვს, რომ გაცნობიერების თვალსაზრისით გამოწვევები უფროა, ვიდრე ამ უფლების დარღვევის ფაქტების არარსებობა.

ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ გამოკითხულების ყველაზე მეტმა *რაოდენობამ გამოხატვის თავისუფლების* დარღვევაზე მიუთითა (23%). ამ უფლების შეზღუდვა აღინიშნა დისკუსიებზე ახალგაზრდებთანაც. მათთან ეს დაკავშირებული იყო დისკრიმინაციასთან როგორც გენდერის, ასევე ასაკის ნიშნით. პირველ შემთხვევაში აღინიშნა, რომ საზოგადოების მიერ სხვადასხვა ინტერესის კონკრეტული გენდერისათვის უფრო რელევანტურად, მეორე გენდერისთვის კი - არარელევანტურად შეფასება ხდება და ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარი გენდერისთვის „არარელევანტურ“ ინტერესებს ავლენენ, დისკრიმინაციული დამოკიდებულების მსხვერპლნი ხდებიან. რაც შეეხება ასაკს, ახალგაზრდების მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვა იზღუდება სწორედ მათი ასაკის გამო („*ჩვენ [უფროსებმა] მეტი ვიცით*“) და ამას ხშირად სკოლის გარემოში აქვს ადგილი. თუმცა, დისკრიმინაციის კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც წესი, ათიდან ცხრა, არცერთი ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილებას არ ადასტურებს. აღნიშნული შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდები ნაკლებად არიან გაცნობიერებულნი დისკრიმინაციის არსის შესახებ.

1.4. გამოწვევები

ხობის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების რამდენიმე განსაკუთრებულად პრობლემურ საკითხზე გამახვილდა ყურადღება დისკუსიებსა და ინტერვიუებში. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე ძირითად ინფორმანტებთან ძალიან მწვავე საკითხად *ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა* დასახელდა, რომლებიც ახალგაზრდებს შეკრების, გართობისა თუ აზრთა გაცვლისთვის სჭირდებათ. ამაზე რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მხოლოდ 11%-მა მიუთითა.

ამასთან, სოფლის ტიპის დასახლებებისთვის გამოწვევაა *დაბალი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა წრეზე*. მართალია, სპორტული თუ სახელოვნებო წრეები ფუნქციონირებს, თუმცა მუნიციპალურ ცენტრში, რაზეც დისკუსიების მონაწილეებმა გაამახვილეს ყურადღება. სოფლის ტიპის დასახლებებიდან კი ახალგაზრდებს, *გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო*, წრეებზე წვდომაც შეზღუდული აქვთ. შესაბამისად, აქ ერთი მხრივ, წრეებზე ხელმისაწვდომობის, მეორე მხრივ კი - გადაადგილებასთან დაკავშირებული გამოწვევები იკვეთება. სპორტულ წრეზე ხელმისაწვდომობა გამოწვევად სახელდება რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 21%-ის მიერაც. ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობაზე მეტად კი, სხვა გამოწვევები გამოიკვეთა არსებითად რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, თუმცა, თვისებრივი კვლევის მონაწილეთა არგუმენტები საგულისხმოა.

დისკუსიებზე პრობლემად გამოიკვეთა *სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობაც*. კიდევ ერთ გამოწვევად *ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა* გამოიკვეთა და აქაც ხაზგასმული იყო, რომ არა ყველა სოფლისთვის, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილისთვის აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, აქ სპორტული ინფრასტრუქტურა განსაკუთრებულ, გამოწვევად 16%-მა დაასახელა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც დისკუსიების მონაწილე ახალგაზრდებმა გაამახვილეს ყურადღება პრობლემებზე საუბრისას *წიგნის მაღაზიის* არარსებობას ეხება მუნიციპაიტეტში. ამაზე განსაკუთრებული აქცენტი 18-23 წლის ახალგაზრდების ჯგუფში გაკეთდა, სადაც ასევე სასურველად დასახელდა არსებული *ბიბლიოთეკის* წიგნადი ფონდის განახლება ახალი ლიტერატურით. სკოლის ასაკის ახალგაზრდების ჯგუფში კი ახალგაზრდების *საინფორმაციო ტექნოლოგიებით ზედმეტი გატაცება* დასახელდა ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად, რაც გასართობი და შეკრებისათვის აუცილებელი სივრცეების არარსებობის ეფექტად შეიძლება შეფასდეს. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სარისკო ქცევად გამოიკვეთა რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში (4. ქულა მაქსიმალური 5-დან). ამაზე მეტად გავრცელებულ სარისკო ქცევად მუნიციპალიტეტში სიგარეტის მოხმარება დასახელდა (4.4 ქულა).

დასაქმება

რაც შეეხება დასაქმებას, გამოკითხულთა 18% სრულ განაკვეთზე მუშაობს, 5% კი თვითდასაქმებულია და ჩართულია სამეწარმეო საქმიანობაში.

გრაფიკი 128. დასაქმების სტატუსი



დასაქმებაა გამოწვევა, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღება დისკუსიებზე უფროსი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფში გამახვილდა. მათთან აღინიშნა, რომ სამუშაო ადგილების სიმწირე არ არის უნიკალური მხოლოდ ხობის მუნიციპალიტეტისთვის და მთელი ქვეყნის პრობლემაა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციას. რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც, უმთავრესი პრობლემა, რომლის მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციოალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა (61%).

გრაფიკი 129. უმთავრესი გამოწვევები/პრობლემები, რომელთა მოგვარებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის



დისკუსიებზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებითან გამოიკვეთა სხვადასხვა *ტრენინგსა და სასწავლო კურსზე* ხელმისაწვდომობის საჭიროება, რაც ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მთავარ პრობლემად დასაქმება დასახელდა. აღინიშნა, რომ აუცილებელია ახალგაზრდების პროფესიული გადამზადება, სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგების ორგანიზება და მათი დასაქმებისთვის ამ ტიპის ხელშეწყობის უზრუნველყოფა. კონკრეტულ სფეროდ, რა მიმართულებითაც სასურველი იქნებოდა ახალგაზრდების გადამზადება, დისკუსიაზე სოფლის მეურნეობა დასახელდა. მთავარი არგუმენტის თანახმად, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი იქნება

ტრენინგების ორგანიზება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით (მაგალითად, მებაღეობა) ან იმ მიმართულებებით, სადაც რეალურად არსებობს დასაქმების შესაძლებლობა. ის, რომ პროფესიული გადამზადება და ტრენინგებზე/საგანმანათლებლო კურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა უმნიშვნელოვანესი, ეს რაოდენობრივი კვლევის შედეგადაც გამოიკვეთა (16% და 14% შესაბამისად). ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა სამუშაო ადგილების არსებობას მიიჩნევს არსებითად დასაქმებისთვის ხელშესაწყობად (73%) და ასევე, ნახევარი მიიჩნევს, რომ ამისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების ფლობაა მნიშვნელოვანი (52%).

რაც შეეხება იმას, თუ რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდა ახალგაზრდებს დასაქმებაში, აქ სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა (61%), პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწა (56%) და ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა (49%) იკვეთება არსებითად.

გრაფიკი 130. შეფასება, რაში მხარდაჭერა დაეხმარებოდათ ახალგაზრდებს დასაქმებაში



მიგრაცია

როგორც აღინიშნა, დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევა დასახელდა დისკუსიების მონაწილეთა მიერ მიგრაციის უმთავრეს მიზეზად. ძირითად ინფორმანტებთან კი, ის ფაქტი, რომ ძირითადად აქტივობები სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვისაა იმითაცაა განპირობებული, რომ მიგრაციის მაჩვენებლი მაღალია და უფროსი ასაკის ახალგაზრდები ნაკლებად არიან მუნიციპალიტეტში. თუმცა, თუ მიგრაციასთან დაკავშირებით განზრახვებს ვნახავთ, ისინი არცთუ მაღალია. გარე მიგრაციაზე/ქვეყნის დატოვებაზე არ ფიქრობს 76% და ამაზე ამ ეტაპზე არ ფიქრობს 9%. რაც შეეხება შიდა მიგრაციას, მუნიციპალიტეტის დატოვების განზრახვა არ აქვს 43%-ს, ამ ეტაპზე კი ამაზე არ ფიქრობს 18%. მათ კი, ვისაც ეს განზრახვა აქვთ, სამუდამ მუნიციპალიტეტის დატოვებაზე მხოლოდ 15% ფიქრობს. შიდა და გარე მიგრაციის მთავარი მიზეზები უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობას უკავშირდება.

გრაფიკი 131. შიდა მიგრაციის განზრახვა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით

იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება პრობლემების მოსაგვარებლად, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდების შეფასებები ნეგატიურია. თუ, სკოლის ასაკის ახალგაზრდებთან აღინიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მათ ჰპირდება პრობლემების მოგვარებას და არ აგვარებს წლებია, უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან მსგავსი დანაპირების არსებობაზეც არ ყოფილა მითითება. მათთანაც ხაზგასმული იყო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა „არაფერს აკეთებს“ პრობლემების მოსაგვარებლად და წლების წინ დაწყებული პროექტები დღემდე დაუსრულებელია. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი კი აცხადებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც პროექტებს/პროგრამებს ახორციელებს, თუმცა უმნიშვნელოს (63%).

როგორც დისკუსიებიდან გამოჩნდა, მთავარ პასუხიმგებლად პრობლემების მოგვარებაზე ახალგაზრდები სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობას მიიჩნევენ. რაც შეეხება საკუთარ როლს, ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოყოფს ფინანსური რესურსი პროექტების განსახორციელებლად ახალგაზრდობის მიმართულებით. და მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია ახალგაზრდების გააქტიურება, დაინტერესება საკითხებით და ინიციატივებით გამოსვლა.

მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, ახალგაზრდების განწყობები მომავალთან დაკავშირებით პოზიტიურია. ყველაზე ოპტიმისტურია 10 წლის შემდეგ საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (93%).

ამასთან, პოზიტიურია საკუთარი როგორც ფიზიკური (4 ქულა), ასევე ფსიქიკური (4.1 ქულა) მდგომარეობის შეფასება. დადებითია ასევე საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებს მაჩვენებელი. ის, მაქსიმალური 7-დან 5.4 ქულითაა შეფასებული.

გრაფიკი 132. შეფასება 10 წლის შემდეგ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის პირადად მათი, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის კონტექსტში



ამგვარად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში არაერთი გამოწვევა აქვთ. ამასთან, დასაქმება მაინც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს. აგრეთვე, გამოწვევების მიუხედავად, მიგრაციის განზრახვა არცთუ კრიტიკულად მაღალია და თუ აქვთ ეს განზარვხა ახალგაზრდებს ძირითადად შიდა მიგრაციისას, განათლებას უკავშირებენ აღნიშნულს. ამასთან, პრობლემების მიუხედავად ხედვები მომავალთან დაკავშირებით ოპტიმისტურია, ისევე როგორც საკუთარი ცხოვრების შეფასება.

1.5. სასურველი აქტივობები

სასურველ აქტივობებსა თუ პროექტებს შორის თვისებრივმა კვლევამ შემდეგ საჭიროებებზე პასუხის გაცემის აუცილებლობა გამოკვეთა. პირველ რიგში, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია *შეკრებებისთვის სივრცეების* არსებობა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულში კვლევის მონაწილე ახალგაზრდები უფრო გასართობი ტიპის სივრცეებს მოიაზრებენ და ნაკლებად სივრცეებს არაფორმალური განათლების მისაღებად, დისკუსიების გასამართად თუ სხვა მსგავსი ტიპის აქტივობის დასაგეგმად. ახალგაზრდების შეფასებით, შეკრებების, პირველ რიგში კი გართობისათვის განკუთვნილი ადგილების არსებობა ახალგაზრდების ცხოვრებას მრავალფეროვანს გახდიდა. ახალგაზრდული სივრცეების არსებობა რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე ძირითად ინფორმანტთა მიერაც. ამგვარი სივრცის არსებობის მნიშვნელობას ასახელებს გამოკითხულტა 44%-იც. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა სპორტყლ წრეზე/წრეებზე ხელმისაწვდომობას ასახელებს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად.

თვისებრივმა კვლევამ ასევე უჩვენა, რომ ახალგაზრდები ისურვებდნენ *სპორტული ინფრასტრუქტურის* მოწყობას. მათ ხაზი გასუვეს ასევე *საგანმანათლებლო აქტივობებს* მნიშვნელობას. ამასთან, უფროსი ასაკის ახალგაზრდებითან გამოიკვეთა სხვადასხვა *ტრენინგსა და სასწავლო კურსზე* ხელმისაწვდომობის საჭიროება. ამ კონტექსტში სემინარების/ვორქშოპების მოწყობის დასახელებაც აღსანიშნავია გამოკითხულთა 9%-ის მიერ და მეწარმეობის ხელშემწყობის სერვისებიც 8%-ის მიერ. უცხოენების შემსწავლელ კურსებზე მიუთითა 36%-მ და თუ გავითვალისწინებთ, რომ ამაში მხარდაჭერა დასაქმებისთვის მნიშვნელოვნად ჩაითვალა, უნდა ითქვას, რომ ამ სერვისების შეთავაზება ახალგაზრდებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

გრაფიკი 133. სერვისები, რომლებზეც ხელმისაწვდომობის არსებობაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის



ამასთან, წიგნის მაღაზიის არარსებობა და ბიბლიოთეკის გამართვის მნიშვნელობაზე დისკუსიებზეც აღინიშნა, რაც განსაკუთრებით ყურადღსაღებია იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხულთა 35%-ის შეფასებით, ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანია ისეთ სერვისზე არსებობდეს ხელმისაწვდომობა, როგორიცაა ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი.

მართალია, რაოდენობრივ კვლევაში ეს არ ყოფილა გამოკვეთილი, მაგრამ დისკუსიებზე ფსიქოლოგის სერვისზე ხელმისაწვდომობის არსებობის მნიშვნელობასაც გაესვა ხაზი.

თუ კვლევის შედეგებს შევაჯამებთ, კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამი საკითხი იკვეთება ახალგაზრდებისთვის ხობის მუნიციპალიტეტში. პირველი, ეს არის შეკრებებისთვის სივრცეებით მათი უზრუნველყოფა, სადაც გართობასთან ერთად არაფორმალური განათლების მიღებაც იქნება შესაძლებელი. მეორე, ეს არის გამართულ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის გაზრდა. და მესამე, სპეციალური პროგრამების შეთავაზება ახალგაზრდებისთვის მათი გადამზადების მიზნით, რათა მოხდეს დასაქმების ხელშეწყობა, რისი ნაწილიცაა უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთან, მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკასა და სამკითხველო კლუბზე, ასევე სახელოვნებო და კულტურის წრეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

[18] დეტალური თვისებრივი ანგარიში, ასევე სრული გრაფიკული ანგარიში შესაბამისი მიგნებებითა და რეკომენდაციებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტების სახით

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია ახალგაზრული ინიცატივების მხარდაჭერის კომპონენტის დაფინანსების გაზრდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ.
- სასურველია განხორციელდეს ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობის მონიტორინგი და ეს ფუნქცია შესაძლებელია ჰქონდეს როგორც ახალგაზრდობის სააგენტოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ახალგაზრდულ ჯგუფებს.
- მნიშვნელოვანია არსებული სათემო და ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა, ასევე ახალი ორგანიზაციების შექმნის წახალისება.
- სასურველია ადგილობრივ დონეზე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობის ფორმატზე გადასვლა და მათ შორის, მათი წახალისება, რათა გაიზარდოს მესამე სექტორის ფოკუსირება ახალგაზრდობის საკითხებზე.
- მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის სააგენტომ რამდენიმე მიმართულებით აღმოუჩინოს მხარდაჭერა როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სამოქალაქო სექტორის. კერძოდ, სასურველია, სააგენტომ ადამიანური რესურსების მომზადება-გადამაზადების მიმართულებით ინტენსიური ტრენინგ-პროგრამები შესათავაზოს როგორც თვითმმართელობებს, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს.
- სასაურველია, სააგენტომ მხარდაჭერა აღმოუჩინოს ახალგაზრდულ ჯგუფებსა და სათემო ორგანიზაციებს როგორც ფინანსური რესურსის მოძიების შესაძლებლობების გაცნობის თვალსაზრისით, ასევე რესურსების მოსაზიდად რეკომენდაციების გაწევის თვალსაზრისით.
- სასურველია, სააგენტომ კონკურსების გზით, წაახალისოს რეგიონული ორგანიზაციების შექმნა-განვითარება.
- მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინკლუზიურობისა და გამჭვირვალოს უზრუნველყოფა. შესაბამისად, სასურველია პროცესში სამოქალაქო სექტორის, არასამთავრობო თუ სათემო ორგანიზაციების, ცალკეული აქტიური ახალგაზრდისა და ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ამდენად, სასურველია, პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესში ჩაერთოს სამოქალაქო სექტორი და ისინი მონაწილეობდნენ როგორც განხვილვის, ასევე მისი იმპლემენტაციის პროცესში.

- თითოეული მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალსიწინებით შექმნილი ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი და შესაბამისი სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული გრძელვადიან, მიღწევად შედეგებზე შესაბამისი ბიუჯეტით, რეალისტური ვადებითა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.

- საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისი სტრატეგია, ახალგაზრდული ჯგუფების გააქტიურება, არასამთავრობო სექტორის წახალისება ერთობლივ პროექტებში ჩართვით და მათი, როგორც სერვისის მიმწოდებლების შემოყვანა ახალგაზრდობის ველში, შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების შედარებით ფართო ჯგუფების გასააქტიურებლად და მდრადი შედეგების მისაღწევად.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ახალგაზრდობის სააგენტო

act

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის პირველი ჩიხი, N1, 0179, თბილისი, საქართველო

T: +995 32 2250728
https://southcaucasus.fes.de/
https://www.facebook.com/fesgeorgia/
georgia@fes.de


90%
85%
94%
45%